

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართვე. ფილიალი  
ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

ფხოს, ისტორიისა და მაცურ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. შატოს სახ.  
*Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра*

504  
1939

# მ ა ს ა ლ ე ზ ი

საქართველოში და კავკასიის ისტორიისათვის

## МАТЕРИАЛЫ

ПО ИСТОРИИ ГРУЗИИ И КАВКАЗА

1939

ნაკვეთი I ВЫПУСК

თბილისი

1939



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველო ფილიალის  
 ГРУЗИНСКИЙ ФИЛИАЛ АКАДЕМИИ НАУК СССР

ენის, ისტორიისა და მაცდრ. კულტურის ინსტიტუტი აკად. ნ. შარის სახ.  
 Ин-т языка, истории и матер. культуры им. акад. Н. Я. Марра

504  
 1939

367a

# მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

## М А Т Е Р И А Л Ы

Н О И С Т О Р И И Г Р У З И И И К А В К А З А

1 9 3 9

გაკვეთი I ВЫПУСК



სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი

1 9 3 9

Т Б И Л И С И

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის  
საქართველოს ფილიალის განკარგულებით  
თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი პრფ. სიმონ ჯანაშია

**მუსკე გედეკენიშვილი**

სამხედრო ხელოვნება «ვეფხისტყაოსანში»

## სამხედრო ხელოვნება «ვეფხისტყაოსანში»

«ვეფხისტყაოსანი» გმირთა მოქმედების ეპოპეიაა და გასაგებია, რომ მასში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ბრძოლებს და შეხლა-შეტაკებებს. დიდი პოეტი შეუდარებელი ნიჭიერებით გვიხატავს ამ ბრძოლებს და აღწერა ასეთებისა მოწმობს, რომ ავტორი ზედმიწევნით გაცნობილი იყო იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებას, იმდროინდელ სტრატეგია-ტაქტიკას.

პოემაში ორი დიდი ომია აღწერილი:

1. ომი ტარიელისა ხატაელების წინააღმდეგ;
2. სამ გმირთა ომი ქაჯეთის წინააღმდეგ.

ხატაელთა მეფე რამაზის უხეში წერილის მიღების შემდეგ ტარიელი გაილაშქრებს ხატაელთა წინააღმდეგ. საინტერესოა მზადება ამ გალაშქრებისათვის. ტარიელი მოახდენს ჯარის სრულ მობილიზაციას. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ჯარის შეკრება:

«ფებრძანე წვევა ლაშქართა, გავგზავნე მარზაპანია:  
იგი ვარსკვლავთა ურიცხვი მოკრბეს ინდოთა სპანია,  
შორით და ახლოთ ყველაი მართ ჩემკენ მონასხპანია,  
და ერთობ ლაშქრითა აივსო მინდორი, კლდე, კაპანია».

ტარიელი არ აყოვნებს, მობილიზაციას სასწრაფოდ ახდენს:

«ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნა მათ შინა ხან-დაზმულობა»;

ტარიელი წინასწარ დაწვრილებით სინჯავს ჯარს:

«აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,  
ტაიქთა მათთა სიმაღლე, აბჯართა ხეარაზმულობა».

გასინჯულია ჯარის გარეგნობა, ჩაცმა-დახურვა, იარაღი, ცხენები.

ტარიელი კვლავ არ აყოვნებს:

«დილასა შევეჯე, ვუბრძანე: «ჰკარით ბუკსა და ნობასა».

სგლა საჭიროა მალულად, დაფარულად, ამიტომ:

«უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს გზობასა».

გაიგო რა ხატაელთა მეფე რამაზმა ტარიელის ურიცხვი ჯარის მოახლოვება, დააპირა მუხანათობით და ლალატით ტარიელის დამარცხება. იგი უგზავნის ტარიელს ხატაელთა ხანს «საქურტლე საშინელი»-თა, მოინანიებს ვითომ თავის ცოდვებს და პატიებას სთხოვს:

« . . . . აქა ნუ მოვლენ სპანია;

ქვეყანა ჩვენი არ აწყდეს, რისხვით არ დაგვტყდეს ცანია;

ჩვენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყვენენ ცოტანი ყმანი »

ე. ი. ჯარი შორს დასტოვე, თან მოიყოლიე ცოტანი, ჩვენ დაგემორჩილებით, ჩაგაბარებთ ციხე-ქალაქს.

ტარიელი მიხვდება ლალატს, მოიწვევს ვაზირთ სათათბიროდ. ვაზირნიც აფრთხილებენ ტარიელს:

« . . . . არიან მეტად მუხთალნი, ჩვენ ერთხელ კვლაცა ვნახენით; არამცა მოგკლეს ლალატად, არამცა ვივაგლახენით! »

ტარიელი დაეთანხმა ვაზირთა რჩევას, ჯარის უდიდეს ნაწილს უკან დასტოვებს და სამასი რჩეული მეომრით წავა რამაზთან შესახვედრად.

მაგრამ წინდახედული და ფრთხილი ტარიელი უბრძანებს უკან დაშენილ მთავარ ძალას:

« . . . . დაჰვედრე: «სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი, ახლოს მომდევდით, მიშველდით, გიხმობ, თუ მინდეს შევლანი».

დიახ, გარემოება გამოურკვეველია, ამიტომ საჭიროა დიდი რეზერვი, მაგრამ ფეხდაფეხ მიმდევარი, რათა, თუ საჭიროება მოითხოვს («გიხმობ, თუ მინდეს შევლანი!»), რეზერვი დროზე მიეშველოს წინამბრძოლთ.

კიდევ ორჯერ მოუგზავნის დესპანებს რამაზ მეფე, კიდევ ეფიცება დამორჩილებას. საინტერესოა დესპანების უკანასკნელი მოსვლა. ტარიელი არაფრად არ აგრძნობინებს მათ თავის ეჭვებს. პირიქით, დიდად მიუღალვრებს და გულგაშლილად მიიღებს. მოგზავნილთა შორის აღმოჩნდება ერთი, რომელიც გაუნდობს და საბოლოოდ დაარწმუნებს ტარიელს რამაზისაგან ლალატში.



მეფე ცოტათ მოგეგებვის, ვის მკვრეტნი ვერ გელევიან;  
 მალვით ჩაიციმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეტნევიან;  
 კვამლსა შეიქმენ ლაშქარნი, ყოველგნით მოგებევიან.  
 და:  
 «ერთგან შენთვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ».

ტარიელი მადლობას უხდის და რათა ამხანაგები არ მიუხვდნენ, გზავნის მათთან. თითონ ტარიელი:

«არვის გავენდევ სულდგმულსა. დავმაღე ვითა ქორია».

.....  
 «მაგრა სპათაკენ გავგზავნე კაცი, თუ გზაცა შორია,  
 შეესთვალე: «ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია».

მიიღო რა ეს ზომები, ტარიელმა:

«ეუბრძანე ჩაცმა აბჯრისა, ლაღმან სიტყვითა ხაფითა.  
 რა ზმი დავაწყყევ, მივჰმართე, წავე დიდითა  
 სწრაფითა».

მიუახლოვდნენ, შეხვდნენ ერთმანეთს მოპირდაპირენი. აქ გამომ-  
 ულავნდა ყველაფერი. ტარიელი დაეცემა რამაზის ჯარს:

«შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი  
 და ერთობ სრულად ამოვსწყვიდე წინა კერძო რა ზმი ორი»

და როდესაც ტარიელი დაამხოებს რამაზის წინამბრძოლ რაზმებს და  
 რამაზის ჯარი შეკრთება, სწორედ ამ დროს ბრძოლის ველს მოად-  
 გება ტარიელის მიერ დროზე გამოხმობილი რეზერვი და  
 ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით მთავრდება.

ტარიელი გამარჯვებას საესებით გამოიყენებს, იგი სდევნის ფეხ-  
 დაფეხ დამარცხებულთ, ვიდრე სრულიად არ მოუსპობს რამაზის  
 ჯარს ბრძოლის უნარს.

«მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოვკვლენით».

ასეთ ჰუმანურ მოპყრობას დამარცხებულ მოპირდაპირისადმი  
 ჩვენ ვხვდებით «ვეფხვისტყაოსან»-ში აღწერილ ყველა ბრძოლაში.  
 მთავარი ამოცანა იყო „ცოცხალი ძალი“-ს, ჯარის მოსპობა და  
 როდესაც ეს მიღწეულ იქნა, მაშინ:

«არ ვპბრძოდე, კარი ქალაქთა უომრად გავალეზინე».



და მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც რამაზი ჩააბარებს ყველა ცენტრალური სიმაგრეს:

«მაშინღა შევეე ხატაეთს მოვლად და მოსათვალავად;  
ქვეყანა ჩავსხი, ვუბრძანე: «იყენით თქვენ უკრძალავად,  
მზემან არ დაგწვენ, იცოდით, დაგყარენ გაუგვალავად».

გარემოების ზედმიწევნით შესწავლამ, ოპერაციის ყოველმხრივ მომზადებამ, ჯარის მიზანშეწონილად განაწილებამ, რეზერვის გონივრულად და დროზე გამოყენებამ, სწრაფ და ენერგიულ მოქმედებამ ნაყოფად მოიტანეს ბრწყინვალე გამარჯვება.

საოცარია ბრძოლის ასეთი ოსტატური აღწერა და მერმე რა შესანიშნავ მხატვრულ ფორმებში! გენიოსი ავტორი ზედმიწევნით გაცნობილია იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებას.

მაგრამ კაცი უფრო განცვიფრებას ეძლევა, როდესაც კითხულობს მეორე დიდი ბრძოლის ამბავს—სამ გმირთა ბრძოლას ქაჯეთის წინააღმდეგ.

დარეჯანი დატყვევებულია ქაჯთა ქალაქში, ამიტომ საჭიროა ამ ქალაქის აუცილებლად აღება, მაგრამ:

«ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:  
ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მალალი და გრძელია,  
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხერელია»...

ახლა მცველები როგორია?

«გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს არ პირ-ნასები,  
ათი ათასი ჭაბუკი დგას, ყველაკაი ხასები;  
ქალაქის კართა სამთავე სამათას-სამათასები».

ეს ქაჯები, მართლა ქაჯები კი არ არიან, არამედ:

«ქაჯნი სახელად მით ჰქვიან»,... მაგრამ:  
«არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა»...  
«თვარა იგიცა კაცნია ჩვენებრვე ხორციელანი».

და ეს ქაჯნი-კაცნი:

«იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრძობენ,  
ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,  
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდად დააშრობენ,  
სწადდეს, ღღესა ბნელად იქმენ, სწადდეს, ბნელსა ანათობენ».





აი როგორი ყოფილან მაგარი ციხის მცველნი. ბუნებრივად ღმრთელოვნურად გამაგრებული ციხე-სიმაგრე, ათი ათასობით მცველნი და მასთან ამ მცველებს ხელთ აქვთ ბრძოლის სხვადასხვა უცნაური ტექნიკური საშუალებანი.

ასეთი ციხე-სიმაგრეა დასაპყრობი.

პირდაპირ მისვლა, პირისპირ შეტაკება არ გამოდგება, ვერ დასძლევენ ქაჯთა უამრავ ჯარს. საჭიროა სწრაფად სვლა, სვლა ფარულად და მოულოდნელად ქაჯეთზე თავდასხმა, მით უმეტეს, რომ ქაჯთა მფლობელნი წასული არიან ქაჯეთიდან. და ძმადნაფიცო სამი გმირი სწორედ ასე გადასწყვეტენ. ფრიდონთან არიან თავმოყრილნი და ფრიდონ ურჩევს:

«უთხრა თუ: «ესე სიტყვაა ავისა მასპინძელისა, — ჰგავს, მოსწყენოდეს სტუმრობა თქვენ ბრძნისა, ვითა ხელისა, მაგრა აწ ყოვნა არ ვარგა, წავლა სჯობს გზისა გრძელისა, თუ ქაჯნი მოგვესწრებიან, საეკვი არს სიძნელისა».

რადგან საჭიროა სწრაფად და ფარულად სიარული, ამიტომ:

«დიდთა რას ვაქნევთ ლაშქართა, კარგნი გვინდა და ცოტანი».

ფრიდონი გაცნობილია ქაჯეთს:

«ქაჯეთს ერთხელ მეც ვყოფილვარ, ნახავთ, თქვენცა გემაგრების, ყოვლგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების; თუ იღუმალ არ შეეუვალოთ, ცხადად შებმა არ ეგების, მით ლაშქარი არად გვინდა, რაზმი მალვით ვერ მოგვეყვების».

დატოვეს სპანი და თან წაიყოლიეს სამასი რჩეული მეომარი:

«თვით სამასსა ცხენოსანსა წაიტანდეს, გმირთა ღარსა».

«ფრიდონ გზა იცის, იარეს, დღისით და ღამით რებულთა».

ასეთი სიჩქარით მიდიან. მიუახლოვდებიან ქაჯეთის საზღვარს და ფრიდონი კვლავ რჩევას იძლევა:

«ფრიდონ თქვა: «ვახლავთ არეთა ჩვენ, ქაჯეთს მიახლებულთა; აქათგან ღამით ვლა გვინდა, მით არას გამქლავნებულთა».

და ამიტომ:

«რა გაუთენდის, დადგიან და ღამით ფიცხლად ვლიდიან!»...



მივიდნენ და აქ მთელი თავისი სიმაგრით და მიუდგომლობით მოუდგა ქაჯეთის კლდე-ციხე. საჭიროა თათბირი:

«თქვეს: «ვითათბიროთ, ვითა ვქმნათ, აწ გამორჩევა ძნელია; ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია».

აქ იწყება შესანიშნავი სამხედრო თათბირი. კაცმა არ იცის, რას მიაკუთვნოს უპირატესობა: ავტორის მიერ გმირების გენიოსურ დახასიათებას, მათი ინდივიდუალობის მხატვრულად გადმოცემას, თუ გენიოს სამხედრო ხელოვანს, რომელსაც საოცარი ზედმიწევნით შესწავლილი აქვს სამხედრო საქმე.

თითოეული გმირი თავის რჩევას იძლევა და ეს რჩევა სავსებით შეეგუება მის პიროვნებას.

აგერ მურადინ ფრიდონი ამბობს:

«ჩვენ ცოტანი ვართ, ქალაქი დიდთაგან საომარია; პირის-პირ ომი არ ძალ-გვიც, არ-ჟამი საკვებარია, ათას წელ ვერსით შევუვალთ, თუ ზედ დაგვიზან კარია».

თურმე ფრიდონ პატარაობიდანვე სპორტში იყო გაწვრთნილი, მასწავლებლებმა

«მასწავლნეს მათნი საქმენი, მახლტუნებდიან, მწვრთიდიან; ასრე გავიდი საბელსა, რომ თვალნი ვერ მომკიდიან».

ერთი სიტყვით, ფრიდონი წინადადებას იძლევა, მოძებნონ გრძელი საბელი, გადისროლონ და მოჰხვიონ ერთერთ ბურჯსა და ფრიდონს

«მას ზედა გავლა ასრე მიჩნს, ვითა გარბენა ველისა».

ფრიდონი გავა საბელით, ჩახტება ციხეში და ამოსწყვეტს კარის მცველებს,

«შიგან ჩაეხლტები კისკასად, ვეცემი მსგავსად ქარისა!»

ასეთია რჩევა ფრიდონისა და ავთანდილი სრულიად სამართლიანად ეტყვის, რომ

«ლომთა მკლავთაგან იმედი ვაქვს, არა წყლული გტკივიან...»

მაგრა თუ გესმის, გუშავნი რა ახლო-ახლო ყივიან!?!..»

ავთანდილი ამბობს, რომ გაუგებენ გუშავნი იარაღის ჩხარუნს და «თოქსა მოკვეთენ...», არა, ფრიდონის,

«ეგე თათბირი არ ვარგა, სხვაებრ ვქნათ თავის ტერება».

ავთანდილი თავის მხრით იძლევა რჩევას:

მას გამოცდილი აქვს ერთი ხერხი და აქაც უნდა მიმართოს  
რადგანაც

«ისი კაცნი არ იჭირვენ მგზავრსა, ქალაქს წემავალსა,  
საფაქროდა მოვეკაზმი, საქმესა ვიქმ მე მუხთალსა,  
ერთსა ჯორსა გადავჰკიდებ მუზარადსა, ჯაჰქესა, ხრმალსა».

შეიმოსება ვაჭრულად, შვევა შიგნით, იქ უჩინრად შეიარაღდება და  
ამოსწყვეტს კარის მცველებს. ამავე დროს ორივე ამხანაგი:

«თქვენ გარეთ კართა ეცენით, ყოველნი, მსგავსად გმირისად».  
მაგრამ ეტყობა თითონაც ექვობს თავის რჩევაში და დაასკვნის:  
«თუ რა სხვა სჯობდეს, თქვენ ბრძანეთ, ვარ მრჩეველად ამა  
პირისად».

უფრო წინდახედული, დინჯი და შორსმჭვრეტელი ტარიელი იმ თა-  
ვითვე მიხვდება ამხანაგების რჩევების ასე ვთქვათ გულუბრყვილობას,  
მას ესმის, რომ ფრიდონი და ავთანდილი თავის მოქმედებას მხო-  
ლოდ-და-მხოლოდ პირად გმირობაზე, გამბედაობაზე და მოხერხე-  
ბაზე ამყარებენ და ეს კი ასეთ რთულ და დიდს ბრძოლაში სა-  
თუოც არის და სახიფათოც. იგი, რასაკვირველია, ორივე რჩევას  
უარყოფს, მაგრამ, ნახეთ, რაოდენი ტაქტიკობით, რანაირი ამხანა-  
გური აღერსით, რათა არ შელახოს ძმადნაფიცთა თავმოყვარეობა,  
იგი აკრიტიკებს მათ რჩევას:

«ტარიელ უთხრა: «მე თქვენი ვცან გმირთა მეტი გმირობა,  
თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბი-  
რობა, პირობა».

.....  
«თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?  
ესე მე დამსერის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნევითა».

ტარიელი თავის მხრით იძლევა გეგმას: ციხეს სამი კარი აქვს, ჩვენ  
სამად გავიყოთ, თითოეულმა წაიყვანოს ასი მეომარი. თითოეულ  
კარს თითო ნაწილი ეკვეთოს, მაგრამ როგორ? არა პირდაპირი შეხ-  
ლით, ეს უგუნურობა იქნებოდა, არამედ პირველად თავი მგზავრე-  
ბად ვაჩვენოთ; ეს შეტევა მშვენივრად არის მოთხრობილი:

«სამთავე სამად გაიყვეს, თვითომან თვითო კარები;  
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები.  
მას ლამით უქმნეს სადარნო, უცრუო, ანაჩქარები,  
გათენდა, გაჩნდეს, მიჰმართეს, თავისთავ ჰქონდა ფარები».

ახლა როგორ მიდიოდნენ?

«პირველ ამოდ მიდიოდეს მგზავრთა რათმე მაგიერად, მათ შიგანთა ვერა უგრძნეს, ვერცა დახვდეს გულ-ხმიერად; გულსა შიში არა ჰქონდა, ამოდ დგეს და ნებიერად, მიდგეს გარე, მუზარადნი დაიხურეს ქამიერად».

შემდეგ:

«ანაზღად ცხენი გაქუსლეს, მათრახმან შექმნა წრიალი. რა ნახეს, კარნი გაახვნეს, ქალაქით გახდა ზრიალი. სამთავე სამგნით მიჰმართეს, თავსა მით უყვეს რიალი, იკრეს ნობსა და დაბდაბსა, შეიქმნა ბუკთა ტკრციალი».

ამ რამდენიმე სტრიქონში მოცემულია დასრულებული სურათი შესანიშნავ სამხედრო ოპერაციისა.

ჩენი გმირები ტარიელის ხელმძღვანელობით გათენებისას შეუდგნენ მოქმედებას, გათენებისას, როდესაც ციხის გულშეგთა სიმახვილე და სიფხიზლე უფრო მოღუნებულია. ვიდრე მიადგებოდნენ ციხის კართ, თავი მგზავრებად მოაჩვენეს, «ანაზღად ცხენი გაქუსლეს». მოსტყუდნენ ციხის დარაჯნი, გაუღეს კარნი და აქ ჩვენმა გმირებმა დაუშინეს ცხენებს მათრახი და ელვისებურ შეცვივდნენ ციხის შიგნით და, რასაკვირველია, თავზარი დასცეს მცველებს. რა თქმა უნდა, მოხდა უკანასკნელთა შორის არეუ-დარევა, პანიკამ გაიტაცა უამრავი ჯარი ქაჯეთისა და სამთა გმირთა ხელა ბრწყინვალე გამარჯვება.

მოქმედების გეგმა სავსებით შეფარდებული გარემოებასთან, რომელიც წინასწარ იყო გამოკვლეული და შესწავლილი (ავთანდილის და ფრიდონის ცნობები ქაჯეთის შესახებ, ფატმანის საშუალებით წინასწარ ქაჯეთში გაგზავნილ მზვერავის ნაამბობი), საბრძოლო სავსისაკენ სიჩქარით და მალულად სელა (ჯერ დღე და ღამით, შემდეგ, მიახლოებისას, მხოლოდ ღამით), მოულოდნელად მისვლა, შენიღბვა ჯარისა (მგზავრად მოჩვენება), რომელსაც ჩვენს თანამედროვე სამხედრო მოქმედებაში დიდი მნიშვნელობა ეძლევა. შეტევის დასაწყისის მომენტის გონივრულად შერჩევა (დილა ადრიან, გათენებისას) და ფიცხი, შეუპოვარი თავდასხმა,—ყველა ეს სამხედრო ხელოვნების ძირითად პრინციპების მტკიცედ დაცვის მაჩვენებელია.

აქაც კვლავ რწმუნდები, რომ გენიოსი ავტორი სამხედრო ხელოვნების შესანიშნავი მცოდნე ყოფილა.

შევაჯამოთ ამ ორი დიდი ბრძოლის გარჩევა. რას ვხედავთ?

1. ყოველ ბრძოლას წინ უძღვის დაზვერვა, ე. ი. მოპირდაპირ-

რის სამხედრო ძალების, ციხე-სიმაგრეების და ადგილმდებარეობის შესახებ რაც შეიძლება მეტი ცნობების მოკრეფა;

2. თუ ომი გადაწყვეტილია, — სწრაფი და სრული მობილიზაცია ყველა ძალებისა;

3. საბრძოლოდ სწრაფად და ფარულად სვლა და მოპირდაპირეზე მოულოდნელად თავს დასხმა;

4. გარემოებასთან სავსებით შეფარდებულ მოქმედების გეგმის შემუშავება (სამხედრო თათბირი);

5. გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ენერგიულად შესრულება;

6. შეტევის მომენტის სისწორით შერჩევა (დილა-ადრიან, გათენებისას);

7. სამ წყებად იერიშის მიტანა (პირისპირ და ფრთების წინააღმდეგ);

8. რეზერვის ყოლა და ასეთის დროზე დაგონივრულად გამოყენება;

9. გამარჯვების ბოლომდე გამოყენება (დამარცხებული მოპირდაპირის დაუცხრომელი დევნით);

10. ბრძოლის მთავარ ობიექტად მიჩნეულია მოპირდაპირის „ცოცხალი ძალა“ — ჯარი.

ასეთია მთავარი პრინციპები, რომლებზედაც აგებულია «ვეფხვისტყაოსან»-ში მოთხრობილი სამხედრო მოქმედებანი.

მხატვრულ შემოქმედებაში ფანტაზიას საპატიო ადგილი უჭირავს, მაგრამ «ვეფხვისტყაოსან»-ში მოთხრობილი ბრძოლები ფანტაზიის ნაყოფი არ არის, ამ ბრძოლებს სავსებით რეალისტური ხასიათი აქვთ. ბრძოლის პრინციპები, თვით ბრძოლების წარმოების ხასიათი, ჯარების ორგანიზაცია, მათი საბრძოლველად დაწყობა, ყველა ეს უსათუოდ სინამდვილიდან არის აღებული და მოწმობს, რომ გენიოსი ავტორი სავსებით, ზედმიწევნით გაცნობილი იყო სამხედრო საქმეს.

საგულისხმეოა, რომ პრინციპები, რომლებზედაც აგებულია «ვეფხვისტყაოსანი»-ს სამხედრო მოქმედება, სავსებით იგივეა, რაც საფუძვლად ედვა დავით აღმაშენებლის და მის მიმდევართა, თამარის დროის გამოჩენილ სარდლების, მხარგრძელის და დავით სოსლანის სამხედრო მოქმედებას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეს «სამ წყებად იერიშის მიტანა». ასეთი საბრძოლო წყობილება საქართველოში და არა მარტო საქართველოში, არამედ თელს მაშინდელ მსოფლიოში პირველად დავით აღმაშენებელმა შე-

მოილო და ასეთი საბრძოლო წყობილება საფუძვლად უძევს სამხედრო მოქმედებას თამარის დროსაც.

იგივე უნდა ითქვას რეზერვის შესახებ. რეზერვის გამოყოფაც პირველად დავით აღმაშენებლის მიერ არის შემოღებული.

დავით აღმაშენებლისა და თამარის ხანა არის სავაჭრო კაპიტალის განვითარებისა და განმტკიცების ხანა.

სავაჭრო კაპიტალის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გზებს და ასეთების დაცვას. იმდროინდელი საქართველო მეტად მნიშვნელოვან სატრანზიტო სახელმწიფოს წარმოადგენდა. საქართველოს ტერიტორიით მიიმართებოდნენ მთავარი სავაჭრო გზები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და ამ გზების უზრუნველყოფა-დაცვა საქართველოს საარსებო ინტერესს წარმოადგენდა. დავით აღმაშენებლისა და თამარის დროის ომების და შორს გალაშქრების მიზანი იყო ამ გზების უზრუნველყოფა-დაცვა. უამრავი ქარავენები მიდიოდ-მოდიოდნენ ამ გზებით და დიდძალი საქონელი მიჰქონდ-მოჰქონდათ. ასეთ ქარავენებს ჩვენ «ვეფხვის-ტყაოსან»-შიაც ვხვდებით. თვით ავთანდილი ერთს ასეთ ქარავენს იცავს მეკობრეებისაგან და სამშვიდობოს გაჰყავს. შორი მანძილის გზების დაცვა დიდძალ ჯარს და შორს გალაშქრებას მოითხოვდა. დიდი ჯარის ყოლა და შენახვა საქართველოს არ შეეძლო. მეორე მხრით, საქართველოს მოსახლერე დიდს დესპოტურ სახელმწიფოებს მრავალრიცხოვანი ჯარები ჰყავდა და ამ ჯარების ერთად-ერთი ტაქტიკა ბრძოლაში იყო: ერთიანი, მკიდროდ შეჯგუფებული მასით მოწოლა და პირდაპირ სიმძიმით მცირერიცხოვან მოპირდაპირის დათრგუნვა. ასეთი უდიდესი, მრავალრიცხოვან მასის მოწოლას მცირერიცხოვანი საქართველოს ჯარი ვერ გაუძლებდა. მეორე მხრით, შემომტევ კომპაქტურ მასის სუსტ მხარეს წარმოადგენდა მისი ფრთები, კედაროს წვერები. თუ მოპირდაპირე მას ფრთით ეკვეთებოდა ეს ტლანქი, მოუქნელი, მოძრაობის უნარს მოკლებული მასა დროზე ვერ მოტრიალდებოდა შემომტევისაკენ და უფრო ხშირად აირევ-დაირეოდა და პანიკას მიეცემოდა. გარდა ამისა, შორს გალაშქრებანი მოითხოვდნენ უფრო მოძრავ ჯარს, ზურგზე ნაკლებად დამოკიდებულს და, რაც მთავარია, მსუბუქ იარაღით შეჭურვილს და მეტ ნაწილად ცხენოსანს.

ასეთმა გარემოებამ და პირობებმა გამოიწვიეს ახალი ტაქტიკა, ჯარის ახალი საბრძოლო წყობილება და დავით აღმაშენებელი სწორედ ახალ ტაქტიკას შემოიღებს: ნაცვლად ერთიანი, ტლანქი, მოუქნელი მასისა, იგი თავის ჯარს სამ წყებად ჰყოფს და სამ წყებად

აწარმოებს ბრძოლას: „წინამბრძოლნი“, „მემარჯვენეთ მიმსვლელ-  
მცემელნი“ და „მემარცხენეთ მიმსვლელ-მცემელნი“. გარდა ამისა,  
მას ჰყავს რეზერვი, რომელიც საჭიროებისამებრ დაეხმარება  
თუ იმ ნაწილს. მოძრაობის დიდი უნარიანობა, შემოვლისაგან უზ-  
რუნველყოფა, ფრონტის ადვილად შეცვლა, ყველა ნაწილი თავი-  
სთვლად მოძრაობს, არ უშლის მეორეს და, რაც მთავარია, ამ წყო-  
ბილებით შეიძლება შეუტოო მოპირდაპირეს, როგორც პირისპირ,  
ისე ფრთებით ერთსადიმავე დროს და ამასთან ერთი ნაწილის და-  
მარცხება არ იწვევს სხვა ნაწილის არეგ-დარეგას. გარდა ამისა, არის  
რეზერვი, რომელიც დროზე მიეშველება დამარცხებულ ნაწილს.  
ჯარი მსუბუქად არის შეჭურვილი: მუზარადი, აბჯარი, ხმალი, იგი  
მეტ ნაწილად ცხენოსანია. ამ ახალმა, მოპირდაპირისათვის უჩვეულო  
ტაქტიკამ საშუალება მისცა დავით აღმაშენებელს და თამარის სარდ-  
ლებს არამცთუ დაეცვათ და გამკლავებოდნენ მოსაზღვრე მრავალ-  
რიცხოვან ჯარებს, არამედ შორის მანძილით გაელაშქრათ. არზრუმ-  
ტრაპეზუნტი—სამხრეთ-დასავლეთით, არღებილი — სამხრეთ-აღმოს-  
ავლეთით და კასპიის ზღვა—აღმოსავლეთით, აი სადამდის მიდიოდა  
ქართველი ჯარი და გამარჯვებით იბრძოდა.

«ვეფხვისტყაოსანი»-ს გმირებიც სწორედ ასეთ ტაქტიკას მისდევ-  
ვენ: სამ წყებად ბრძოლა, რეზერვის ყოლა, სწრაფი მოძრაობა, მოუ-  
ლოდნელად თავს დასხმა. მსუბუქი იარაღი: იგივე მუზარადი, აბჯარი,  
ხმალი. მეტად ხშირად იხსენიება ხმალი და ძალიან ნაკლებად შუბი,  
გასაგებია—უკანასკნელი უფრო მძიმე სატარებელია და მოუქნელი.  
ჯარი უმთავრესად ცხენოსანია.

ექვს გარეშეა, რომ გენიოსი ავტორი, დიდი შოთა, ხელმძღვანე-  
ლობდა და ითვალისწინებდა დავით აღმაშენებლისა და თა-  
მარის დროის სამხედრო მოქმედების ძირითადს პრინციპებს. ჩვენ  
ვიცით, რომ XIII ს-ში იწყება საქართველოს ერთგვარი დასუსტება.  
მონღოლთა შემოსევამ მოსწყვიტა საქართველო დიდს სავაჭრო  
გზებს. საზღვაო გზების აღმოჩენამ დაუკარგა ხმელეთის სავაჭრო  
გზებს მნიშვნელობა. ნაცვლად გაერთიანებული ცენტრალიზებული  
სახელმწიფოსი, საქართველო დაქუცმაცდა, დაიყო ცალ-ცალკე,  
თითქმის დამოუკიდებელ, სამთავროებად. დასუსტდა პოლიტიკურად,  
კულტურულად საქართველო და, რასაკვირველია, მისი სამხედრო  
ხელოვნებაც დაეცა და დაქვეითდა. და მხოლოდ XVII საუკუნის  
დამლევსა და, მეტადრე, XVIII საუკუნის დამლევს, ერეკლე მეორის  
დროს, სამხედრო ხელოვნება აღწევს საკმაოდ მაღალ საფეხურს.

მაგრამ იმ სიმალემდე, რომელსაც მიაღწია დავით აღმაშენებლის  
და თამარის დროს, სამხედრო ხელოვნებას საქართველოში სხვა  
დროს არ მიუღწევია.

და სწორედ ეს ხელოვნება აქვს შოთა რუსთაველს ზედმიწევ-  
ნით გაცნობილი და შესწავლილი. «ვეფხვისტყაოსან»-ში მოთხრო-  
ბილი ბრძოლები, რა თქმა უნდა, სინამდვილეში არ მომხდარა, არ  
წარმოადგენენ ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ამ ბრძოლების წარმოება,  
ტაქტიკა და სტრატეგია, სხვადასხვა საბრძოლო ხერხები და  
ილეთები და აგრეთვე შეიარაღება, წყობილება სინამდვილიდან არის  
აღებული და ისტორიულად სავსებით გამართლებული.

---



## შოთა შოსთია

თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება  
და  
მოღვაწეობა\*



\* წაკითხულია მოხსენებად ენიმკი-ს ისტორიის განყოფილების საჯარო სხდომაზე 13.III.1939 წ.

2. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი I.

## თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც ყოველმხრივ საინტერესო პიროვნება და, პირველ რიგში, საქართველოს ისტორიკოსი, ღირსია ნოვონებისა.

პირველად აკად. მ. ბროსემ სამართლიანად მიუთითა თ. ბატონიშვილის დამსახურებაზე. იგი თავის ერთ-ერთ სიტყვაში, აკადემიის საერთო კრებაზე 1838 წ., აღნიშნავდა: „მე არ შემიძლია განუცვიფრებლად წარმოვსთქვა თეიმურაზის სახელი, რომელშიაც მაღალი ზნეობა შეერთებულია განათლებულ გონებასა და ვრცელ შეცნირებასთან, რომელიც მწერლობით შრომაში პოულობს კეთილ-შობილურს გასართობს, რომლის მიზანი არის თავისი შრომით უკუდავყოს ხსენება თავისი ერისა, რომლის მდაბალ მოწაფედ, სინდისის ქვეშ უნდა ვთქვა—აღვიარებ ჩემს თავს“ (Д. Бакрадзе—Статья по ист. и др. Гр., გვ. 9, შდ. თ. ჟორდანიას „ქრონიკები“... I, გვ. IX).

თ. ბატონიშვილის ბიოგრაფია, მისი მემკვიდრეობა შეუსწავლელია. ამიტომ მკვლევარს, რომელიც დაინტერესებულია თ. ბატონიშვილით, როგორც ისტორიკოსით, უხდება აგრეთვე მუშაობა მისი ბიოგრაფიის აღსადგენად და ნედლი, დაუმუშავებული მასალის მთლიანად დამუშავება. ამ ამოცანის ღირსეულად გადაწყვეტას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ ჩვენთვის ამჟამად ხელმიუწვდომელია ის მასალები, რომელიც ალბათ იქ ინახება, სადაც თ. ბატონიშვილმა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პერიოდი გაატარა.

ჩვენს ხელთ მყოფი მასალები (კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები „АКТЫ“..., თ. ბატონიშვილის წერილები ბროსესადმი და სხ.) თ. ბატონიშვილის მრავალმხრივ საყურადღებო ცხოვრების სურათის აღსადგენად არაა საკმარისი, მით უმეტეს—მისი მემკვიდრეობის დეტალურ ანალიზისათვის. მაგრამ ეს პირველი ცდაც თ. ბატონიშვილის პიროვნების შესწავლისათვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს.

თ. ბატონიშვილი არის საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII-ს მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრი. დაიბადა 1782 წ. 23 აპრილს, როგორც ამაზე თვით თეიმურაზის ერთ-ერთი მინაწერი მიგვითითებს<sup>1</sup>. თეიმურაზი გიორგი XII პირველი ცოლისაგან შეძენილ შვილებს შორის ყველაზე უმცროსი იყო. პ. იოსელიანის ცნობით იგი გამხდარა მიზეზი დედის, ქეთევანის გარდაცვალებისა<sup>2</sup>.

მისი აღზრდის შესახებ, როგორც სხვა ბატონიშვილების აღზრდაზე, „გიორგი XII ცხოვრების“ აღმწერ პლ. იოსელიანს არავითარი მასალა არა აქვს დაცული. სამაგიეროდ თვით თეიმურაზ ბატონიშვილის ერთ-ერთ წერილიდან ირკვევა, რომ იგი იზრდებოდა კათალიკოზ ანტონ პირველის სკოლა გავლილ, ცნობილ რექტორ დავით ალექსიშვილის ხელმძღვანელობით.

1834 წ. მაისის 16-ით დათარიღებულ წერილში თ. ბატონიშვილი ბროსეს წერდა: დავით ალექსიშვილი იყო „პაპის ჩემის მეფის ირაკლის დროს და მამის ჩემის მეფის გიორგის დროს... ინტეგრეტორი და უპირველესი მოძღვარი საქართველოს სასწავლებელთა და დიდი სასწავლებელი ჰქონდა გამართული კახეთის ქალაქსა შინა თელავს, სამეფოს პალატის ნაწილშია და იქ ასწავლიდა მამი ჩემის მეფის გარდაცვალებამდის; მერმე თავის ნებით გადამდგარა... ეს დავითი ალექსიშვილი იყო შაგირდი ანტონ კათალიკოს პირველისა და ჩემის ძმის დავითისა და ჩემი ფილოსოფიისა, ისტორიისა და ქართულის ენისა და წერისა მოძღვარი ის იყო. ჩემი ძმა დავით ხომ აღრევე ბარებოდა და როცა სწავლის დრო მოვიდა მეც მას ვებარე და ის მასწავლიდა და სხვა ოსტატებიცა მყვანდნენ. იმ ჩვენმა ოსტატმა დავით ალექსიშვილმა საქართველოს ის-

<sup>1</sup> ერთ-ერთ აკროსტიხს წამძღვარებულ შენიშვნაში, თეიმურაზი გარკვევით აღნიშნავს „წელსა ქსით 1810 აპრილის 23, თავრიზს მყოფმან ვსთქვი ესე აკროსტიხური ჩემს შობის დღეს, რომლისა კიდურ წერილობა [არს]: წაო გიორგი ვაკურთხევე დღესა შენსა, რომელსა შინა ვიშევე მწირი თეიმურაზი“. იხ. საისტორიო ფონდი, H. 2.225, თეიმურაზის ლექსების ალბომი—ფურც. 18.

<sup>2</sup> პლ. იოსელიანს დაცული აქვს შემდეგი ცნობა: „3 ივნისს 1782 წლისა მშობიარობისა გამო თეიმურაზზედ, მეფის რძალი ქეთევან გარდაიცვალა“ (ცხ. გიორგი XIII-სა“, 1936 წ., აკ. გაწერელის რედაქციით, გვ. 10, შდ. დ. ბატონიშვილი — „მასალები“, 1905 წ., გვ. 27). დაბადების ამ თარიღს იმეორებს მ. ბროსე (იხ. Жур. Мин. Нар. прос... 1846, ноябрь. гв. 38) ხოლო დ. ბაქრაძისათვის იგი უცნობი ყოფილა (შდ. Бақраძე—Статьи по истории, 1887, гв. 9).



ტორია დიახ კარგად იცოდა... საზოგადოდაც კარგი ისტორიკოსი იყო<sup>1</sup>. ცხადია, რომ სამეფო საგვარეულოს წვერი გამოცდილ ოსტატის—დავით რექტორის ხელში შესათერ მომზადებას მიიღებდა. საფიქრებელია, „საქართველოს ისტორიის კარგად მცოდნე... საზოგადოდაც კარგი ისტორიკოსის“ მეცადინეობის წყალობით აღძროდა სურვილი თეიმურაზს თავისი სამშობლოს ისტორიის არა მარტო შესწავლისა, არამედ დამუშავებისაც.

თეიმურაზ ბატონიშვილი იზრდებოდა უფროსი ძმის დავითის უშუალო მეთვალყურეობით და მზრუნველობით. თეიმურაზი მას თავის აღმზრდელად სთვლის. „კურთხეული გარდაცვალებული ძმა იგი ჩემი (დავითი, შ. მ.) ძმობის გარდა—წერდა იგი ბროსეს—ჩემი მოჭირნახულე იყო და ამღზრდელ და სხვათა ძმათა შორის განსაკუთრებული ვიყავ მისი“<sup>2</sup>. ასეთივე მზრუნველობას და მოჭირნახულებობას უწევდა დავითი თავის ძმას მეფე გიორგის გარდაცვალების შემდეგაც, როცა თეიმურაზი დარჩა უმამულოდ და სხვა სამემოსავლო სახსრების გარეშე<sup>3</sup>.

1798 წ. მომხდარა თ. ბატონიშვილის დაწინდვა ოთარ ამილახვარის ქალიშვილ ელენეზე; პლ. იოსელიანი დაწინდვას უკავშირებს გიორგის მოგზაურობას თრიალეთისაკენ, რომელიც, პლატონის მიხედვით, 1778 წ. ზაფხულში მომხდარა. „ამასვე დღესა დაწინდეს მისსა ქალსა ელენეზედ მეფის ძე თეიმურაზი, რომელსაცა არა სურდა იგი ცოლად მიზეზისათვის მის, რომელ იყო პირველ დანიშნული მის ძმაზედ შემკვიდრებედ დავით, რომელმანაც მამისა არა უთანხმოებით შეირთო ცოლად სომეხთა აბიმელიქის სეიმონისა ქალი“ (გვ. 83; ცხადია, 1778 წ. მეფის მოგზაურობის თარიღი შეცდომაა, რადგან 1778 წ. თეიმურაზი ჯერ კიდევ დაბადებული არ იყო და, ცხადია, არც მისი დაწინდვა მოხდებოდა დაბადებამდე 4 წლით ადრე). როცა დავითმა შეირთო ცოლად სომეხი ვაჭრის ქალი და ამის გამო ოთარ ამილახვარი დიდად განაწყენებული დარჩა და მეფის ოჯახს დასცინოდა კიდევ, მეფე გიორგის თანხმობით მოხდა ქორწინება თეიმურაზისა ელენეზე დავითის ქორწინების შემდეგ, ე. ი. 1799 წლის დასასრულს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> თ. ბატონიშვილის წერილები ბროსესადმი, წ.-კ. საზოგადოების ფონდი, S №—4.794, რვეული 1, ფურც. 28. ქვემოთ ყველგან „წერილები“...

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 4.

<sup>3</sup> იხ. დავითის წერილი კნორინგისადმი 1802 წ. 19 მაისს, „Акты“, II, 33. 308.

<sup>4</sup> შდ. პლ. იოსელიანი—ცხ. გიორგი XIII-სა, გვ. 139.



თ. ბატონიშვილის ბავშვობის წლების, მისი აღზრდისა და განათლების შესახებ მასალები ძალიან მცირეა და უნაკლო აღდგენა ძნელი ხდება. სამაგიეროდ შედარებით მეტი მასალაა მისი ბიოგრაფიისათვის გიორგის გარდაცვალების შემდეგ.

როგორც ცნობილია, გიორგის გარდაცვალების შემდეგ იწყება არეულობა და შფოთი ერეკლე II მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა შორის. გიორგის ანდერძისამებრ ტახტი დავითს უნდა მიეღო, მაგრამ ლაზარეუს ნაბრძანები ჰქონდა მეფის გარდაცვალების შემდეგ ტახტი არც ერთი მემკვიდრესათვის არ დაეთმო. დავითი აღიარებულ იქნა რეგენტად ტახტისა და არა მეფედ, ხოლო იულონ ერეკლეს-ძე, ერთის მხრით, დარეჯან დედოფალი მეორეს მხრით, ფიქრობდნენ გამეფებას. დესპანების: გ. ავალიშვილისა და ე. ფალავანდიშვილის მიერ 8 იანვარს ჩამოტანილ და 14 იანვარს წაკითხულ „უმაღლესი ბრძანებით“ დავითი მტკიცდებოდა გამგედ საქართველოსი, მაგრამ იგი არ იქნა მიღებული იულონისა, დარეჯანისა და სხვების მიერ... შფოთი და არეულობა გრძელდებოდა. ვერც პავლე პირველის მორიგმა რესკრიპტმა, რომელმაც დავითის გამგებლობა დაადასტურა (1801 წ. 18 იანვარი) მოსპო შეუღლი და მტრობა მემკვიდრეებს შორის<sup>1</sup>. მთელს ამ ბრძოლაში ერეკლეს შვილებსა და შვილისშვილებს შორის, თ. ბატონიშვილი განუხრელად ედგა გვერდით თავის ძმას დავითს<sup>2</sup>. ყოველნაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა დავითის გამგეობა, წერდა წერილებს სხვადასხვა პირთ და ურჩევდა მათ მიეღოთ გამგეობა „უმაღლესი რესკრიპტით“ დამტკიცებული პირისა. ასე, შავ., 1801 წლის იანვარს, თ. ბატონიშვილი ამილახვარს წერდა, რომ ის არის პირველი ქართველებიდან, რომელიც წინააღმდეგია დავითისა და ამდენად ხელმწიფის უმაღლესი ბრძანების. აფრთხილებს მას, რომ ამის გამო იგი დაუსჯელი არ დარჩება, სადაც არ უნდა წავიდეს<sup>3</sup>.

გიორგი XII თავის სიცოცხლეშივე დანიშნა მეფედ დავითი, რომელიც 1800 წ. 20 დეკემბერს სცემს სხვადასხვა სახის ბრძანებებს. მათშორის აღსანიშნავია მის მიერ დანიშვნა თეიმურაზისა მოხელედ. „შენ იყავი ციხეში, პური ბევრი დაამზადე—სწერს იგი თეიმურაზს, თუ ბიძები მოისურვებენ მოსვლას გორში, არ დაუშვა... მე შენ დაგნიშნე ქართლში მოადგილედ (Наместником),

<sup>1</sup> იქვე, გვ. 215—232.  
<sup>2</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 68.  
<sup>3</sup> „Акты“... ტ. I, გვ. 310.

მოაგროვე მებრძოლები და მოემზადე, აგრეთვე თვალყური აღდგენე იმას თუ რას შერებიან შენი ბიძები<sup>1</sup>. როგორც ამ ბრძანებიდან ჩანს, დავითს თეიმურაზი დაუნიშნავს თავის მოადგილედ ქართლში. მაგრამ ისე, როგორც დავითის „მეფობა“, ასევე თეიმურაზის მოადგილეობაც ხანმოკლე აღმოჩნდა. 1802 წ. 9 აპრილს კნორინგის ჩამოსვლამ სახლვარი დაუდო მათ. კნორინგმა ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და აგრეთვე დავითის მისწრაფებით სამეფო ხელისუფლების მთელი ატრიბუტების აღდგენისაკენ და გადააყენა იგი.

ამის შემდეგ თეიმურაზი, რომელიც, მისი სიტყვით, მამა მისის ხანმოკლე სიცოცხლის გამო, დარჩა უმამულოდ, იმყოფება თავის სამ დასთან ერთად დავითის ხარჯზე<sup>2</sup>. ის მცირე ადგილებიც კი, რომელიც მამამ, გიორგიმ მისცა მას, ნაზარსკეტი, კარაჯალი და ლომისციხე<sup>3</sup>, მიეტაცა კირილე ავალიშვილს. 1802 წ. აპრილის 11-ით დათარიღებულ განცხადებით, თეიმურაზი მიმართავს კნორინგს, რათა უკანონოდ მიტაცებული ლომისციხე, რომელიც მას ემსახურებოდა მამის სიცოცხლეში და დავითის მმართველობის დროსაც, დაუბრუნდეს, დაუნიშნონ მოურავი და იქ არავის სხვას არ ქონდეს ხელი<sup>4</sup>. ამავე მამულების თეიმურაზისათვის დაბრუნების თხოვნას შეიცავდა დავითის ზემოთაღნიშნული წერილიც იმავე კნორინგისადმი 19 მაისს 1802 წ.

ჯერ კიდევ 1801 წ. თებერვალში, როდესაც თეიმურაზი გორში იმყოფებოდა, მან განაცხადა სურვილი რუსეთში წასვლისა. ზოგ ბატონიშვილს ამისათვის დროც დაუნიშნეს, მაგრამ თეიმურაზმა ალბათ

<sup>1</sup> Акты... ტ. I, გვ. 296.

<sup>2</sup> „Акты“... ტ. I, გვ. 308, იქვე, გვ. 212, დავითს, როგორც ჩანს, თეიმურაზი თავის ქონების მემკვიდრედაც კი სურდა.

<sup>3</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 80. მოხსენებული კარაჯალი უნდა იყოს კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე ნაჩვენები Караджалар—(E 7, 62—30, 71—45) აქვე, მასთან ახლო მდებარეობდა, როგორც ჩანს, „აკტებში“ მოხსენებული ნაზარსკეტი, რაც ჩვენი აზრით უდრის კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე მოხსენებულ Назарю-ს, (E 7, 62—45, 41—30) ანუ ვახუშტის მიხედვით ნაზარას სოფელს — (გეოგრ. 168) ალგეთში—მდ. ალგეთის მარჯვენა მხარეს (იხ. ი. ლორთქიფანიძე—ქვემო-ქართლი, I—II, 1935, გვ. 333). ზოლოლომისციხე არ იხსენიება არც ვახუშტის „გეოგრაფიაში“ და არც სხვაგან. ჩვენი აზრით ლომისციხე უდრის კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე ნაჩვენებ მოლოსტინს—(E 7, 62—45, 42—00) რაც კარაჯალისა და ნაზარის ახლოსაა და აღნიშნულ რუკაზე ნაჩვენებია როგორც გორა. ამდენად საფიქრებელია ლოლისტინი, „აკტებში“ ლომისციხედ მოხსენიებინათ—ან კიდევ პირიქით.

<sup>4</sup> „Акты“... ტ. I, გვ. 311.



სხვა მოსაზრებით ავადმყოფობა მოიმიზეზა და გამგზავრების და  
 აღარ დაინიშნა<sup>1</sup>.

თეიმურაზ ბატონიშვილი ისევე, როგორც დავითი, კმაყოფილი  
 დარჩა რუსეთის ხელისუფლების ბრძანებისა დავითის გამგედ დანიშ-  
 ნის გამო და არც ფიქრობდა მის წინააღმდეგ გამოსვლას. მაგ-  
 რამ, როცა რუსეთის მიზანი აშკარა გახდა და დავითის „ვიტარცა  
 იმპერატორის მოადგილისა“ ხელისუფლება მოისპო, აზრი იცვალა  
 და დაიწყო თავისებური მზადებაც რუსეთის წინააღმდეგ შესაბრძო-  
 ლებლად.

1802 წ. ზაფხულში იგი „რალაცის“ მომზადების მიზნით ჩასულა  
 სურამში და ცხოვრობდა ნიკოლოზ ჭუბაძესთან. სურამში  
 ყოფნისას, ალბათ გადაბირების მიზნით, თეიმურაზს დაუბარებია  
 თავადი ხადრიბეკოვი და ჰქონია საუბარი მასთან, ხოლო მან  
 ამ საუბრის მთელი შინაარსი შემდეგი სახით გადასცა ლაზარევს:  
 1802 წ. ერთ-ერთ საუბრის დროს—უთითებდა ხადრიბეკოვი—თეი-  
 მურაზი დამემუქრა რა მე, აცხადებდა, რომ „ოცი დღის შემ-  
 დგ საქართველოში რუსები სრულებით არ იქნებიანო“. იგივე ხა-  
 დრიბეკოვი 1802 წ. ივნისში თეიმურაზს მეორეჯერ ელაპარაკა,  
 ხოლო ამ უკანასკნელს თითქოს აღუნიშნავს: „მამა ჩემმა მისცა  
 ტახტი რუსეთის ხელმწიფეს, მაგრამ ის იყო სულელი (губил), მე კი  
 მაგაზე ჰკვიანი ვარ და მე მინდა ვფლობდე მას (საქართველოს, შ. მ.)  
 მთელი მისი სიმაგრეებით“<sup>2</sup>. დაუჯერებელია, რომ თეიმურაზს ამ-  
 გვარად მოეხსენებინა თავისი მამა და საკუთარი თავი; მაგრამ რო-  
 გორც არ უნდა იყოს ეს საუბარი გადასხვაფერებული, მისი ანტი-  
 რუსული განწყობილება მაინც ნათელია. რომ ის სწორედ რუსეთის  
 საწინააღმდეგო ბრძოლის მოსამზადებლად იყო ჩასული სურამში,  
 ამას თვით სახლის პატრონის, რუსების მიერ მოსყიდული, ნიკოლოზ  
 ჭუბაძის ჩვენებაც ადასტურებს, რომ თეიმურაზი ღებულობდა  
 წერილებს თბილისიდან, იმერეთიდან და მას ინახავდა დიდის საი-  
 დუმლოებით თავის საწოლ ქვეშ და რომ მას (ჭუბაძეს) მოუსმენია  
 მისი საუბარი თავად აბაშიძესთან, სადაც ნათქვამი იყო სპარსეთის  
 ჯარის თავდასხმის მოსალოდნელობაზე და ამავე დროს ოსმალების,  
 ლეკების, იმერეთის ჯარის და საქართველოს მოწინავე ნაწილის  
 დახმარებაზედაც რუსების გასანადგურებლად. ვარდა ჭუბაძისა  
 სხვებიც ადასტურებენ მიმოწერას თეიმურაზისა და აბაშიძისას ახალ-

<sup>1</sup> „АКТЫ“... ტ. I, გვ. 328.  
<sup>2</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 181.

ციხეში და სხვაგან<sup>1</sup>. ასევეა მოთხოვნილი ბარტენევის პატრიარქის სიმონოვიჩისადმი<sup>2</sup>. ყოველივე ამის გამო კოვალენსკი მეფის-ძე დავითს სწერდა: „გენერალი ლაზარევი მაცნობებს მე, რომ მასთან მისული ცნობებით, ძმა თქვენი, უბრწყინვალესი მეფის-ძე თეიმურაზი, იმყოფება სურამში რაღაცას შესაგროვებლად. როგორც სურამელებს, ასევე სხვა სოფლის მცხოვრებლებს ავიწროვებს, ავალებს მორწმუნეებს ეკლესიებში მოიხსენიონ ქართველთა მეფის ერთ-ერთი მემკვიდრე, თითქოს-და აქვს მიმოწერა იმერეთში და ახალციხეში და ზოგჯერ თავისთან იხმობს თავადებს და აზნაურებს გაუგებარ საკითხებზე“<sup>3</sup>. და ბოლოს კოვალენსკი თხოვს ითათბიროს თავის ძმასთან და გაიყვანოს იგი სურამიდან.

მიიღო რა ლაზარევი ზემომოყვანილი ცნობა, მის შესამოწმებლად თვით გაემგზავრა სურამში. თეიმურაზს გაუგია რა ლაზარევის გამომგზავრება, განუზრახავს გორში გადასვლა. მაგრამ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ<sup>4</sup> გზაში. თეიმურაზი მხოლოდ მისი ბრძანების შემდეგ გადაყვანილ იქნა გორში 1802 წ. 18 ივლისს. ცნობების ადგილობრივად შემოწმებას და დადასტურებას მოჰყვა აბაშიძისა და პ. ლარაძის დაპატიმრება<sup>5</sup>. გორიდან თეიმურაზი იმავე წლის 29 ივლისს გადმოყვანილ იქნა თბილისში და იქ ცხოვრობდა<sup>6</sup>.

სპარსეთში გაქცევის რამდენიმე დღით წინ, ალბათ იმისათვის, რომ დაეთარა ეს თავისი ფარული განზრახვა, თეიმურაზმა ერთხელ კიდევ მიმართა ციციანოვს თხოვნით, რათა მას დაეწერა ბრძანება მისი რუსეთში გაგზავნის შესახებ<sup>7</sup>. ცხადია, მისი ეს თხოვნა არ იყო გულწრფელი, პირიქით, მიმართული იყო იქითკენ, რომ თავი უწყინრად მოეჩვენებინა, სპარსეთში გაქცევის განზრახვა უჩინარყო და მეთვალყურეობა მისდამი შეესუსტებინა.

რუსეთის ხელისუფლების საქართველოში მტკიცედ დამყარებით, მისდამი შებრძოლების გეგმების გაუმართლებლობით, თეიმურაზი იმედგაცრუებული დარჩა. აგრეთვე ხელავდა რა, დღეს თუ ზვალ, მსგავსად სხვა ბატონიშვილებისა, მისი რუსეთში გაგზავნის აუცილებლობას, არჩია გადახვეწა სპარსეთში და იქიდან ცდილობდა ეცადა

<sup>1</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 181—182.

<sup>2</sup> „АКТЫ“... ტ. I, გვ. 311—312.

<sup>3</sup> „АКТЫ“... ტ. I, გვ. 312.

<sup>4</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 182.

<sup>5</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 182, ტ. I, გვ. 312—313.

<sup>6</sup> „АКТЫ“... ტ. I, გვ. 367.

<sup>7</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 149.





უკანასკნელი ღონისძიებანიც თავის ბიძის ალექსანდრეს შემწეობით რომელიც ჯერ კიდევ ადრე იყო გადასული სპარსეთში.

როგორც ციციანოვის 1803 წლის 26 თებერვლის პატაკში ნათქვამია, 1803 წლის 25 თებერვალს ღამით, თეიმურაზ ბატონიშვილი თბილისიდან გაიპარა, დატოვა მეუღლე და წაიღო თან რაც კი ძვირფასი ნივთები გააჩნდა<sup>1</sup>. ამასვე ადასტურებს სიღნაღის კაპიტან ისპარენიკის სოკოლოვის ცნობაც<sup>2</sup>.

ირანში გადახვეწის<sup>3</sup> შემდეგ ბიძა ალექსანდრეს შეკედლებული თეიმურაზი არ სწყყვეტს მიმოწერას საქართველოში დარჩენილ ბატონიშვილებსა და დედოფლებთან. ასე, მაგალითად: ზ ა ქ ა რ ი ა ჯ ო რ ა ე ვ ს თეიმურაზის მეუღლე ელენესათვის ოთხი წერილი გადაუცია, ხოლო ერთ-ერთი ამათგანი დედოფალ დარიასათვის (დარეჯან) როსტომ დაეიდოვს მიურთმევია. ამ წერილში, რომელიც 1803 წ. 5 ივნისითაა დათარიღებული, სხვათაშორის ნათქვამია: „თქვენი შვილი ალექსანდრე და თქვენი შვილისშვილი თეიმურაზ, ჩვენს მოწყალეს ხელს ვაკოცებთ: ჩვენს ამბავს მოიხსენიებთ, ღვთის მოწყალეებით ყოვლითურთ შვიდობით გახლავართ. ამას წინათ ჩვენს ხელმწიფიდამ (ლაპარაკია ირანის მეფე ფათალი შაჰზე, იმავე ბ ა ბ ა ხ ა ნ ზ ე, შ. მ.) დიახ მძიმე ხალათები მოგვივიდა და დიდი მოწყალობელი ბრძანდება ჩვენი და ჩვენი საქმე ღვთის შეწყვენით თქვენად გუნებად მოვა. ყოველსავე ჩვენს ამბავს ზ ა ქ ა რ ი ა ვიამბობსთ“<sup>4</sup>.

ფათ-ალი-შაჰს შეფარებული ბიძა და ძმის შვილი ეძიებდნენ მის დახმარებას და, როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ის პირველ ხანებში, მიუხედავად გართულებულ საგარეო მდგომარეობისა, ამ დახმარებაზე უარს არ ამბობდა. იგი 1803 წ. სოლომონ მეფესაც კი

<sup>1</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 185; შდ. იქვე, გვ. 76—77.

<sup>2</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 155; შდ. Н. Дубровин, Закавказье 1803—1806 г. 1866. გვ. 83.

<sup>3</sup> პლ. იოსელიანი თავის „ცხოვრება გიორგი XIII“-საში ერთ-ერთ მიზეზად თეიმურაზის სპარსეთში გაქცევისა ოთარ ამილახვარის დაპატიმრებას თვლის: „ესრეთ, რომელ დიდისა მეცადინეობითა მეფის ძემან თეიმურაზ დაუახლოვა მემკვიდრესა დავითს სიამარო თვისი სარდალი ოთარ ამილახვრის შვილი... გარნა შემდეგ მისცა საპყრობილესაცა დროებით, სხვათა თანა, და ესრე იქმნა მიზეზად, რომელ მეფის-ძე თეიმურაზ, სიძე ოთარისა, გაიქცა სპარსეთსა და ვახლაცყენსა“ (გვ. 223, CL III). შესაძლებელია თეიმურაზის საერთო გულგატეხილობას ესეც ზედ დართოდ.

<sup>4</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 101.

წერდა ამგვარ დახმარების აღმოჩენაზე და ალექსანდრე და თეიმურაზის რაზმის გამეფებაზე საქართველოში, რუსების განდევნის შემდეგ.

როგორც ცნობილია, ბაბახანის დახმარებით დაიმედებული ალექსანდრე ბატონიშვილი ემზადებოდა ლაშქრობისათვის რუსების წინააღმდეგ. მოუწოდებდა ქართველებს დახმარებოდნენ აბას-მირზას ლაშქარს.

თეიმურაზი ამ მზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ალექსანდრე ბატონიშვილის 1804 წ. 29 მარტის ცნობილ წერილს<sup>2</sup> მუხრანის მცხოვრებლებისადმი, თან ერთვოდა თეიმურაზის მინაწერიც, სადაც ნათქვამი იყო: „მეფის-ძე თეიმურაზ სიყვარულით მოგიკითხავთ; თუ ჩვენს ამბავს იკითხავთ, ჩვენც ამათს უმაღლესობას, ბიძა ჩვენს, ვახლავართ; ხელმწიფისაგან ასეთი მოწყალეობა მიადგა, რომ ჩვენს მამა-პაპას ხელმწიფისაგან ასეთი მოწყალეობა არ მიზღვომიათ; ახლა თუ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ, ახლავ ამათს უმაღლესობას იახელით. ღმერთმან ხომ იცის ხელმწიფისაგანაც და ბიძა ჩვენისგანაც დიდი მოწყალეობა დაგეპართებათ და თუ ამ ჩვენს რჩევას არ დაიჯერებთ და არ მოხვალთ, საუკუნოდ თქვენს ოჯახს დააქცევთ და ახლა თქვენ იცით“<sup>3</sup>. ამგვარივე შინაარსის წერილებს სწერდნენ კონსტანტინე ბაგრატიონ მუხრანელს<sup>4</sup>, პაატა აბაშიძეს<sup>5</sup>, თიანეთის მოურავს დიმიტრი ჩოლოყაშვილს, ბოდბის მიტროპოლიტს იოანეს<sup>6</sup> და სხვებს. მაგრამ წერილებმა გამოხმაურება ვერ ჰპოვა და ალექსანდრეს სიტყვით „ხელმწიფის ასეთი მოწყალეობა... მთელი ერანის ლაშქრობა“ აბას-მირზას ხელმძღვანელობით, მარცხით დასრულდა: 1804 წ. ივნისის 30-ს რუსის ჯარის მიერ განადგურებულ იქნა ერანის ლაშქარი აბას-მირზას მეთაურობით დაბანაკებული. ხოლო იმავე წლის 15 ივლისს ციციანოვი აღკვეთავს ბაბახანის ლაშქრობასაც ერევანთან.

მიუხედავად ამ დამარცხებისა ალექსანდრე და თეიმურაზის იმედები არ განადგურებულა. ბაბახანი ჯერ კიდევ უჯეროდა მათ და საბოლოოდ გულგატეხილი არ იყო. მეორე ლაშქრობაც, რომელიც 1805 წ. ზაფხულში ხდებოდა, აგრეთვე ირანის ჯარის მარცხით დამთავრდა.

<sup>1</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 363.

<sup>2</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 159—160.

<sup>3</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 160.

<sup>4</sup> „АКТЫ“... ტ. II, გვ. 161.

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 161—162.



1805 წლის 11 იელისს და 3 აგვისტოს, ციციანოვი სრულიად რუსეთის იმერეთის მთავრობის დროს მდ. არაქსის ნაპირებზე, უკუქცეული იქნა ბაბახანი, ხოლო 1805 წ. აგვისტოს პოლკოვნიკ კარიაგინმა დაამარცხა მდ. ზაჰამთან აბას-მირზა; ამ ბრძოლის დროს მძიმედ დაიჭრა თეიმურაზ ბატონიშვილი<sup>1</sup>.

დამარცხებულმა აბას-მირზამ დატოვა ერევანი, 1805 წ. 17 აგვისტოს არაქსით ნახეჩევანისაკენ გაემართა და წავიდა თავრიზში<sup>2</sup>. ხოლო ალექსანდრე და თეიმურაზი აბას-მირზას დამარცხების შემდეგ დარჩნენ ერევანში და იქ დაჰყვეს ოქტომბრამდე, ალბათ იმ მოსაზრებით, რომ დაუბრკოლებელი მიმოწერა ჰქონოდათ საქართველოში. და ან, როგორც რუსი მოხელეები ფიქრობდნენ, ბაბახანი ამ არასასურველი ექსპედიციის შემდეგ გულგატეხილი იყო მათზე, არ სურდა მიეცა მათთვის საკუთარი ნასუფრალიც კი და არ უჯეროდა უკვე არაფერს<sup>3</sup>. როგორც ჩანს, ამიერიდან ალექსანდრესა და თეიმურაზის ორიენტაცია იცვლება.

ციციანოვი ჯერ კიდევ ადრევე შეეცადა თეიმურაზის გადმობრუნებას, 1803 წ. 22 მარტის წერილით დაბრუნებას ურჩევდა თავის სამშობლოში, თავის ცოლთან<sup>4</sup>. ამასვე იმეორებდა იგი 1804 წ. 31 იელისს, ე. ი. აბას-მირზას ექსპედიციის დამარცხების შემდეგ, უხსნიდა მას, რომ რუსეთი უძლეველია, რომ მისი დამარცხება შეუძლებელია დაღისტნელების და ირანელების დახმარებით, დროა ჩაუფიქრდეს ამას და დაუბრუნდეს სამშობლოს<sup>5</sup>. ასეთივე შინაარსისა აგრეთვე 1805 წ. 7 მარტის წერილიც. ამგვარივე წერილებს უგზავნიდა ციციანოვი თეიმურაზის მეუღლე ელენეს და ითხოვდა მისგან ზეგავლენას თეიმურაზზე მის დასაბრუნებლად<sup>6</sup>. მაგრამ ყველაფერი ეს უყურადღებოდ რჩებოდა... თეიმურაზი, როგორც ჩანს, მაშინ მტკიცე გადაწყვეტილებას აღგა<sup>7</sup>.

რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მთელი მიზეზი თეიმურაზს ნათლად გამოხატული აქვს ერთს თავის საპასუხო წერილში ციციანოვისადმი. იგი წერდა: „გარნა უკეთუ გნებაესთ სამსახური ჩვენ მიერ

<sup>1</sup> „Акты...“ ტ. II, გვ. 441, 717, 843—844, 846; შდ. Дубровин, Закавказье, стр. 435. (1805 წ. ექსპედიციის შესახებ იქვე, გვ. 414—435).

<sup>2</sup> იქვე, გვ. 848.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 182—183.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 184.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 183.

<sup>7</sup> შდ. Дубровин, Закавказье от 1803—1806 г. გვ. 86.

მაღალისა ხელმწიფისა, წარმოგზავნონ ოჯახისა ჩუენისაგან ერთი, მეღიკა სათნო იყოს იმპერატორისა, მეფედ ქუეყანასა შინა ჩუენსა და აღადგინოს მაღალმან ხელმან დაცემული ოჯახი ჩუენი და მაშინ ჩუენ ყოვლისა ბრძანებისა მისისა მორჩილნი შევიძლებთცა სამსახურთა შესაბამთა დიდებულებისა მისისათა. და თუ არა ესრეთ იქმნას, არცა ჩუენ ძალ გვიძს მოსულად მანდა, ვინადგან არა ვართ ჩუენ გოჰთაჯნი მხოლოდ გლახაკებრივისა პურისა ქამისანი, არამედ ყოველთვის სისხლ დათხევით მცდელნი ბაგრატიონთა ოჯახისა აღდგენისანი<sup>1</sup>. ნათელია, რომ თეიმურაზის ბრძოლის ერთად-ერთი მიზანია „სისხლის დათხევით ცდა ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენისა“. ასეთივე „კრედო“ გამომზეურებული აქვს თეიმურაზს თავის წერილში ერთ-ერთ ძმისადმი: «Сердце мое не терпит такого бесчестия, наносимого дому моему; также при-скорбно мне, что ваше место занимает один дурак, а вы находитесь в плену»... მოითხოვს დაისვას ერთი ვინმე ბაგრატიონთა გვარიდან მეფედ და ასკვნის, «а ежели сего не будет, то по смерть мою не перестану стараться о своем деле»...<sup>2</sup>.

თეიმურაზს ეს მტკიცე გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინა მისთვის ძვირფასი მეფულის, ელენეს, სიბრალულითა და სიყვარულით სავსე წერილმაცკი<sup>3</sup>, რომელიც 1806 წ. 4 ივლისს გაუგზავნეს მას და რომლითაც სურდათ გაეტეხათ მისი გადაწყვეტილება და გაეზედინებინათ გადმოსვლა თეიმურაზისათვის საქართველოში. მაგრამ, როგორც ჩანს, წერილმა მიზანს ვერ მიაღწია და თეიმურაზი განაგრძობდა ბრძოლას „სიკვილიამდი, ბაგრატიონთა დაქცეული ოჯახის აღსადგენად“.

1805 წ. თეიმურაზი იხსენიება, როგორც ერთ-ერთი მეთაური ერევნის ხანის კულიხანის ლაშქრისა, ქემალ-ხანთან ერთად<sup>4</sup>.

1805 წ. ოქტომბერს გამოემგზავრა ისევ ბაბახანისაკენ<sup>5</sup> და ცდილობს დაარწმუნოს იგი, რომ გამარჯვების მიღწევა შესაძლებელია, თუ კი რუსეთს მთიელ მოსახლეობას აუმხედრებენ<sup>6</sup>. მაგრამ, როგორც ჩანს, აქ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და გადადის ახალციხეში.

<sup>1</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 184—185.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 185.

<sup>3</sup> ელენეს წერილი, იხ. „Акты“... ტ. III, გვ. 63.

<sup>4</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 604.

<sup>5</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 916.

<sup>6</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 980.



როგორც ციციანოვი ფიქრობს, ის აქ ახალ მფარველს ეძიებს და ვადაძე<sup>1</sup> დაეად იმისა რომ თეიმურაზი ისევ აბას-მირზას ლაშქარში იმყოფება, ხედავს რა მხოლოდ სპარსეთის დახმარებიდან არაფერი გამოდის, ბიძასთან ერთად მიმართავს ოსმალეთს, ინგლისს და სხ. და მათი დახმარებით, თეიმურაზსა და ალექსანდრეს განზრახული აქვთ შებრძოლება რუსეთის წინააღმდეგ. როგორც ირკვევა, თეიმურაზს აგრეთვე გარკვეული ორიენტაცია აღებული ჰქონდა ნაპოლეონის საფრანგეთისაკენ. მას მიწერ-მოწერაც ჰქონია ამ საკითხზე. საფიქრებელია, რომ გამგზავრებაც კი სურდა ამ მიზნით საფრანგეთში. ის ერთ-ერთ ძმას წერდა: „გთხოვთ თქვენ, თუ შეიძლება იშოვოთ ჩვენთვის ერთი ისტორია საქართველოსი, ლექსიკონი და გეგმა ქვეყნიერებისა თუნდაც ფრანგულად, მხოლოდ კარგი და მსუბუქი ვზისათვის“<sup>2</sup>. მაგრამ, ჩანს, მგზავრობის გეგმა ჩაშლია და მხოლოდ მიწერ-მოწერითლა კმაყოფილდებოდა. ასე, მაგალითად: ერთ-ერთ წერილში ის წერს: „მე ამჟამად მაქვს პასუხი ჩვენს წერილზე საფრანგეთიდან“<sup>3</sup>. ამასვე იმეორებდა იგი 1810 წ. 18 მაისის წერილში ლევანისადმი: „კვალად ჩემი მოხსენება ეს არის, მე ყოველის აღვილიდამ ამბავი მაქვს, პარიჟიდან, პეტერბურხიდან, სტამბოლიდან და თბილისიდან ხომ ჩემნი კაცნი მოვიდნენ“<sup>4</sup>.

1809 წ. 29 ივლისს ალექსანდრე ბატონიშვილი ახალციხეში იმყოფება, აქედან ფიქრობს ანტირუსულ განწყობილების შექმნას (რისთვისაც მას სპარსეთისაგანაც მიუღია სათანადო თანხა) და გამოლაშქრებას საქართველოში რუსების წინააღმდეგ. ტორმასოვი აფრთხილებს ახვერდოვს, რათა მზად იყოს ამგვარ შემთხვევისათვის. ამავე მიზნით, როგორც ჩანს, თეიმურაზ ბატონიშვილი გამოემართა ერევნიდან იმერეთისაკენ<sup>5</sup>. როგორც აღვნიშნეთ, ისინი ამზადდებდნენ ნიადაგს სპარსეთ-ოსმალეთ-ინგლის-საფრანგეთის კოალიციისათვის რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ შეუძლებელი იყო ამგვარი კოალიციის მოწყობა. ამ დროისათვის შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობის მიხედვით იგი განუხორციელებელ ოცნებას წარმოადგენდა და მართლაც ვერ გატარდა.

თეიმურაზ ბატონიშვილი რწმუნდებოდა რა მთელი ამ გეგმების უსუსურობაში, 1810 წლისათვის ის თავის მტკიცე გადაწყვეტილებას

<sup>1</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 94.  
<sup>2</sup> „Акты“... ტ. II, გვ. 185.  
<sup>3</sup> „Акты“... ტ. IV, გვ. 707.  
<sup>4</sup> „Акты“... ტ. V, გვ. 40, ტ. IV, გვ. 708.  
<sup>5</sup> „Акты“... ტ. V გვ. 126.



სკვლის და არჩევს რუსეთთან შერიგებას. ამ შერიგების საქმეში „დიდი როლი ითამაშა პეტრე ლარაძემ, როგორც გვამცნობს მისი „ჩახრუხაული და შაირნი, მწირობასა შინა თქმული ოდეს მსახურა მეფის ძეს თეიმურაზს და ძლიერის ხელოვნებით გამოიყვანა სპარსეთით“<sup>1</sup>. როგორც ირკვევა, ტორმასოვის დავალებით, პეტრე ლარაძე გაგზავნილ იქნა სპარსეთში თეიმურაზის მოსაძებნად. როგორც ლარაძე გვატყობინებს იგი დიდის ვაივაგლახით მოუძებნია. ამ დროს თეიმურაზი ერევანთან დაბანაკებულ აბას-მირზას ლაშქარში მთელ არტილერიას მეთაურობდა<sup>2</sup>. მაგრამ არც ისე ადვილად დაუნებებიათ თეიმურაზი მისთვის. შეტაკებაც კი მოსვლია სპარსელებთან; იგი თავის ზემოაღნიშნულ პოემაში წერს:

„განვაკვირვე სპარსთა გული, თვთ მემკვიდრეს უქმენ ხლათი, გამოვაპე შუა რაზმი, სთქვეს რა დილის სალავათი“...<sup>3</sup>.

აბას-მირზას ლაშქრისაგან თავი დაუღწევია, მაგრამ არფაჩაიზე მათ დასხმია აგრეთვე ირანელების რაზმი, რომელიც პეტრეს მოუგერებია თურმე...

ამ ბრძოლის შემდეგ 1810 წლის 15 სექტემბერს რამდენიმე მხლებელითურთ თეიმურაზი გამოცხადდა პოლკოვნიკ ურაკოვთან (იხ. ტორმასოვის წერილი ახვერდოვთან 1810 წ. 18 სექტემბერს „Акты“... IV, გვ. 136).

დ. ბატონიშვილის „მასალების“ მიხედვით: „მაშინ (1810 წ., შ.მ.) ძე ყეენისა აბაზ-მირზა იდგა გარნისს, მუნით განივლტო მეფის გიორგის ძე თეიმურაზ ჯვარის ამაღლების დღეს 14 სექტემბერს, რომელიცა იმყოფებოდა ძესთან ყეენისა აბაზ-მირზაასთანა [დიდითა პატივითა თავად თოფხანათა ზედა, ახლად განსწავლულთა რეგულთა ზედან სპარსთასა. და მოვიდა ტორმასოვთან, რომელიცა იდუმალ ტორმასოვი ეზრახოდა და შეუჩინა გამზდელი ლალა მისი პეტრე ლარაძე აზნაური, რომელმანცა მოაც-თუნა და მოიყვანა მუნით. ხოლო მოვიდა რა თბილისს, წარგზავნა იგიცა რუსეთსა შინა“ („მასალები“, გვ. 96). როგორც ამ ამონაწერიდან ირკვევა, ლარაძე ტორმასოვის დავალებით წასულა თეიმურაზთან. მან, ალბათ შეთანხმებების პირობების წარდგენით, თეიმურაზი მოაცთუნა და შესძლო მისი დაბრუნება სამშობლოში. ჩანს შერიგებისას წამოყენებული პირობები არ გატა-

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 206.

<sup>2</sup> შდ. „Акты“... ტ. IV, გვ. 948, დ. ბატონიშვილი, „მასალები“, გვ. 96.

<sup>3</sup> კ. კეკელიძე, იქვე: წ.-კ. საზოგადოების ხელნაწერი № 155.



რებულა. სხვანაირად აუხსნელი იქნებოდა თუ რატომ იგი ასე ადვილად ლარაძეს და თუ რატომ დარჩა თეიმურაზი ნაწყყენებული საქართველოში დაბრუნების შემდეგ.

ტორმასოვი თ. ბატონიშვილის დაბრუნებას სთვლიდა ერთ-ერთ დიდ გამარჯვებად (იხ. მისი წერილი კამენსკისადმი, „Акты“... ტ. IV, გვ. 948). თ. ბატონიშვილი მართლაც, როგორც ჩანს, გამოპარულა, მას თან არ ჰქონია ტანისამოსი და სხვა საჭირო ნივთები. ამის გამო მისცეს დახმარების სახით 200 მანეთი და დაუნიშნეს 300 მანეთი თვითრად<sup>1</sup>.

თეიმურაზი ვერ შეურიგდა რუსებს იმგვარად, როგორც ფიქრობდა და ალბათ ისე, როგორც შერიგების პირობებში ნათქვამი იყო. ამის გამო აითვალისწინა ლარაძე, რომელსაც თვლიდა მთავარ მიზეზად მისი ირანიდან მობრუნებისა<sup>2</sup>.

პლატონ იოსელიანს დაცული აქვს ერთი საინტერესო საუბრის შინაარსი თეიმურაზთან, რომელიც ნაწილობრივ გვიხსნის მისი რუსეთთან შერიგების მიზეზს. პლატონის სიტყვით თეიმურაზი სპარსეთში მისი ყოფნის შესახებ აცხადებდა: „როდესაც მე თვით შემდგომად მეფისა გარდაცვალებისა წარვედი სპარსეთსა, მაშინ მეფის ძე ალექსანდრე დიდად მყვედრიდა მეფისა მამისა ჩემისა ესრეთ მოქცევასა. წერილთა შინა მისგან მოწერილთა, მოიხსენიებდა მეფესა უშვერად და უკადრისად და სწყევლიდა მას. სიტყვანი ესე მოსწყვლიდენ ჩემსა გულსაო და მაშინ ვსცან მტრობა მისი მამისა ჩემისა სახლისათვის და ბოროტი განზრახვა მისი ძმათათვის ჩემთა. შემძაგდა მეფის ძე ალექსანდრე და ვნახე თვით სპარსელთა ქცევა, ბილწი ჰაზრი, მათი უსაფუძვლო განმგებლობისათვის და საომრად ვსცან იგინი არა რაჟსა მცოდნენი... დიდად მიკვირდა მდგომარეობა ირანისა, მეფეთა კარისა და მოვიხსენიებდი პაპისა ჩემისა კარსა...“<sup>3</sup>. შესაძლებელია იოსელიანს საუბრის შინაარსი თავისებურად გადაეკეთებინა, მაგრამ მაინც სინამდვილეს არ უნდა იყოს მოკლებული თეიმურაზის გულგატეხილობა მისი ბიძისადმი და საერთოდ ირანის ძალებისადმი. ისიც ცხადია, რომ თეიმურაზი ვერც რუსებს შეურიგდა ისე, რომ ასე ზოხლით მოეხსენებინა მისი ბიძა და თვით ირანის სამეფო კარი, რომელთანაც იგი 7 წელიწადი შეკედლებული იყო. პირიქით, რუსეთთან შეურიგებლობისა გამო იგი იძულებული

<sup>1</sup> „Акты“..., ტ. IV, 137.

<sup>2</sup> შდ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 206.

<sup>3</sup> პლ. იოსელიანი „ცხოვრება“, გვ. 178.



გახდა საქართველო მიეტოვებინა და იმავე წელს რუსეთს გადასახლებალიყო<sup>1</sup>.

თეიმურაზის ირანში ყოფნას მისი მომავალი მეცნიერული მუშაობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მან აქ ყოფნისას შეითვისა სპარსული ენა და ბროსეს აზრით თვით თურქულიც<sup>2</sup>. საფიქრებელია სპარსეთში ყოფნისას დაეწყო თეიმურაზს დიპლომატიურის მოსაზრებით ფრანგული ენის შესწავლაც, რაც მთავარია, გაეცნო სპარსულ ლიტერატურას, რომლითაც თავის მდგომარეობაში დიდად შეეძლო ესარგებლნა. ამ მოსაზრებას ადასტურებს თვით თეიმურაზის განცხადებაც, როცა იგი, სხვათაშორის, ეხება ქაიხოსრო სპარსთა მეფისაგან საკერპო ტაძრის აგებას და იქ სპარსეთის მეფეთა კურთხევის წესს, თავის „ივერიის ისტორიაში“ წერს: „ესე თავრიზს ყოფასა ჩემსა წელსა 1809-სა გამოიწერა წიგნისა მისგან სპარსულისა მოთხრობისაგან აღრიბეჟანისა, რომელსაცა წიგნსა ეწოდების სპარსულად „თარიყი-აღრებეიჟან“, რომელსა შინა წერილ არიან ზემოდ თქმულნი ესე“<sup>3</sup>.

აქვე, სპარსეთში ყოფნისას, შეუგროვებია მას მასალები თავისი შრომისათვის „აღწერა აწინდელთა სპარსეთისა ყუენთა (ანუ შაჰთა) და გვარეულობისათვის ყაჯართასა თუ საიდგან წარმოებენ“, დაწერილი ს. პეტერბურგს მოსვლისთანავე 1811 წ. გრაფ ნიკოლოზ რუმიანცევისათვის<sup>4</sup>. ჩვენი აზრით, ირანში ყოფნისას აქვს ნათარგმი თეიმურაზს ირანულიდან „წიგნი ათნი გვირგვინნი, ანუ შირვან სპარსთა მეფისაგან ქმნული“<sup>5</sup>. ასევე, აქვე უნდა ჰქონდეს დაწერილი „პრაქტიკა არტილერიისა“<sup>6</sup>... როცა იგი აბას-მირზას ლაშქარში არტილერიას მეთაურობდა.

გარდა ამისა, ირანში ყოფნისას თეიმურაზი, როგორც ჩანს, წერდა ლექსებსაც. ამ პერიოდს ეკუთვნის მისი რამდენიმე პოეტური ნაწარმოები, რომელთაც არც ისე დიდი ლიტერატურული ღირსება გააჩნიათ. როგორც თვითონ აღნიშნავს, სასულიერო ხასიათის ლექსების წერაში ატარებდა „ქამსა უცხოებასა მყოფობისას“.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, იქვე.

<sup>2</sup> შდ. ბროსე—Жур. Мин. Нар. Пр. 1846 წ., გვ. 39.

<sup>3</sup> თ. ბატონიშვილი—„ისტორია ივერიისა“, 1848 წ., გვ. 80.

<sup>4</sup> აღნიშნული შრომა მოხსენებულია თეიმურაზის ბიბლიოთეკის კატალოგში. იხ. А. Чагарели, Свед. о памят. груз. письм. 1894, ტ. I, გვ. 179 და საეკლესიო ფონდის კოლექცია: А 1091, გვ. 89, № 163.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 175 № 136; А 1091, გვ. 75, № 140.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 184 №—193. А 1091, გვ. 109, № 199.



მისი სიტყვით, სპარსეთში დაწყებული სამოცტაეპიანი ე. წ. „სამოცტაეული“ „სადიდებლად და სინარულით სავედრებლად ყთღლად წმიდისა დედოფლისა... მარიაშის მიმართ“, 1811 წ. ს. პეტერბურგს დაუმთავრებია<sup>1</sup>. ამგვარივე შინაარსისაა მის მიერვე შეთხზული აკროსტიხები, 1804 წ. 22 აპრილს, იესო ქრისტეზე<sup>2</sup>, წმიდა გიორგიზე<sup>3</sup>, 1806 წ. იანვრის 14-ს, აკროსტიხი კიდურწერილობით: „წინა ნეტარო გძნობ (sic!) მონა უღირსი ქებით, რათა მიხსნა მტერთაგან შეპყრობილი“...<sup>4</sup>, 1810 წ. აპრილის 23-ს ისევ წმიდა გიორგიზე<sup>5</sup>. თუ ყველა ამ ლექსებს დავემატებთ პოემა „ვაშლსაც“ (იხ. ქვემოთ), ამოწურული იქნება თეიმურაზის მხატვრული შემოქმედების მთელი საგანძურიც. დასახელებული ლექსები ლიტერატურის ისტორიისათვის ინტერესს მოკლებულნი არ იქნებიან, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით არც ისე მაღალხარისხოვანია და თეიმურაზის პოეტური ნიჭის სიღარიბეზე მიგვითითებენ.

ამრიგად, ირანში ყოფნისას იგი ეწეოდა ლიტერატურულ შრომას, ეცნობოდა ირანის ისტორიასა და ლიტერატურას, რასაც მისი მომავალი მუშაობისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

## II

თეიმურაზ ბატონიშვილი, გამგზავრების ხარჯებისათვის მიიღო რა 4.500 მანეთის ასიგნაცია, 1810 წლის დასასრულს გაემგზავრა სანკტ პეტერბურგისაკენ და მთელი დანარჩენი ცხოვრება გაატარა იქ. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზის ამაღლაში, სხვათა შორის, პეტრე ლარაძეც შედიოდა, რომელიც ბატონიშვილს ლარაძის სურვილის წინააღმდეგ წაუყვანია<sup>6</sup>.

სანკტ პეტერბურგში ცხოვრებიდან იწყება თ. ბატონიშვილის ნაყოფიერი მუშაობის პერიოდი. მთელი თავისუფალი დრო, რომელიც ამ ხანებში მის ხელთ იყო, ხმარდებოდა, როგორც ჩანს, საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვებას, დამუშავებას და ზოგიერთ სპეციალური წიგნების თარგმნას. 1811 წლიდან 1830 წლამდე უნდა იყოს ნათარგმნი და დაწერილი ყველა ის შრომა, რომელთაც საქართველოს ისტორიასთან ნაკლები კავშირი აქვთ და მეცნიერე-

<sup>1</sup> თეიმურაზის ლექსები. საისტ. ფონდის კოლექცია. H 2225, ფურც. 1.

<sup>2</sup> H 2225, ფურც. 13-14.

<sup>3</sup> იქვე, ფურც. 18.

<sup>4</sup> იქვე, ფურც. 22.

<sup>5</sup> იქვე, ფურც. 18.

<sup>6</sup> შდ. კ. კეკელიძე—ქართ. ლიტ. ისტ. ტ. II, გვ. 207.

ზის ამა თუ იმ დარგს ემსახურებიან, — ბროსეს გაცნობის შემდეგ, ე. ი. 1830 წლიდან თეიმურაზს ამგვარი თარგმანებისათვის არ ეცდებოდა ამრიგად, ჩვენი აზრით, 1810—1831 წლებს მიეკუთნება თეიმურაზის შემდეგი თარგმანები და ორიგ. შრომები. თარგმანებიდან: ა) გრიგოლ კონსტანტინეპოლელ პატრიარხის დაფლვაზე თქმული სიტყვა<sup>1</sup>, ბ) წიგნი „ბუნებისათვის ღმერთთაჲსა“ (ციცერონისა<sup>2</sup>, გ) წიგნი არისტოტელისა „ბოროტისათვის და კეთილისა“<sup>3</sup>, თარგმნილი ქართულად რუსულიდან (თეიმურაზმა ჯერ კიდევ ბერძნული არ იცოდა ეს თარგმანი იხსენიება დ. ჩუბინოვის ბიბლიოთეკის კატალოგში. იგი 1787 წ. ლათინურიდან რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი ყოფილა, ხოლო აქედან ქართულად უთარგმნია თეიმურაზს და გამოუციათ 1818 წ. პეტერბურგში), დ) „ტაქტიკა... ქარტებით“, თარგმნილი ფრანგულიდან ქართულ ენაზე,<sup>4</sup> ე) „მხედრობის დარიგება ნაპალეონისაგან“, თარგმნილი რუსულიდან.<sup>5</sup> ვ) „ფრანციკულნი სჯულნი სამხედროთაგანთა“, თარგმანი ფრანგულიდან<sup>6</sup>; ამ პერიოდის ორიგინალურ შრომებს უნდა ეკუთვნოდნენ: „საარბმატიკოთა და საგეომეტრიოთა პროპორციათა, პროგრესიის კანონთა“<sup>7</sup>, „რუსეთის სამმართველოთა და სამსაჯულოსა ადგილებისა და სჯულთათვის რომელთამე, მოკლედ ქმნილი“<sup>8</sup> და თვით პოემა „ვაშლი“-ც<sup>9</sup>. „ვაშლი“ თეიმურაზ ბატონიშვილის ჩვენთვის ცნობილი ერთ-ერთი პოემაა, რომელიც, როგორც ჩანს, მიუძღვნია დისწულ გრიგოლ დადიანისათვის:

„ეს პოემა შევთხზე მეფის ძემან თეიმურაზმან პოეტიკურად  
გრიგოლისათვის, ჩემის დისწულის, დადიანის ძის, ვინა არს  
ლექსთ მყურად,  
მე მისთვის შრომას არ ვრიდებ თავს, რადგან გულით ვარ მი-  
სადმი მსურად,

<sup>1</sup> Пагарели—Свед. о памятниках... т. I. вып. 3, гл. 156, № 43; შდ. საეკლესიო ფონდი А 1091, გვ. 24, № 49.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 174, №—130; შდ. А 1091, გვ. 73, № 134.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 175, № 137, А 1091, გვ. 76, № 141.

<sup>4</sup> А. Пагарели—Свед. о памятниках, гл. 84 № 59; А 1091, гв. 107 № 194.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 184 № 190; А 1091, გვ. 108, № 195.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 189 № 191; А 1091, გვ. 108, № 197.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 184 № 194; А 1091, გვ. 109-110. № 200.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 183 № 185; А 1091, გვ. 105 № 189.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 119 № 75

ესასოებ, ამ ღვაწლს არ შეურაცხ-ჰყოფს, ხშირად წარმოს-  
თქვამს რიტორიკულად.

სამწუხაროდ, პოემის დაწერის თარიღი უცნობია.

თარგმანების განხილვიდან ირკვევა, რომ თეიმურაზს, გარდა სპარსულისა, თურქულისა და რუსულისა, სკოდნია ფრანგული, აგრეთვე ლათინური, როგორც ეს თეიმურაზის მიერ თარგმნილ „რომაულნი სჯულნი“-დან ირკვევა,<sup>2</sup> ხოლო ბერძნული კი არა. ეს იქიდან ჩანს, რომ, ჯერ ერთი, მას არისტოტელი უთარგმნია რუსულიდან, და არა დედნიდან; მეორე: ამაზე გარკვევით მიგვითითებს მისი ერთ-ერთი წერილი ბროსესადმი, სადაც თეიმურაზი აღნიშნავს, რომ 1817 წ. მისმა ძმამ დავითმა მოსკოვიდან მოატანინა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის „ისტორია“, „რომელშიაც არიან საქართველოსი ზოგი რაჰმენი ისტორიანი, ბევრი კარგი არის და სწორად და ზოგში კი შემცდარი“, მაგრამ თვით ვერ შესძლებიათ მისი გადათარგმნა ბერძნულიდან და მოუყვანიათ ბერძნულის მცოდნე ვილაც გიორგი, რომელიც თურმე თარგმნიდა რუსულად, ხოლო თეიმურაზი რუსულიდან აქართულებდა. ამგვარად თარგმნილი წიგნი, ალბათ სარედაქციოდ, გაუგზავნიათ დავით რექტორისათვის<sup>3</sup>.

ხოლო, რომ თეიმურაზმა 1840 წ. უკვე ბერძნული კარგად იცოდა, ამას მოწმობს მის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „ფრიკისა და ოქროს მატყლოვანისათვის ვერძისა“, რომელიც მიეძღვნა „დისწულის ძესა მისსა დადიანს დავითს“. მას დართული აქვს შემდეგი მნიშვნელოვანი შენიშვნა: „ქართულად ძველთა ელინურთა წიგნთაგან გადმოითარგმნა და ძველად ქართველისა ვისგანმე ნათარგმანეთა თანა შესწორდა და უმჯობეს იქმნა. ქართული იაზონისა და მირმიდონთ ამბავი ვგონებ რვაასის წლის ნათარგმნი იყოს ქართულზედ: მეფის ძე თეიმურაზ, წელსა ქრისტესით 1840 წ. ოკტობრისა 15, პეტერბოფს“<sup>4</sup>. ამავე პერიოდს (1844 წ.) ეკუთვნის თეიმურაზის ერთ-ერთი სასულიერო ხასიათის ნაწარმოები: „გიხაროდენი წისა ნიკოლაოზისა“, რომელიც, როგორც იქვე დართულ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 120; წ.-კ. ხელთნაწერი №-3696, ფურც. 8. თეიმურაზის პოემა „ვაშლი“ ანუ „დარღვევა ტროადისა“ დაბეჭდილ იქნა ჟურნალ „ცისკარში“ — იხ 1860 წ. № IX.

<sup>2</sup> „რომაულნი სამხედრონი სჯულნი შემოკლებით თარგმნილი ლათინურისაგან მეფის ძის თეიმურაზის მიერ“ — იხ. A 1091; ვ. 108, № 196.

<sup>3</sup> „წერილები“ ფურც. 28—29.

<sup>4</sup> წ.-კ. ხელთნაწერი № 3723, „კრებული“, გვ. 493—546.

მინაწერიდან ჩანს, მიუძღვნია თავის დისათვის, სამეგრელოს მთავარს  
გრიგოლ დადიანის მეუღლე ნინოსათვის<sup>1</sup>.

\* \* \*

თეიმურაზ ბატონიშვილის ნაყოფიერი მუშაობა საქართველოს ისტორიაში იწყება მ. ბროსეს გაცნობიდან. სენ-მარტენის ხელმძღვანელობით დაარსებული „აზიური საზოგადოების“ წევრები ცდილობდნენ წერილობითი კავშირი დაემყარებინათ ამა თუ იმ ქვეყნის გამოჩენილ მეისტორიებთან, თუ სამეფო ტახტთან დაკავშირებულ პირებთან. კერძოდ, მარი ბროსეს მიმოწერა ჰქონდა თითქმის ყველა ქართველ ბატონიშვილთან და სხვა გამოჩენილ პირებთან, არა მარტო მეცნიერული, არამედ, როგორც თვითონ ამბობდა, ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკური მოსაზრებითაც<sup>2</sup>. 1830 წლიდან ბროსე მკვიდრო კავშირს იქერს თეიმურაზ ბატონიშვილთან. ზდება გაცნობა მიმოწერით. 1930 წ. დათარიღებული წერილით უნდა იწყებოდეს თეიმურაზის მიმოწერა ბროსესთან, რადგან ამ წერილით ბატონიშვილი, როგორც ჩანს, პირველად აცხადებს სურვილს კორესპონდენტობისა და ამცნობს თავის მისამართსაც... „მე თვით გექმნები შენ თანამოსამსახურე, ე. ი. კორესპონდენტი, ზოგად ყოველთავე, ძველთა და ახალთა საეკლესიოთა გინა საეროთა და სამოქალაქოთა ხელოვნებათა ჩუენისა სწავლისათა“<sup>3</sup>. ხოლო, ვაგზავნილ მისამართით ატყობინებს, რომ მას აქვს თავისი „საკუთარი სახლი სანკტ პეტერბურღს, ვასილის ოსტროვასა შინა მეცხრეს ლინიაზედ, მახლობელ მდინარესა ნევისა №—8-ს“<sup>4</sup>.

თეიმურაზ ბატონიშვილი, როგორც ამ წერილიდან ირკვევა, საკმაოდ მომზადებული უნდა ყოფილიყო კორესპონდენტობისათვის „ზოგად ყოველთავე“ საკითხისათვის საქართველოს ისტორიიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იკისრებდა მისი სიტყვით „სიბრძნითა განათლებულ“ პარიზის საზოგადოების კორესპონდენტობას. მას ალებული მოვალეობა პირნათლად შეუსრულებია. ამ დროს უნდა გაეგზავნოს „პარიზის აზიური საზოგადოებისათვის“ ანტონ I კათალიკოსის და დავით ბატონიშვილის „ქართული გრამატიკა“, რომელნიც ბროსეს მიერ თავის დროზე გადათარგმნილ და სათანადო კომენტარებით გამოქვეყნებულ იქნა „აზიური სა-

<sup>1</sup> საისტ. ფონდი, H. 183, გვ. 1.

<sup>2</sup> „АКТЫ“... ტ. VIII, გვ. 962—963; შდ. გ. გოზალიშვილი, 1832 წ. შეთქმულება.

<sup>3</sup> „წერილები“... ფურც. 1.

<sup>4</sup> იქვე, ფურც. 2.



ზოგადობის“ ორგანო „Journal Asiatique“-ში<sup>1</sup>. ამ ხანებში წერის შედეგი უნდა იყოს თეიმურაზის ჩარიცხვა 1831 წელს აზიური საზოგადოების წევრად. ბროსეს წერილმა, რომელიც, სხვათა შორის, ამასაც აუწყებდა, ჩანს, თეიმურაზში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. იგი, საპასუხო წერილში ბროსესადმი, სწერს: „პდ ამისათვის დიდად მოხარული ვარ და ბედნიერად ვრაცხ ჩემსა თავსა, ვინაჲდგან მრავლად სახელოვანსა და ყოვლად სიბრძნითა განათლებულს დიდებულს პარიჟის მეაზიელეს საზოგადოების რიცხვში აღვირიცხვე“<sup>2</sup>.

ჯერ კიდევ 1830 წ. ბროსეს გამოუგზავნია თეიმურაზისათვის „გასამართვად“, შენიშვნებისათვის, თავისი ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. თეიმურაზი იწონებს რა ამ წიგნს, მიუთითებს, რომ მას აკლია შემოსვლა შაჰ-აბაზისა და წამება ქეთევან დედოფლისა<sup>3</sup> და ალბათ ამ ნაკლოვანების შესავსებად თეიმურაზს თავის მხრით მიუწოდებია რამდენიმე წერილი, მათ შორის „წამება ქეთევან დედოფლისა“ და „სიკუდილი დიდის მოურავისა გიორგისა აკაძისა“, რომელნიც სწორედ შაჰ-აბაზის შემოსვლის პერიოდის აღწერილობას წარმოადგენენ. აღნიშნული შრომები, როგორც ჩანს, არის პასუხი თეიმურაზისა, რომელიც მას დაუხვეს აზიურ საზოგადოებიდან, ლითოგრაფირებულ და გამოქვეყნებულ იქნა ბროსეს კომენტარიებით „Mémoires inédits“-ში 1833 წ.<sup>4</sup> ამ შრომების წინ თეიმურაზს გაუგზავნია „აზიური საზოგადოებისათვის“ აგრეთვე „ცხოვრება და მოღვაწეობა უკანასკნელის მეფის ძის დავითისა“. ეს უკანასკნელიც ლითოგრაფირებულ და კომენტირებულ იქნა თვით ბროსეს მიერ<sup>5</sup>. მაგრამ თეიმურაზის სახელი, როგორც ავტორისა, თვით მისი თხოვნისა გამო არ იყო მიწერილი. აი რას სწერდა თეიმურაზი ბროსეს ამის გამო 1833 წ.

<sup>1</sup> იხ. Bibliographie Analytique des ouvrages de Monsieur Marie Félicité Brosset, ს. პეტერბ. 1887, გვ. 49, 50. 51—52; შდ. Journal Asiatique, 1833 წ. მაისისა და შემდეგ №-ში.

<sup>2</sup> „წერილები“... ფურც. 4.

<sup>3</sup> „წერილები“... ფურც. 7.

<sup>4</sup> შდ. „Bibliographie“... გვ. 51—52, 56—55. 61—62.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 50, 51, 55, 58, 59. „დავითის... მოღვაწეობის“ ერთი თავი, კერძოდ ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა, კრწანისის ბრძოლის 100 წლისთავთან დაკავშირებით, 1895 წ. რუსულად ითარგმნა და გამოიცა ბეგიჩევის მიერ. იხ. Взятие Тифлиса Ага-Магомед-Ханом—Из записок паревича Теймураза. 1895 г. „Записи паревича Теймураза составляют часть его сочинения на грузинском языке под заглавием: „Краткая история военных дел и походов паревича“

14 თებერვალს: „ჩემი ძმის მეფის ძის დავითის ისტორია წარმოვლენილი თქვენდამი... გითარგმნიათ ფრანციუსულს და რომლისათვისაც მკითხავთ, რომ გსურვს რომელ დააბეჭდინოთ“... კარგია, რომ დაიბეჭდოს „მაგრამ მხოლოდ მაგ წიგნში ინებეთ, რომ ჩემი სახელი არ იყოს და არც ჩემ მიერ შეთხზვა მაგ წიგნისა... რადგან ეგ წიგნი მე აღვსწერე, იქნება წარმკითხველთ ასე იფიქრონ, რომელ თავისი ძმათ სიყვარულით მეტები და მომატებული ქებანი დაუწერიანო“<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ მასზე თეიმურაზის სახელი არ იყო მიწერილი, ჩუბინოვისათვის გარკვეულია, რომ ის თეიმურაზს ეკუთვნოდა, ხოლო ორი დანარჩენი „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის გამოცემის წინასიტყვაობაში ვილაც უცნობ ავტორს მიაწერა. ასე მაგალითად: XXIV გვერდზე იხსენიებს: „ცხოვრება წმ. ქეთევან დედოფლისა... უცნობი ავტორის, დაბეჭდილი აკადემიკოსი ბროსეს მიერ, პარიჟში 1834 წ. ლითოგრაფირებულ ისტორიულ წერილებში“, ხოლო XXVIII-ე გვერდზე ნათქვამი აქვს: „დიდი მოურავის გიორგი სააკაძის სიკვდილის ისტორია, უცნობი ავტორის, ლითოგრაფირებული პარიჟში 1834 წ. აკ. ბროსეს მიერ“. ნამდვილად კი ორივე ეს შრომა ეკუთვნის თეიმურაზ ბატონიშვილს და ეს კარგად სცოდნია ჟურნ. „ცისკარის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს, რომელმაც სამივე ეს შრომა გამოაქვეყნა „ცისკარის“ შემდეგ ნომრებში: 1862 წ. აპრილის (გვ. 325—339), მაისის (9—21: „მოწმობა წმინდათა შორის ქეთევანისა კახთ დედოფალისა“), ივნისისა (გვ. 41—61: „დიდი მოურავისა, გიორგი სააკაძის სიკუდილი“) და ივლისის ნომრებში (გვ. 99—115: „საქართველოს მეფის გიორგი მეათცხრამეტის (sic!) მეფობა“). რედაქტორმა დაურთო შემდეგი სახის შენიშვნა: „ჩუენ აქ წარმოვუდგენთ „ცისკარის“ მკითხველთ სამს ისტორიულს მოთხრობასა, რომელნიცა არიან ჩართულნი ერთს დიად ძვირად საშოვნელსა წიგნში, 1883 წ. უ. ბროსესაგან პარიჟში გამოცემულში. სამივე ეს მოთხრობა დაწერილია ბატონიშვილის თეიმურაზისაგან და შეიცუენ მშვენიურად გამოხატულთა მრავალთა ანბავთა, რომელთაც ჩუენი ისტორია არ მოიხსენიებს<sup>2</sup>.

Давида... переведенного потом на французский язык г. Броссе и отлитографированного в Париже в 1833 году“—(გვ. 3).

Взятие Тифлиса Ага-Магомед-ханом.—из записок царевича Геймурава  
Издание К. Н. Бегичева.

<sup>1</sup> „წერილები“, ფურც. 16.

<sup>2</sup> ჟურნ. „ცისკარი“, 1862 წ. აპრილი, გვ. 325—326, შენიშვნა.



გარდა ამგვარი შედარებით ვრცელი ნარკვევებისა, თეიმურაზ ბატონიშვილი უგზავნიდა განმარტებებს ბროსესა და სენ-მარტენის სხვადასხვა შეკითხვებზე. ამგვარი ერთ-ერთი შეკითხვის პასუხი იყო 1832 წ. იანვრის 30-ის თარიღით გაგზავნილი წერილი, სადაც მოცემულია ვახტანგ მე-6-ის, თეიმურაზ მეორის და ერეკლე მეორის ბექედებისა და მათზე ამოჭრილი სიტყვების განხილვა. აღნიშნული განმარტება მოთავსებულ იქნა ბროსეს მიერ გაფართოებულის სახით „Journal Asiatique“-ში 1834 წ., მე-13 ტომში<sup>1</sup>, ამ სათაურით: „ვახტანგ მე-6-ის ბექედის აღწერილობა“.

აღნიშნულ წერილში, გარდა ვახტანგის ბექედის განმარტებისა, მოცემული იყო განმარტებანი მაჯამასი შავთელის შაირიდან, რუსთველის ერთ-ერთი ტაეპისა, თეიმურაზ პირველის „გაზაფხულის ქებიდან“ და ანტონ I-ის იამბიკოდან ქეთევან დედოფლის მიმართ<sup>2</sup>. როგორც პირველი, ისე დანარჩენი საკითხები ლიტერატურულ-ისტორიულ თვილსაზრისით მნიშვნელობას მოკლებული არ არის. იმავ ხანებში უნდა იყოს გაგზავნილი პასუხი ბროსესა და სენ-მარტენის კითხვებზე გრამატიკის, ისტორიისა და ქრონოლოგიის საკითხებიდან. მისი მოკლე შინაარსი გამოქვეყნებულ იქნა ბროსეს მიერ, სათაურით: „ქრონოლოგიური აღრიცხვა ქართველებისა“<sup>3</sup>. ეს პასუხი გახდა საფუძველი ბროსეს ერთ-ერთი მოხსენებისა „აზიურ საზოგადოებაში“ და მისი სტატიისა, რომელიც მოთავსდა „Journal Asiatique“-ში (1832, IX). ამგვარივე პასუხების სახით გაგზავნილ იქნა თეიმურაზის მიერ, უსათუდ 1833 წ. (წერილი სამწუხაროდ უთარილოა), განმარტებანი ვეფხისტყაოსნის ცნობილი ტაეპისა. ბროსე სთხოვდა დეტალურად გაერჩია თეიმურაზს:

«ამირან დარეჯანის-ძე მოსეს უქია ხონელსა

აბღულმესია შავთელსა»... და სხვა<sup>4</sup>. თეიმურაზმა ბროსეს ეს თხოვნა პირნათლად შეასრულა: დაწვრილებით უჩვენა ყველა გეოგრაფიული ადგილი (შავთა, თმოგვი და სხ.), მისცა შავთელის, თმოგველის და რუსთველის პიროვნების თავისებური დახასიათება<sup>5</sup>. როგორც ცნობილია, თეიმურაზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრომა „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც

<sup>1</sup> „Bibliographie“... გვ. 41.

<sup>2</sup> „წერილები“... ფურც. 8—11.

<sup>3</sup> „Bibliographie“... გვ. 40, 44. „Journ. Asiat.“ 1832 წ.

<sup>4</sup> „წერილები“... ფურც. 20.

<sup>5</sup> იქვე, ფურც. 21—22.

1843 წელსა დაწერილი, გამოქვეყნებულ იქნა ე. თაყაიშვილის მიერ<sup>1</sup> ჩოლო ზემოთმოყვანილი პასუხი 1833 წ. ეკუთვნის და ზოგჯერ საკითხებში განსხვავდება კიდევ თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებულ შრომისაგან. ასე მაგალითად: 1833 წ. წერილში განმარტებულია, თუ საიდან უნდა იყოს წარმომდგარი სახელი შოთა (ანუ, თეიმურაზის მიხედვით, შოთთა, შოთტა, შოტტა)<sup>2</sup> და შედარება „ვეფხისტყაოსნისა“ რუსთველის თანამედროვეთა ნაწერებთან, რაც 1843 წ. განმარტებებში არ მოიპოვება. ეს წერილი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ ის იძლევა წარმოდგენას თეიმურაზის ადრინდელ შეხედულებებზე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

1834 წ. 16 ნოემბრის წერილი აგრეთვე არის პასუხი ბროსეს შეკითხვაზე ქართულ საზომთა და საწყაოთა შესახებ, რომელიც მას დასჭირვებია ვახტანგ მე-6-ს კანონების განმარტების დროს და წარმოადგენს მნიშვნელოვან ნარკვევს „საწონთა, საწყავთა და საზომთა შესახებ“, რომელნიც „იხმარებიან სრულიად საქართველოსა შინა“<sup>3</sup>. გარდა ქართული მონეტების შედარებით ვრცლად მიმოხილვისა, აღნიშნულ წერილს თან ერთვის „შემოკლებითი შემეცნება“ საწყაოთა. შეიძლება ითქვას, თეიმურაზის ეს შრომა არის, ქართულ საისტორიო ლიტერატურაში, პირველი ცდა ქართულ საფას-საზომების მიმოხილვისა, სადაც ამა თუ იმ საკითხებზე გამოთქმულია მნიშვნელოვანი მოსაზრებები (ქართული ნუმისმატიკის დამაარსებლის მიხედვით ბართაშვილის შრომა Нумизматические факты Грузинского царства 1841 წელს გამოიცა). თეიმურაზი, როგორც ისტორიკოსი, მკვლევარი, აღნიშნულ შრომაში დადებითად არის დახასიათებული. „მოკლე შემეცნება საზომთა და საწყაოთა“ გამოქვეყნებულ იქნა ბროსეს მიერ „Journal Asiatique“-ის 1835 წ. მაისის №-ში, სათაურით: „თარგმნილი წერილი თეიმურაზისა ქართულ მონეტებზე ბროსეს გაუშქებით“<sup>4</sup>.

ამგვარსავე მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენდა „აზიურ საზოგადოებისათვის“ მისი წერილები: „თვეათთვის სხვათა და სხვათა ენისა“<sup>5</sup> „შემოკლებითი ისტორია ქართული წერისა“ (ანბანი ქარ-

<sup>1</sup> Э. Такайшвили. Опис. рукописей. II, გვ. 583—592; შდ. Пагарели, Свед. I, გვ. 124—125; A 1091, გვ. 113, № 211.

<sup>2</sup> „წერილები“ ფურც. 36, 37, 38, 39.

<sup>3</sup> იხ. „Journ. Asiat.“... გვ. 401—435; შდ. „Bibliogr.“... გვ. 83—84.

<sup>4</sup> „წერილები“, ფურც. 16; შდ. „Bibliogr.“... გვ. 40, „Journ. Asiat.“... 1833, X.





თული)<sup>1</sup>, „პირველი ისტორიათაგან ჩვენთა გამოკრებილი, თქმულებანი იყვნეს მეფენი ჩვენნი, რომელთა ეწოდათ გიორგი ანუ ვახტანგ... ამასვე წიგნსა შინა ისტორია შემოკლებით რომელთამე მეფეთა ჩვენთა“<sup>2</sup>, „მცენარეთა ქართული სახელების ახსნა“ და სხვა. თეიმურაზისთვის, როგორც ისტორიკოსისათვის, დამახასიათებელია აგრეთვე მისი შენიშვნები: „ესპანიის იბერებისა და აზიის იბერების ისტორიის შესახებ“<sup>3</sup>. (სენკოვსკის სტატიაზე „ქართველი ერის სიძველის შესახებ“<sup>4</sup>. „ქრისტეს წინადროინდელ მონეტებზე“<sup>5</sup> დაკავშირებით „ქართული ენის სომხურისაგან სრული დამოუკიდებლობის საკითხთან“<sup>6</sup>. შენიშვნები: „ქართულ ლექსთა საზომებზე“<sup>7</sup> და სხვა მრავალ სხვადასხვა საკითხებზე. ეს უკანასკნელი იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ ზოგიერთ ხელნაწერ ლექსთა კრებულებს ჰქონია წამძღვარებული. ამ სტატიიდან უნდა იყოს ამოღებული წ.-კ. საზოგადოების ხელნაწერ № 3723-ში წამძღვარებული „შაირებისათვის, მეფის ძის თეიმურაზის სტატიისაგან“ (იხ. გვ. 1), სადაც განმარტებულია „გვარნი, ანუ საზომნი ქართულთა სტიხთა“: შაირი, ბაიათი, მუხამბაზი, იამბიკო, მუსტაზადი, ანბანთ ქება და სხვა (გვ. 1—12).

გარდა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შრომისა, თ. ბატონიშვილს ეკუთვნის აგრეთვე შემდეგი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, რომელნიც მოხსენებულნი არ არიან „Bibliographie“-ში: „როგორ და როდის დაარსდა ივერთა მონასტერი ათონში და რა ბედი ეწვია მას“<sup>8</sup>, „სამესხეთოს, ე. ი. სამცხის, რომელსაც საათაბაგოსაც უწოდებენ... თუ ვითარ, რომელსა ჟამსა დაიბყრეს ოსმალთა“<sup>9</sup>, „შემოკლებით მოთხრობა არმაზისათვის“<sup>10</sup>. დ. ბაქრაძეს დაცული აქვს ცნობა, რომ

<sup>1</sup> „წერილები“, 16; შდ. Bibliogr.“... 78, 69, 91, 92.; Пагарели, Свед. I, გვ. 168. — 71, გვ. 185 — 204; თეიმურაზის ბიბლიოთეკის კატალოგი, საეკლესიო ფონდი, № 1091, გვ. 56—77.

<sup>2</sup> „წერილები“... 16; შდ. „Bibliogr.“... 51—52.

<sup>3</sup> „Bibliogr.“... გვ. 443.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 540.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 94, 95.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 76, 91 და სხ.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 23—82. თეიმურაზის „გვარნი ანუ საზომი ქართულთა სტიხთას“ დედანი, როგორც დოკ. ტრ. რუხაძემ გადმოცა ამჟამად ინახება ლენინგრადის აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის მუზეუმში.

<sup>8</sup> Пагарели, Свед. I, გვ. 164, — 58; შდ. А. 1091, გვ. 53—54.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 178 — 153; А 1091, გვ. 85, — 157.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 185 — 204; შდ. Д. Бакрадзе, статьи по ист... გვ. 10. (დ. ბაქრაძე, როგორც ჩანს, თეიმურაზის შრომებს იცნობდა აკადემიის მემუარებში გამოქვეყნებული, მისი ბიბლიოთეკის კატალოგის მიხედვით, ხოლო რაც იქ მოხსენებული არ არის, მისთვის უცნობია). А 1091, გვ. 142 — 209.



თეიმურაზს ეკუთვნოდა აგრეთვე ნარკვევი „ძველი საქართველოს შინაგანი წყობის“ შესახებ<sup>1</sup>. ეს, ჩვენთვის მეტად საინტერესო შრომა, არც თეიმურაზის წიგნების კატალოგში და არც „Bibliographie“-ში ამ სახით მოხსენებული არ არის და არც ხელნაწერებში იპოვება.

გარდა მნიშვნელოვანი წერილებისა და განმარტებებისა, თეიმურაზი აწვდიდა „აზიურ საზოგადოებას“ ზოგიერთ მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლებს და იყო ერთგვარი რედაქტორიც „აზიური საზოგადოების“ ზოგიერთ გამოცემათა საქართველოს ისტორიიდან, ასე, მაგალითად, ერთ-ერთ წერილში ბროსე სთხოვდა მას გაეწია რედაქცია უკვე განსვენებულ სენ-მარტენის შრომისათვის. „თქვენ მთხოვთ—სწერს თეიმურაზი—სანტ-მარტინის ხელით წერილის წიგნისა... აღბეჭდაში მე გექმნეთ მოძღვრებელ (ანუ ცენზორი) მისი, დიდის კმაყოფილებით მივიღებ, და თუ ცდომასა რასმე<sup>2</sup> ვიხილავ განმართავ და შემდგომად კვალად თქვენ განსჯით ჩემგან გამართულს და ეგრეთ აღბეჭდთ“<sup>2</sup>.

ამრიგად, თეიმურაზის მოღვაწეობა „აზიურ საზოგადოებაში“ მრავალმხრივია და მოითხოვს უფრო დეტალურ შესწავლას.

თეიმურაზ ბატონიშვილის მნიშვნელოვანი მოღვაწეობა ნათელს ჰყოფს მის მომზადებას, ცოდნის სიღრმეს: მან იცოდა ევროპული და აღმოსავლური ენები (ფრანგული, სპარსული, თურქული, ბერძნული, თაყაიშვილის აზრით, აგრეთვე არაბული და სომხურიც)<sup>3</sup> და იყო საუკეთესო მცოდნე ქართული ისტორიისა და ლიტერატურისა<sup>4</sup>.

გადაქარბებული არ უნდა იყოს თ. ბატონიშვილის განცხადება, რომ „ქართული ლიტერატურის [შესწავლა]... ჩემგან (ჩემი დახმარებით, შ. შ.) დაიწყო პირველად პარიჟის მეაზიელეს შეკრებულებაში და თქვენ თვით უწყით, რაოდენი შრომა მქონდა თქვენთან სხვადასხვა საგანზედ მოწერითა და ბოლოს თქვენიდან ქართული ლიტერატურა აქ როსიაშიაც დაიწყო, თუ პირველად მე არ ვყოფილ-

<sup>1</sup> იხ. Бакрадзе—ხს. შრომა, გვ. 10.

<sup>2</sup> „წერილები“, ფურც. 7.

<sup>3</sup> Э. Такайшвили. Опис., 11, გვ. 583, თაყაიშვილის აზრი, რომ თეიმურაზმა იცოდა არაბულიც, დაუსაბუთებელი ჩანს, ხოლო რომ მან სომხური იცოდა, სწორი უნდა იყოს, როგორც ქვემოთ დავინახავთ.

<sup>4</sup> იქვე.

ვიყავ მიზეზი, ეს არც ერთი არ მოხდებოდა“<sup>1</sup>. სწორედ ამიტომ, და სრულიად სამართლიანად, აკადემიკოსი მ. ბროსე თ. ბატონიშვილი აცხადებდა თავის მასწავლებლად და საკუთარ თავს კი — „მის მდაბალ მოწაფედ“.

\* \* \*

„აზიურ საზოგადოებასთან“ თეიმურაზის კავშირისა და მეცნიერული მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ დაეუბრუნდეთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერას მისი მოღვაწეობიდან.

თ. ბატონიშვილი მუდმივად ცხოვრობდა ს. პეტერბურგში, ხოლო ზაფხულობით ჩვეულებრივ იმყოფებოდა ქალაქ გარეთ, „მე—სწერს იგი ბროსეს—ზამთარში ხომ ყოველთვის პეტერბურგში, ქალაქში ვდგევარ და ზაფხულით პეტერბურგს“<sup>2</sup>. როგორც სხვა ბატონიშვილების, ასევე თეიმურაზის საცხოვრებელიც, გადაქცეული იყო ბატონიშვილთა და სხვა გამოჩენილ პირთა შესაკრებ პუნქტად. თეიმურაზ ბატონიშვილს კავშირი ჰქონდა არა მარტო რუსეთში მყოფ ბატონიშვილებთან და საქართველოს ისტორიის თუ ლიტერატურის დარგში მომუშავეებთან, არამედ საქართველოში მცხოვრებთანაც. ასე, მაგალითად: მას მიმოწერა ჰქონია ცნობილ პლ. იოსელიანთან, მაგრამ ეს საინტერესო წერილები<sup>3</sup> ალბათ პლ. იოსელიანის მთელს არქივთან ერთად დაიკარგა.

როცა თ. ბატონიშვილის ბიოგრაფიას ვეხებით, ბუნებრივად ისმის საკითხი მისი 1832 წ. შეთქმულებაში მონაწილეობის შესახებ. მასალების მიხედვით (როგორც მოსალოდნელი იყო), მას შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია და იმ პირთა შორის უნა ყოფილიყო მოქცეული, რომელზედაც ეჭვის მიტანა არ შეიძლებოდა. აღმოჩენილი მასალები, ბროსეს მიმოწერა მასთან, რომელიც ოფიციალური წყაროების მიხედვით ეჭვის ქვეშ იყო დაყენებული<sup>4</sup> და სხვა, გვა-

<sup>1</sup> „წერილები“, ფურც. 11.

<sup>2</sup> „წერილები“, ფურც. 29.

<sup>3</sup> იხ. პ. იოსელიანი, წერილები ბროსესადმი, საქმე №—4797, რეგული №—4.

<sup>4</sup> ნ. ე. ს. ე. ლ. ო. დ. ე. საიდუმლოდ სწერდა ბ. რ. ო. ხ. ე. ს.: „პარიზიდან მიღებული ცნობის თანახმად სომხური ენის პროფესორს ლ. ე. ვ. ა. ლ. ი. ა. ნ. ს. და ვინმე ბ. რ. ო. ხ. ე. ს. განზრახული ჰქონიათ საფრანგეთის მთავრობის ბრძანებით სომხეთსა და საქართველოში ვითომდა სამეცნიერო მოგზაურობა, რომლის ნამდვილი მიზანია ამ ქვეყნებში არეულობის თესვის მოზენვა და ჯაშუშური მოღვაწეობა...“

„მ. ბროსემ რამდენიმე წლის წინეთ დაიწყო ს. პეტერბურგში მცხოვრებ თ. ბატონიშვილთან მიმოწერა, ის ურთიერთობაშია აგრეთვე იმერეთის უკანას-



ფიქრებინებს, რომ თეიმურაზს შეთქმულების არსებობა მაინც სცოდნოდა, მით უმეტეს, რომ შეთქმულებას საფუძველი ჩაეყარა სწორედ პეტერბურგში, ბატონიშვილებისა და თავადების ვიწრო წრეში. შეუძლებელია, თეიმურაზისათვის, რომელსაც, ასე ვთქვათ, რუსეთთან აქტიური ბრძოლის ერთგვარი ისტორია ჰქონდა, ამგვარი შეთქმულების არსებობა არ მოეხსენებინათ; ამ მოსაზრებას ადასტურებს, ერთის მხრით, გიორგი რევაზის-ძე ერისთავის ჩვენებაც, რომლის მიხედვით ლეტელიე (საფრანგეთის საკონსულოს მდივანი, შეთქმულების მნიშვნელოვანი მონაწილე) იყო პეტერბურგში, ფარნაოზ და თეიმურაზ ბატონიშვილთან<sup>1</sup>, მეორე მხრით კი — შეთქმულების ერთ-ერთ ცნობილი მონაწილის ს. რაზმაძის ჩვენება, რომ იგი იზრდებოდა პეტერბურგში თ. ბატონიშვილის ხარჯით. ცხადია, რომ თეიმურაზს ახლობელი კავშირი ჰქონია მასთან<sup>2</sup>. ეს და ამგვარი ცნობანი ნათელს ყოფენ, რომ თეიმურაზმა შეთქმულების არსებობა, როგორც ვთქვით, უსათუოდ იცოდა.

როგორც თეიმურაზ ბატონიშვილის ბროსესადმი გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, ის 1836 წ. იანვრიდან ავადმყოფობს: „ღვთით საქართველოს ისტორიის წერაში ვარ; ცოტახანს ავით ვიყავ და დაბრკოლება ამისათვის მომეცა“ — სწერდა იგი ბროსეს 1836 წ. იანვრის 2-ს<sup>3</sup>. ხოლო 7 იანვრიდან კი ავად გამხდარა და თვენახევარი იწვა თურმე. თუმცა ექიმებისაგან მუშაობა აკრძალული ჰქონია, მაინც განაგრძობდა საქართველოს ისტორიის წერას. თეიმურაზ ბატონიშვილის ეს ავადმყოფობა გახდა მიზეზი მისი გერმანიაში მოგზაურობისა. აღ. ხახანაშვილი 1908 წ. თავის სტატიაში „თეიმურაზ ბატონიშვილის საბიოგრაფიო მასალად“<sup>4</sup> შენიშნავდა, რომ თეიმურაზი ბერლინში უნდა ყოფილიყო და ამის დასამტკიცებლად ბერლინის მუზეუმში მის მიერ ნახული ს. ორბელიანის „ქართულ ლექსიკონზე“ თეიმურაზის მინაწერი მოჰყავდა. ამჟამად ბროსესადმი მიწერილი წერილების წყალობით თეიმურაზის მოგზა-

კნელ მეფის სოლომონის ძმის-წულებთან ვახტანგ და ტარიელთან“.. („АКТЫ“... ტ. VIII—გვ. 963; შდ. გოხალიშვილი „1832 წ. შეთქმულება“ გვ. 38—39) „ახლად აღმოჩენილი მასალები ადასტურებენ, რომ ბროსეს ქართველთა შეთქმულებაში ერთგვარი მონაწილეობა მართლაც უნდა ჰქონოდა“ (იქვე, გვ. 38) და წარმოუდგენელია, ეს თეიმურაზისათვის არ ეცნობინებინა.

<sup>1</sup> გოხალიშვილი, გვ. 45.

<sup>2</sup> „АКТЫ“... VIII, გვ. 403 იქვე, გვ. 398.

<sup>3</sup> „წერილები“... ფურც. 5.

<sup>4</sup> იხ. გაზ. „სავაჭრო გზა“, 1908 წ. № 17.

ურობის ყველა მიმართულებები დეტალურად შეიძლება წარმოვლინებინო  
ნო იქნეს.

1836 წ. 9 ივნისს (ახ. სტილით) თეიმურაზი პეტერბურგის ბერლინის გაემგზავრა, 20 დღე გზაზე დაუყვია, რადგან „ხმელეთზედ წამოვედით კარეტი“-ო. 1836 წ. 29 ივნისს უკვე ბერლინში იყო და სწორედ ჩასვლისთანავე სწერდა წერილს ბროსეს: „დიდად გაგიკვირდება, რომ მე ბერლინიდან წიგნსა გწერ, ჩემის ავთომყოფობის გაგრძელების მიზეზითა თბილს წყალზე მინერალურთა მარიამბადისა და კარსბადნისათა მოვდივარ და ამ ორ დღეს ბერლინში დავჰყოფ. თუ წასასვლელი ხარ პეტერბურგს, მე გამომიარე, მარიამბადში ვიქნები კარგა ხანსა“<sup>1</sup>. ორი დღის შემდეგ, ე. ი. პირველ ივლისს, გადასულა კარლსბადში, სადაც რამდენიმე დღე დაუყვია, ამის შემდეგ მარიამბადში, ხოლო აქედან „მეორედაც ვიყავი კარლსბადში“, მაგრამ ისევ გამობრუნებულა მარიამბადში, რადგან კარლსბადის წყალმა თურმე არა არგო. მარიამბადში 7 სექტემბრამდე დაუყვია.— „ჩემს იქ მოსვლაში—სწერს იგი ბროსეს—ბავარიის კაროლევაც თავის შვილით... იქ მობრძანდნენ და პრუსიის პრინცი ვილგელმ კოროლის შვილი, თავისი მეუღლით პრინცესათი და ყოველს დღეს თითქმის ერთად მხიარულებით გავატარეთ მათ დიდებულს გვამთან დრო“.

7 სექტემბერს იქედან წამოსულა და განუზრახავს რეინის მიდამოების მოვლა. მთელი ეს მარშრუტი იმდენად დეტალურად აქვს აღწერილი, რომ ინტერესს მოკლებული არ იქნება, უცვლელად მოვიყვანოთ: „სეკდემბრის შვიდსა რეინის მდინარის და მის გარეშემოების განსახილველად წაველ, ფრანკონიაზედ გავიარე, მრავალი უცხო ქალაქები, მონასტრები და ძველებური შენობები ვნახე ჩინებულები. ფრანკფორტა მეინში მიველ, რამოდენიმე დღე იქ დავყავ... აქედამ ბენიძს მიველ, ორ სამ დღეს იქ დავჰყავ. მერმე ისევ გამოველ, რეინის ვესბადენს მოველ. იქიდან შვალბახზე მთის გზით გავიარე ნასაუზე და ემმზედ. ყველა ადგილას სამკურნალო წყლები ვნახე და გამოვცადე. კობლენს მიველ და იქიდან რეინის პირას შევყევ ისევ მენამდის. იქიდან გამოვბრუნდი, ფრანკფორტზე დვე გამოვიარე, ვეიმარზე... იქიდან ლეიპციხზედ გამოვიარე, ორი დღე იქ ვიყავ... ლეიპციხიდან მეორე დღეს ბერლინში მოველ. აქ კოროლმა და სამეფოთ ფამილიათ დიახ სიყვარულით მიმიღეს. ოკტობრის სამს (15) მოველ

<sup>1</sup> „წერილები“, ფურც. 54.

ბერლინში. ოკტობრის 10-ს (22) აქ სამეფოს სახლში ქორწილი  
ჰქონდათ: კოროლის ძმისწული პრინცი ვილგელმის ქალი პრინცი  
ელისაბედ დარმშტატის პრინცს მიათხოვეს და ამ ზემორე რიცხვში  
შაფათის მეექვსე საათის ნახევარზედ დიდის კოროლის სასახლეში  
ჯვარი დასწერეს. წინა დღითვე ებრძანებია კოროლს მოწვევა ჩემი  
ქორწილში“... თეიმურაზი თუმცა სახლში მიეშურებოდა, არ გაუ-  
შვიათ და ცხრა დღე მათთან გაუტარებია, მეათე დღესაც „კოროლს  
ებრძანა და სადილად იმას ვახლდი საკუთრად“<sup>1</sup>... როგორც ჩანს,  
მარიამბადიდან ბერლინამდე საკმაო ხანი დაუყვია და ზემოთ ჩამო-  
თვლილი ადგილებიც დაუთვალიერებია. მისივე წერილიდან ჩანს,  
რომ ოქტომბრის 26-ს (ნოემბრის 8) ბერლინიდან გასულა და ნოემ-  
ბრის დასასრულისათვის უკვე პეტერბურგში ყოფილა, ამ მოგზაუ-  
რობის დროს განუზრახავს პარიზში გავლაც, მაგრამ რაკი პრუსი-  
აში დიდხანს დარჩა და ცოლიც თან არ ჰყავდა, მომავლისათვის  
გადაუდგია<sup>2</sup>.

ბერლინში გატარებული დროით ძალიან კმაყოფილი დარჩა თეი-  
მურაზი, განსაკუთრებით მასზე დიდი გავლენა მოუხდენია ფრიდრიხ  
ვილჰელმ III-ის შვილს, რომლისათვისაც უძღვნია ბროსეს მიერ შე-  
დგენილი „ქართულის თვითმასწავლებელი“ და დაპირე-  
ბია მის მეორე ნაწილის გაგზავნასაც. სწორედ მარიამბადიდან  
გამობრუნების შემდეგ, 22 დეკემბერს, შეუწირავს ფრიდრიხ ვილ-  
ჰელმ მესამის (1786—1840) ბიბლიოთეკისათვის საბა-სულხან ორ-  
ბელიანის „ქართული ლექსიკონი“, რომელსაც, ხახანაშვილის მიხედ-  
ვით, ჰქონია შემდეგი წარწერა რუსულ და ქართულ ენაზე: „შევ-  
სწირე ლექსიკონი ესე მათს დიდებულებას, პრუსიის კოროლსა ფრიდ-  
რიკოს ვილჰელმ მესამესა, მათის დიდებულების ბიბლიოთეკისათვის  
ჟმონაებრივი სიმდაბლით. 1836 წ. октябрь 22 (ноябрь 4) в Бер-  
лине“<sup>3</sup>.

1837 წ. ივნისის შუა რიცხვებში ჩამოდის ბროსე პეტერბურგში  
და ამ დროს ხდება მათი პირველი შეხვედრა. თეიმურაზის მთელი  
ის დამსახურება, რომელიც ზემოთ იქნა ნაწილობრივ დახასიათებუ-  
ლი, ბროსემ სათანადოდ შეაფასა და ამის შედეგი უნდა იყოს 1837 წ.

<sup>1</sup> „წერილები“... ფურც. 56—57.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ხახანაშვილი, ვახ. „სავაჭრო გზა“ 1908 №—17. აღ. ხახანაშვილი ამ მინა-  
წერის მიხედვით ასკვნის, რომ თ. ბატონიშვილმა „არ იცოდა ევროპიული ენები,  
რომ ეს მარტივი მინაწერები ევროპიული ენით გაეკეთებინა, თუმცა რუსული  
მართლწერაც ვერ შეუთვისებიაო“.

29 დეკემბერს თეიმურაზის არჩევა, ერთ-ერთ საზეიმო სხდომაზე<sup>1</sup> „იმპერატორის მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო წევრად<sup>2</sup> 1838 წ. იანვრის 15-ს მიიღო საპატიო წევრობის დიპლომი. ამავე დროს უნდა მომხდარიყო მისი ჩარიცხვა „კოპენჰაგენის ანტიკვართა საზოგადოების“ წევრად.

სიკვდილამდე ერთი წლით ადრე თეიმურაზ ბატონიშვილი ითხოვდა ბროსეს დახმარებას მისი პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრად არჩევისათვის. „მე ესე მსურს, რადგანაც, რომ აქა როსიის იმპერიისა ს. პეტერბურლის აკადემია ნაუკისაგან პოჩეტნი ჩლენათა ვარ მიღებული, პარიჟის აკადემია ნაუკამაც მიმიღოს ამა სახითვე პოჩეტნი ჩლენად. და რადგანაც რომ ნორდიისა, ე. ი. (დანის სა-მეფოჲსა) კოპენლანდენისა სამეფოსა შეკრებულეებასა შინაცა ანტიკვართასა პირველთა ჩლენთა შორის ვარ აღრიცხულ, და რუსეთის აკადემია ნაუკისაც და კოპენლანდენის ანტიკვართა შეკრებულეებისაც დიპლომი მქონიან, და მსურს, რომ პარიჟის აკადემიამაც ინებოს ჩემი პოჩეტნი ჩლენობა“<sup>2</sup>. შემდეგ ჩამოთვლის თავის დამსახურებას აზიურ საზოგადოების წინაშე. მაგრამ ეს სურვილი თეიმურაზისა, როგორც ჩანს, ვერ ვატარდა—ავადმყოფობამ და სიკვდილმა უსწრო. 1845 წლის დასასრულიდან იწყება მისი ძლიერი დაცემა წყალმანკისაგან, რომელიც 1846 წლის თებერვალს იქამდე მივიდა, რომ თეიმურაზი რამდენიმე დღე უგრძობლად იწვა. ექიმმა შეგალოვმა, მართალია, აღკვეთა იგი, მაგრამ არა დიდი ხნით... 1846 წ. 23 ოქტომბერს თეიმურაზ ბატონიშვილი გარდაიცვალა. ხოლო 29 ოქტომბერს დასაფლავებულ იქნა ნევის მონასტრის ბაგრატიონთა სასაფლაოზე, თავის საყვარელ ძმის დავითის გვერდით.

თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ მისი მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა გადაეცა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აზიურ მუზეუმს და თეიმურაზის მრავალ დამსახურებათა შორის ესეც აღინიშნა მეცნიერების წინაშე.

მ. ბროსე თავის ნეკროლოგში თეიმურაზის გარდაცვალების გამო სწერდა «Память его неизгладимо останется в сердцах всех его знакомых, и особенно благодарного ученика его»<sup>3</sup>.

<sup>1</sup> შდ. Броссе—Некролог. Ж.М.Н.Пр. 1846, გვ. 39.

<sup>2</sup> „წერილები“, ფურც. 11.

<sup>3</sup> Броссе—Некролог—Ж.М.Н.Пр. გვ. 40.

თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელიც იმ დროისათვის სახელმწიფო აღჭურვილი იყო მეცნიერული კვლევითი მუშაობისათვის, იჩენდა დიდ სიფრთხილეს ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენის აღწერის შემთხვევაში. იგი არა ერთხელ მიუთითებდა ბროსეს სიფრთხილე გამოეჩინა მასალების ბეჭდვის დროს, „რომ ტყუილები არ ჩავეწერო თორემ სირცხვილი იქნება, მერმე ქართველები მე დამცინებენ აი ამისთანა შეგიირდი გყავსო“.

მას მთელი არსებით შეგნებული ჰქონდა ამა თუ იმ ერის ისტორიის აღწერის სიძნელე, წყაროების გამოყენების და წესიერად მოთხრობის პასუხისმგებლობაც. ასე მაგალითად, იგი წერს: „ისეთი საქმე არის ცხოვრების აღწერა, რომ არც ერთს სხვა ხელოვნებას არ გავს და ამაზედ დიდი სიფრთხილე უნდა ისტორიის დამწერსა“<sup>1</sup>. ან კიდევ: „მე ამ ისტორიას რომ მოვეყვებო თუ სწორეთი და მტკიცის დამტკიცებით სიმართლე არ ექმნება, როგორც შეესაბამება ისტორიას ან მოთხრობას, ჩემთვის სირცხვილიც იქნება, რომ მაგისთანას განათლებულს ადგილას წარმოვადგინო“<sup>2</sup>.

საბუთიანობის აუცილებლობის, სისწორით მოთხრობის და სიფრთხილის შეგნება ხელს არ უშლიდა თ. ბატონიშვილს ზოგიერთ (უფრო სწორად—იშვიათ) შემთხვევაში, ნაციონალისტური მოსაზრებისა გამო, არ არსებული ისტორიული წერილები ან კიდევ სხვა მასალები საბუთად გამოეყენებინა და ამჟამად დაკარგულად გამოეცხადებინა. ასე მაგალითად: 1836 წ. 28 თებერვლის წერილში იგი ბროსეს წერდა: „ჩვენი არც ერთი ანბანი და არც ერთი წერილი სომხისა ვისგანმე მესროფისა თუ სხვისგან არ არის ქმნილი და დამამტკიცებელ ამის ძველი მონეტებიც არის ხუცურად, ასომთავრულად დაწერილ რომელიც ქრისტეს მოსვლის უწინ არიან აღბეჭდილნი“<sup>3</sup>. არსებითად სწორი მოსაზრების: ქართული ანბანის წარმოშობის სომხურისაგან დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად, თეიმურაზს, ალბათ ნაციონალისტური გატაცებისა გამო, დაუჯერებელი მოწმობა მოჰყავს, ქრისტეს წინადროინდელ ხუცურასომთავრულით ზედწერილ მონეტების არსებობის შესახებ, რაც ქართული ნუმიზმატიკისათვის დღემდე უცნობია. თვით თეი-

<sup>1</sup> „წერილები“, ფურც. 50.

<sup>2</sup> იქვე, ფურც. 53.

<sup>3</sup> იქვე, ხაზი ჩემია, შ. მ.





მურაზს, გრძნობდა რა ამ საბუთის გამოუსადეგრობას, თავის წიგნში როცა სპეციალურად სომხურ-ქართული ენების ურთიერთობის იხილავდა, იგი მოყვანილი არა აქვს და სხვა ისტორიკოსების მოწმობას მიმართავს ქართულის სომხურისაგან წარმოშობლობის დასამტკიცებლად<sup>1</sup>. ამგვარადვე იქცეოდა იგი, როცა რუსთველის პიროვნებას ეხებოდა.

მსგავსი დაუჯერებელი მოწმობანი თეიმურაზ ბატონიშვილის, როგორც ისტორიკოსის, ღირსებას ამცირებენ და ზოგიერთს, მაშინ უცილობლად არსებულს, მის მიერ დამოწმებულ წყაროებსაც არა ნამდვილად წარმოგვიდგენენ. საეკვო საბუთები მოყვანილი აქვს თავის ძირითად შრომაშიაც, რომლისათვისაც თეიმურაზს სიტყვების თითქმის ერთი მესამედი შეუწირავს.

ჯერ კიდევ ბროსეს გაცნობისთანავე იწყო თეიმურაზმა მუშაობა „ივერიის ისტორიის“ დასაწერად: „სრულიად გიორგიისათვის—სწერს იგი ბროსეს—(ესე იგი ივერიისა რომელ არს საქართველო) მე მრავალი მატერია (მასალა, შ.მ.) მაქვს ამისათვის, რომელიც დიდის გამოძიებით რა მე შენ გაგიცან ამას უკან ვიწყევ შტკრება და ისეთი რამ უნდა წარმოვადგინო მაგ დიდებულს საზოგადოებაში (ლაპარაკია აზიურ საზოგადოებაზე, შ. მ.) რომ შესარაცხად არ შეიქმნეს ჩემი ღვაწლი“<sup>2</sup>. მასზე ადრე 1831 წელსაც წერდა: „მე აწ ვმეცადინებო აღრიდვანვე ხელყოფილსა ჩემისა საქართველოს ისტორიისა უძველესით ჟამიდგან ვიდრე აქომამდე წვლილად აღწერასა, რომელსაც ერთსა პირველსა ნაწილსა მისსა ამ წიგნთა შემდგომ წარმოვგზავნი“<sup>3</sup>. როგორც ჩანს საკმაო მუშაობის შემდეგ თეიმურაზს განუზრახავს დაეწერა ორი წიგნი საქართველოს ისტორიიდან: „ერთს მცირეს და საესეს საკმაოდ ვისაც ნებავს საქართველოს ისტორიის უწყება (ე. ი. დამწყებთათვის, შ.მ.) და მეორეს დიდსა და ვრცელს. ის ჯერ ადვილად არ შესრულდება, მაგრამ თუ ცოცხალი ვარ ღვთის შეწვევით წელიწადი და ნახევარი მოუნდება... ეს წიგნი ღმერთს ერწმუნე ღამე და დღე ხელში მიჭირავს, ჩემისა ხელითა ვწერ, არ შეიძლება რომ სხვას დავაწერინო, წამიხთენენ, როგორც რომ გათავდება ის პირველი შემოკლებული ქრისტეშობისთვის გასვლამდის და თუ მეორეს თვემდის მაშინვე გამოგიგზავნი“<sup>4</sup>—წერდა იგი ბროსეს 1835 წ. 23 ნოემბერს. ამგვარი დაუღალავი მუშაობა მისმა ავადმყოფობამ შეა-

<sup>1</sup> შდ. „ისტორია ივერიისა“, გვ. 33—34 და 116.  
<sup>2</sup> „წერილები“, ფურც. 50.  
<sup>3</sup> იქვე, ფურც. 7.  
<sup>4</sup> იქვე, 50.

ნელა: „ღვითთ საქართველოს ისტორიის წერაში ვარ და ცოტა ხანს ავით ვიყავ და დაბრკოლება ამისათვის მომეცა“. ხოლო როცა 1836 წ. იანვრიდან ავად გახდა, მიუხედავად იმისა, რომ ექიმებისაგან მუშაობა აკრძალული ჰქონია. მაინც არ შეუწყვეტია იგი და წერას მაინც განაგრძობდა. ხოლო პრუსიაში მოგზაურობამ ეს მუშაობა რამდენიმე თვით შეაჩერა.

დაბრუნებისთანავე ისევ განაგრძო მუშაობა. 1837 წ. ზოგიც მოუშთავრებია „ჩემი მისწრაფება — სწერს თეიმურაზი ბროსეს — დღითი დღე ეს არის ისტორია საქართველოსი ეგების შევასრულო და ღვთის მოწყალების იმედი მაქვს ყოველი თურთ ვცდილობ, რომ მრავლის დამოწმებით ქვეშემართება ჰქონდეს. ზოგნი მზათა მაქვს კიდეც და მსურდა გამომეგზავნა“<sup>1</sup>. ამგვარი მუშაობით „ივერიის ისტორიის“ წერა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე გაგრძელდა. მართალია დაუმთავრებელი არ დარჩენია მაგრამ გამოუცემელი კი დარჩა. „ოცი წელი მუშაობდა იგი (თეიმურაზი, შ. მ.) — წერს ბროსე — „ქართველ ხალხის ვრცელი ისტორიის“ შეთხზვაზე... ცნობილთა მხოლოდ ის, რომ ავტორს სურდა ესარგებლა ყველა, როგორც ქართული, ასევე რუსულ ენაზე გადაუთარგმნელი უცხო მასალებით“<sup>2</sup>.

აღნიშნული თხზულება „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე. ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა“ თეიმურაზის შეუღლის ელენეს თხოვნისა და ბროსეს შუამდგომლობის შემდეგ აკადემიის წინაშე, გამოცემულ იქნა დ. ჩუბინოვის მიერ ს. პეტერბურგს, 1848 წელს.

\* \* \*

თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოდასახელებული შრომის და საერთოდ მისი მემკვიდრეობის დაწვრილებით განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ჩვენ გვსურს მოკლედ შევეხოთ თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორიას“ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი წარმოადგენს ნაბიჯს ქართულ საისტორიო მწერლობაში, მე-19 საუკუნის დასაწყისში.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ისტორიის დაწერას თეიმურაზი დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა და მისი პასუხისმგებლობა ამ მხრით

<sup>1</sup> იქვე, ფურც. 63.

<sup>2</sup> Броссе, Некролог, Ж. М. Н. Пр., გვ. 39.



უფრო გაზარდა სურვილმა, რათა თავისი წიგნი „აზიურ საზოგადოებაში“ წარმოედგინა და იქ უნაკლოდ მიეჩნიათ. სწორედ ამიტომ „უძველესთა ისტორიისათვის ჩვენთა, ე. ი. ივერიელთა მოთხრობისათვის, რადცა შევუძლე პოვნად ძველთა და უძველესთა შინა გამოძიებათა სრულიად შემოვკრიბენ იგინი და არა დაუტევენ იგინი არცა ერთი; არამედ მოეუთხრობდენ მათთვის, რომელნიცა რომელთაგანმე მომთხრობელთა შეწყნარებულცა არიან“<sup>1</sup>, სწერს იგი თავის წიგნის წინასიტყვაობაში. აქედან ჩანს, რომ თ. ბატონიშვილის პირველწყაროებს, როგორც ეს ჩვეულებრივ მკვლევარისათვის უნდა ყოფილიყო, შეადგენს იმერის უძველესი წერილობითი ძეგლები, რომლის ისტორიასაც იგი წერდა. გარდა ამისა მის წყაროებს შეადგენდა აგრეთვე უცხოური ცნობებიც საქართველოს შესახებ. იგი მიუთითებს, რომ გამოიყენა გარდა ზემოთთქმულისა, „უძველესთა ამბავთა, რომელნიმე სხვათა ენისა მოთხრობათაგან“. აგრეთვე, ასეთივე მნიშვნელოვანი წყარო ყოფილა თეიმურაზისათვის „რომელნიმე ზეპირიკა სმენილი“... „ზღაპარ სიტყვაობანიცა“, ყოველივე ეს, მისი სიტყვით, „არა უგულვებელს ვყვენ აღწერად ნივთთა გამრავლებისათვის ამბავთა შინა“<sup>2</sup> და მართლაც ეს „ზღაპარ სიტყვაობანიც“ და „ზეპირად სმენილიც“ თავთავიანთ ადგილზე მას გამოყენებული აქვს<sup>3</sup>. და ბოლოს თეიმურაზის ისე, როგორც ვახუშტი ბატონიშვილს, ისტორიულ კვლევის დროს ქართველ ხალხში დღემდე დარჩენილ ზნე-ჩვეულობისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი მიუკუთვნებია, როგორც ამას თავის დროზე დავინახავთ.

X თ. ბატონიშვილის პირველ და უცილობელ წყაროს „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს. ასეთივე მნიშვნელობის მქონეა მისთვის ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“ და მისი წყაროების ძიებაც აქედან უნდა დავიწყოთ. თ. ბატონიშვილი ზემოთდასახელებულ, პირველწყაროებისადმი ძირითადად სამნაირ დამოკიდებულებას იჩენს: ა) ძირითადად ენდობა მათ და უცვლელად მოჰყავს მათგან ადგილები თავის „ისტორიაში“, ბ) ასწორებს მათ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით და მოთხრობას აფართოებს, გ) აკრიტიკებს ზოგჯერ მნიშვნელოვან, ზოგჯერ კიდევ წვრილმან საკითხებში.

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 1—2.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> იქვე, შდ. გვ. 7, 8, 9.



„ქართლის ცხოვრება“ მისთვის ძირითადი წყაროა და იქნა მას სხვა მასალები ნაკლები ჰქონია, იგი უცვლელად გადმოუწერია თავის „ივერიის ისტორიაში“, ზოგჯერ კიდევ მიუთითებს მასზე. ხოლო ზოგჯერ ყოველგვარი მითითების გარეშეც აქვს გადმოწერილი.

თ. ბატონიშვილისათვის უდავო არის ქართველთა თარგამოსისაგან წარმოშობილობა. პირველად მან შეამჩნია, რომ „ბიბლია“ ამ თეორიას ეწინააღმდეგება და თავგამოდებით იცავს „ქართლის ცხოვრების“ ნაწილის ე. წ. „მეფეთა ცხოვრების“ ავტორის ლ. მროველის მოსაზრებას. მოყავს რა მისი ეს შეხედულება, წერს: „ესრეთ გარდმოიცემიან საქართველოდსა, ე. ი. ივერიელთა ისტორიათგან ქართლის ცხოვრებისაგან ვახტანგ მეექვსისა ქართლის მეფისა მიერ აღწერილსა და ძისა მისისა ვახუშტისაგან და სხვათაგანაცა აღმწერელთა“<sup>1</sup>. ეკამათება იოსებ ფლავიოსს ქართველთა „იაფეთის ძის თობელისგან“ წარმოშობილობის შესახებ, „ქართლის ცხოვრების“ მოსაზრების დასამტკიცებლად თეიმურაზი იშველიებს მოსეს წიგნსაც და თვით „ერმანთაცა ისტორიის, ე. ი. სომეხთა“, რომელიც თურმე „მოუთხრობს ამგვარადვე“ და ასკვნის: „გარდა ოსიპოს ფლავიოსის წიგნისა სომეხთა იულისაგანობასა და ივერთასა, რომელ არიან ნამდვლ ქეშმარიტებით ქართლოსისა შთამომავლობანი, თობელისა მიერ შთამოსირვასა არავინ სხვაჲ მისტორიეთაგანი. ვკონებ სადაჲ იტყოდეს“<sup>2</sup>. ხოლო შემდეგ მიყვება რა „ქართლის ცხოვრებას“ მსგავსად ვახუშტისა, ოდნავი შესწორებით მოუთხრობს ქართველთა გენეალოგიას. თუ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია „განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თჳსი რვათა ამათ გმირთა... ნახევარი და უმჯობესი ქვეყანისა მისისა მისცა ჰაოსს“<sup>3</sup>, თეიმურაზი სწერს: „მისცა ძესა თჳსსა ქართლოსს თარგამოს მამამან მათმან სხვანი ძენი თჳსნი, ძმანი ქართლოსიანი უფლებასა და მთავრობასა ქუეშე მისისა და გარდაასახლა ყოველთა დედაწულობით და ერითურთ მათით ადგილად სრულიად ივერიისათა... ხოლო ერთი ძეჲ თჳსი ჰაოს დაიპყრა თჳს თანა მხოლოდ“<sup>4</sup>. თუ „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით თარგამოსი ანაწილებს ადგილებს შვილებს შორის, თეიმურაზის მიხედვით საქართველოს მთლიანი ტერიტორია ეძლევა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 9.  
<sup>2</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 11; შდ. გვ. 26, 27.  
<sup>3</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 16.  
<sup>4</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 28; შდ. 30.



თარგამოსისაგან ქართლოსს და იგი ანაწილებს თავის ძმებს შორის მას (შდ. „ქართლის ცხოვრება“ გვ. 16, „ისტორია ივერიისა“ გვ. 29). აგრეთვე ძმათა შორის „ქ. ცხოვრებით“ „იყო განმგებელ და უფალ ჰაოს და ესე ყოველნი იყვნეს მორჩილ ჰაოსისა“<sup>1</sup>. თეიმურაზით: „მათ ყოველთა ზედა უფალ და მთავარ იყო ქართლოს“ ან კიდევ: „ჰფლობდა მათ ყოველთა ზედა ქართლოს და ძმანი მისნი მორჩილნი იყვნეს მისისა“<sup>2</sup>. ამგვარი შესწორებისათვის თეიმურაზს ცხადია არავითარი წყარო არ გააჩნდა გარდა საკუთარი, ჩვენის აზრით, ნაციონალისტური მოსაზრებისა, რომლის მიხედვით სომეხთა წინაპრის ჰაოსის გამგეობა მიზანშეუწყონელი ჩანდა. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ სხვა საკითხებში თეიმურაზი მთლიანად იმეორებს „ქართლის ცხოვრებას“ და ვახუშტის, კერძოდ ადგილების განაწილება ძმებს შორის თითქმის გადაწერილია თეიმურაზის მიერ მათგან (შდ. „ქ. ცხოვრება“ გვ. 17, 19—20, „ივერიის ისტორია“ გვ. 29—30, 31, 32).

ამგვარივე ნდობით უყურებს თეიმურაზ ბატონიშვილი „ქ. ცხოვრების“ მოთხრობას ნებროთისა და ჰაოსის ბრძოლაზე, მოჰყავს იგი პირდაპირ და წერს: „აქედგან ვახტანგ მეფის მოთხრობისაგან“, ჩანს სხვა წყარო ამისათვის არ ჰქონია რა, ხოლო ბოლოს „შესწავებაში“ აკრიტიკებს მოსე ხორენელს ნებროთის მაგივრად ბალის მოხსენებისა გამო და მის საბუთს, გარდა „ქ. ცხოვრებისა“, შეადგენს „დოღმატნი მსოფლიოთა ისტორიათანი“, ისტორიანი „მსოფლიო აზიისა, ევროპისა“ და სხვა<sup>3</sup>. გარდა ამისა შესანიშნავად დიდი რაოდენობა მისი მოთხრობისა გადმოტანილია „ქ. ცხოვრებიდან“. ასე, მაგალითად: ხაზართა და ქართლოსიანთა ბრძოლის შესახებ „ისტორიათაგან ქართლის ცხოვრებისა ვახტანგ მეფისა და ვახუშტისა.“<sup>4</sup> „მოსვლისათვის ივერიად ქექაოზ სპარსთა მეფისა, რომელი იყო ნათესაობისაგან ქეიანთა—ვახტანგ მეფის ისტორიით გამოწერილ“<sup>5</sup>, „ქექაოზის მიერ სპარსთა მეფისა წარმოგზავნა ივერიასაზედა შულის შულისა თვისისა სიანოშის ძის ქაიხოსროსა და პირველად დიდსა ზედა სომხითსა, ე. ი. არმინიასა მოსვლა მისი მრავლითა ძლიერებითა და განმზადებულებითა და მუნით ივერიად“ — „ვახტანგ მეფისვე

<sup>1</sup> „ქ. ცხოვრება“, გვ. 17.  
<sup>2</sup> „ივ. ისტორია“, გვ. 29—30.  
<sup>3</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 44—46.  
<sup>4</sup> იქვე, გვ. 68—70.  
<sup>5</sup> იქვე, გვ. 77—78.

ქართლის ცხოვრებით და ვახუშტისა.“<sup>1</sup> „ვახტანგ მეფისა ქართლის ცხოვრებით და ვახუშტისა“ ისრაელთა გადმოსვლის ამბავი ხელმძღვანელობით, მეწამულის ზღვით<sup>2</sup>. ასევე, სიტყვა-სიტყვით გადმოწერილია არა ერთგან, სადაც თან სდევს შემდეგი სახის მინაწერიც: „ვახტანგ მეფისა ქართლის ცხოვრებით“<sup>3</sup> და სხ. და ბოლოს, სიტყვა სიტყვითაა (მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი დამატებით) გადაწერილი „ქ. ცხოვრებიდან“ მირიანის მეფობა და წმ. ნინოს მიერ ქართველების მოქცევა<sup>4</sup>. გარდა ამგვარი გადაწერისა ქართლის ცხოვრებიდან, შესამჩნევია არა სიტყვა სიტყვით გადაწერა, მაგრამ ძირითადი სიუჟეტის იქიდან ალება და შემდეგ უბრალო განვრცობა ყოველგვარი წყაროების დასახელების გარეშე. თუ კი ვახუშტი ბატონიშვილი ამოკლებდა „ქ. ცხოვრების“ მოთხრობას, თეიმურაზი აფართოვებს მას, მაგრამ ხშირად წყაროების გარეშე, მხოლოდ ვრცლად და მჭევრმეტყველურად მოთხრობისათვის, შინაარსის თვალსაზრისით კი არ სცილდება ქართლის ცხოვრებას. ასე მაგალითად, მაეჩუან სპასპეტის სიტყვა, რომელსაც „ქართლის ცხოვრებაში“ რამდენიმე სტრიქონი ეთმობა<sup>5</sup>, ასევე ვახუშტის „ისტორიაში“<sup>6</sup>, თეიმურაზს განვრცობით აქვს მოთხრობილი, ხოლო არსებითი შინაარსი იგივეა<sup>7</sup>.

მაშინ, როდესაც ვახუშტის ნათქვამი აქვს: „მან (სპარსთა მეფემ, შ. მ.) კეთილად შეიწყნარა და აღასრულნა თხოვნა მათნი ფიცით“<sup>8</sup> და ფიცის რაიმე მუხლებზე ლაპარაკი არა აქვს, თეიმურაზ ბატონიშვილი ჩამოსთვლის რამდენიმე მუხლს ფიცისას<sup>9</sup>, რაც მისი პირადი დასკვნისა და წარმოდგენის შედეგი უნდა იყოს. ვფიქრობთ, ამისათვის მას სხვა წყარო არაფერი გააჩნდა. მრავალის ამგვარი მაგალითების მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისი უნდა იყოს.

ამრიგად, ნათელია, რომ თეიმურაზისათვის ძირითად წყაროს ქართველთა უძველესი ისტორიის აღსაწერად „ქართლის ცხოვრება“

<sup>1</sup> იქვე, გვ. 79—82.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 81—82.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 104—105.

<sup>4</sup> „ქ. ცხოვრება“ ბროსეს გამოც., გვ. 60—101, მ. დედოფლის ვარ. გვ. 48—110; „ივერიის ისტ.“ გვ. 229—273.

<sup>5</sup> „ქ. ცხოვრება“, გვ. 53.

<sup>6</sup> ვახუშტი, გვ. 59.

<sup>7</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 221—224.

<sup>8</sup> ვახუშტი, გვ. 53.

<sup>9</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 226.



და ვახუშტის შრომები შეადგენდა, მაგრამ ეს სრულებით ნაღვს იმას, რომ ამ წყაროებს თეიმურაზი ყოველმხრივ ნდობით უყუ-  
რებდა და მის ფარგლებს არ სცილდებოდა. მას ესმის, რომ „რო-  
მელსაც ვახტანგის ისტორიას ეძახიან ძალიან გაურყენიათ მწერალთა  
და ამისათვის უფრო დიდი შრომა ხამს ჭეშმარიტის გამოძიებისათ-  
ვის“<sup>1</sup> და ამ მიზნით მას სხვა მრავალ მასალებზე დაყრდნობით სურს  
შეასწოროს ეს და „გამოიძიოს ჭეშმარიტება“. მას მართლაც ზოგი-  
ერთი მნიშვნელოვანი შესწორებები შეუტანია „ქართლის ცხოვრე-  
ბაში“. თ. ჟორდანიას, როდესაც ე. თაყაიშვილს ეკამათე-  
ბოდა ქ. ცხოვრების თეიმურაზისეულ ვარიანტისა და იქ შეტანილ  
მნიშვნელოვან ცნობების შესახებ, აღნიშნავდა, რომ იგი უსათუოდ  
თეიმურაზს ეკუთვნის და არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ვახტანგის შეს-  
წორებებად და თან ჩამოთვლიდა ყველა იმ შესწორებებს, რომელ-  
ნიც თეიმურაზს შეუტანია<sup>2</sup>. ამ შესწორებათა შორის ყველაზე მნიშე-  
ნელოვნად თ. ჟორდანიას ქრისტიანობის მიღების თარიღი მიაჩნია,  
რომელიც მისი აზრით, ყველაზე უფრო უახლოვდება სინამდვილეს<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 178.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას „ქრონიკები“, გვ. VIII, IX, X, XI, XII; თაყაიშვილი, სამი  
ისტ. ქრონიკ. გვ. CXXII—CXXVI. წინააღმდეგ დ. ბაქრაძისა, რომელიც „ქ. ცხოვრე-  
ბაზე“ ვახტანგის მიერ გაწეულ რედაქციასაც რატომღაც უარყოფდა (იხ. Статьи  
по ист. и др. гв. 11—20, „საქ. ისტორია“, გვ. 39—43. ვახუშტი—„საქ. ისტო-  
რია“, წინასიტყვაობა, გვ. XIX—XXII). ე. თაყაიშვილი აღნიშნავდა: „სისრულე  
თეიმურაზის ვარიანტისა შედარებით სხვა ვარიანტებთან გვაფიქრებინებს, რომ  
ხსენებული ვარიანტი, თუ ის ვარიანტი არ არის, რომელიც თვით ვახტანგს შეუს-  
წორებია და შეუვსია, რაც ჩვენ საქეშმარიტოდ მიგვაჩნია, ყოველ შემთხვევაში  
ვახტანგის რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ ნამდვილი პირი უნდა იყოს... რაც  
ცვლილება მოუხდენია ვახტანგს „ქართლის ცხოვრებაში“, ეს ყველაზე უფრო თეი-  
მურაზის ვარიანტიდან სჩანს“ (ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა,  
გვ. CXXII). თ. ჟორდანიას კი, განსხვავებით თაყაიშვილისა და ბაქრაძის მოსაზრე-  
ბისა, თავის „ქრონიკებში“ (წიგნი I) სამართლიანად მიუთითებდა „ქ. ცხოვრე-  
ბაში“ როგორც ვახტანგის მიერ დამატებულ ცნობებზე, აგრეთვე, მისგან განსხვა-  
ვებით, თეიმურაზის მიერ შეტანილ შესწორებებზედაც.

<sup>3</sup> „ქრონიკები“ I. VIII. თ. ჟორდანიას აზრით, თ. ბატონიშვილს ხელთ ჰქო-  
ნია „ქ. ცხოვრების“ მ. დედოფლისეული ვარიანტი ცხადა ეს მტკიცება, სისწო-  
რეს არ შეესაბამება. ეს რომ სწორი იყოს, რომ თეიმურაზს ხელთ ქონოდა მ. დე-  
დოფლისეული ვარიანტი ქართლის ცხოვრებისა, ქართლის ცხოვრების შექმნას  
იგი (თეიმურაზი) ვახტანგს არ მიაკუთვნებდა და თავის წიგნში მას ყველგან ვახ-  
ტანგის შრომად არ მოიხსენიებდა. უფრო სწორია ჟორდანიას მოსაზრება, რომ  
თეიმურაზს ხელთ უნდა ჰქონოდა მარიამ დედ. „ქ. ცხოვრებიდან“ ამოღებული  
ცნობები.



ქორდანისათვის, თუ რომელ წყაროდან ამოიღო თეიმურაზმა ქართული ველთა მოქცევის ეს თარიღი, უცნობი იყო. სხვა შესწორებებში რომელიც თეიმურაზს შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში“ ქორდანია სამართლიანად ასახვლებს: 1. „ეგრემ მცირეს წერილი... 2. სასწაულნი შიოსანი, ბასილ კათალიკოზის მიერ (მე-10-ე საუკუნე) შეკრებილნი, 3. სუმბატის ქრონიკა, ერთი წილი ამ ქრონიკისა თეიმურაზზე უწინ ყოფილა შეტანილი, ხოლო თეიმურაზს მთლად შეუტანია და მეორედ შეუცვლია ტექსტი ზოგი სხოლიებში და დამატებაში მოუქცევია... 4. დავით და კონსტანტინეს წამება... 5. გუჯარი ბავრატ მე-4-ისა... 6. წმინდა ვეთიმეს ცხოვრება... 7. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“<sup>1</sup>. ამ წყაროების მიხედვით თეიმურაზის მიერ შეტანილი შესწორებანი თვით ქორდანის დეტალურად აქვს მოთხრობილი, მხოლოდ ჩვენ გვანტერესებს სხვა წყაროებიც, რომელიც მას უქველად ხელთ უნდა ჰქონოდა. თეიმურაზისათვის მნიშვნელოვან წყაროს არსენ კათალიკოზის თხუზულებიდან ამოკრებილი ცნობები შეადგენდა. იგი სწერს: „ძველს ქართლის ცხოვრებიდამ გამოწერილი, მე თვით გამოვწერე კათალიკოზის ანტონის შეკრებულის მოთხრობებიდან, რომელიცა მრავალთა წერილთაგან გამოეკრიბა და ნებევდა თურმე ისტორიისა სრულისა აღწერა და აღარ დასცალდა და ის გამოწერილები ისე უქმად დარჩა და მე უწმინდესმან კათალიკოზმან მამის ძმამან ჩემმან, ვინაჲდგან მიყვარდა მე ისტორია მრავალი რამ საისტორიო საქართველოჲსათვის გამომაწერინა თავის წიგნებიდამ. ანტონი კათალიკოზი, ბიძა ჩემი (ე. ი. მეორე ანტონი) სანკტ პეტერბურგს ბრძანდებოდა წელსა 1820 და შემდგომს წელიწადებშია და მაშინ გამოვწერე“<sup>2</sup>. რომ სწორედ ეს გამოწერილები შეიცავდა ავრეთვე არსენ კათალიკოზის შრომიდან ამონაწერებს, ამაზე გარკვევით მიგვითითებს იგი... „არსენ დიდისა კათალიკოზისა სრულიად ივერთა მოთხრობისაგან გამოღებულთა, რომელიცა გამოკრებულთაგან სხვათა და სხვათა საქართველოს ძველთა ამბავთაგან ვრცელისა ისტორიისა შესადგომად გამოეწერინებინა ანტონია პირველსა“<sup>3</sup> თეიმურაზის მოწმობით, ამ ცნობათაგან მრავალი უპოვნია არსენს „დიდსა მატეანესა შინა ძველსა ჩვენთა მემკვიდრეთა აღმწერელთაგან“. ანტონი კათალიკოზის მიერ გამოწერილ ფურცელთ და თვით არსენ კათალიკოზს არა ერთ გზის იხსენიებს თ. ბატონიშვილი თავის „ივერიის ისტორიაში“<sup>4</sup> ხოლო არსენ-

<sup>1</sup> „ქრონიკები“, გვ. IX—X.

<sup>2</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 177—178, შენიშვნა.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 83, შენ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 110, 111, 149, 177, 178 და სხვ.



ნის მოთხრობას იგი იცნობდა, როგორც ჩანს, ძველ მატყლიან ამოღებულად, რომელსაც იგი ვახტანგის ქართლის ცხოვრების გვერდით იხსენიებს<sup>1</sup>.

თ. ჟორდანიას უფლება ჰქონდა 1892 წლისათვის, როცა ის თავის ქრონიკებს აქვეყნებდა, თეიმურაზის „ივერიის ისტორიას“ თანდაართული შენიშვნების მიხედვით რომ ეთქვა არსენ კათალიკოზს, გარდა „სომეხთა და ქართველთა განყოფის ისტორიისა“ და „წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ჰქონია „ვრცელი ისტორია საქართველოსისა“<sup>2</sup>; მაგრამ 1900 წ. შემოდგომაზე საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა შორის აღმოჩენილმა არსენ კათალიკოზის კრებულში მოთავსებულ „წმ. ნინოს ცხოვრებამ“ აღნიშნულ მოსაზრებას საფუძველი გამოაცალა და თეიმურაზის მიერ სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა ნაირად დასახელებული არსენის თხზულებანი („კათალიკოზისა არსენის დიდის მოთხრობა“ და მისივე „წმ. ნინოს ცხოვრება“) ერთი და იგივე თხზულებად წარმოგვიდგინა. ამ აღმოჩენამ ამჟამად ნათელჰყო, რომ თეიმურაზს მართლაც ხელთ ჰქონია არსენ კათალიკოზის „წმ. ნინოს ცხოვრების“ ფრაგმენტების სახით მაინც, საიდანაც, როგორც იგი უთითებს, ამოუღია ზოგიერთი მასალები საქართველოს ისტორიის საკითხებისათვის<sup>3</sup>. ასე მაგალითად: თეიმურაზი, იმეორებს რა „ქართლის ცხოვრების“ და ვახუშტის აზრს აზონის ბერძნული წარმოშობილობის შესახებ, სწერს: „დაუტყვეა მუნ აზონ მთავართა თუსთავანი ძეა არიანე მთავრისა მაკედონელისა ასი ათასისა მხედრობითა“<sup>4</sup> და მას ქვემოთ გაკეთებულ შენიშვნაში თეიმურაზი მიუთითებს: „სრულიად საქართველოს კათალიკოზი არსენი დიდი სწერს აზონს ძედ არიანესა“ და მართლაც არსენ კათალიკოზი ამბობს: „ხოლო ჰყვა

<sup>1</sup> თ. ჟორდანიას აზრით „ძველი მატყიანე“, თეიმურაზის მიერ მოხსენებული, თითქოსდა არის ვახტანგის „ქ. ცხოვრების“ პირველი ნაწილი, ცხადია ეს არაა სწორია: „ძველი ქართლის ცხოვრების“ ავტორად მას არსენ კათალიკოზის მიერ „ქართლის მოქცევიდან“ ამოღებული ცნობების ავტორი მიაჩნია.

<sup>2</sup> თ. ჟორდანიას „ქრონიკები“ I გვ. XXV.

<sup>3</sup> თეიმურაზის ბიბლიოთეკის კატალოგში იხსენიება: „წიგნი ქართველთა წით ცხოვრება და ღვაწლი მოწამეთა ძველადვე შეკრებილი... არსენი სრულიად ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზისა მიერ... წიგნი ესე შეიცავს: ა) მოთხრობა ვრცელად წმინა მოციქულისა ნინასათვის და მოქცევისათვის საქართველოსა“... და სხვ. იხ. Пагарели Св.т... 162, № 57; А 1091 გვ. 37—38; ჩანს არსენის „წმინდა ნინოს ცხოვრება“ თეიმურაზს ჰქონია, მაგრამ იგი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სრული არ უნდა ყოფილიყო.

<sup>4</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 110—111.

თანა ახოვე (უნდა იყოს: ახოვე, შ. მ.) ძე არიან ქართველთა მეტისა და მისცა ქუეყანა ესე ჩუენს სამეფეოდ<sup>1</sup>. ამ ცნობის „ქართლის მოქცევასთან“ შედარება უდავოს ჰყოფს, რომ არსენ კათალიკოზს ხელთ ჰქონია იგი და ეს ცნობაც იქიდანაა ამოღებული, თ. ბატონიშვილს კი „ქართლის მოქცევით“ აღარ უსარგებლნია, რადგან იქიდან ამოღებული ცნობა არსენ კათალიკოზს მიაკუთვნა.

რომ თეიმურაზი არსენ კათალიკოზის „წმ. ნინოს ცხოვრებით“ სარგებლობდა, ამ მოსაზრებას მეორე მავალითიც ცხადჰყოფს. არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც ვახუშტის „ისტორიაში“ სიტყვა არაა ნათქვამი აზონის მიერ თვრამეტი სახლის გადმოყვანის შესახებ საქართველოში. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“<sup>2</sup>-ში, როგორც ცნობილია, ნათქვამია: „ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძღუეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას“<sup>3</sup>. არსენ კათალიკოზით „ხოლო ესე ახოვე წარვიდა არიან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიო და მოქალაქე, დედებით ყმებითურთ მათით და კვალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა დედებით და ყრმებით მათით“<sup>4</sup>. აქაც ნათლად სჩანს თუ საიდან აქვს ამოღებული ყოველივე ეს არსენ კათალიკოზს, თუმცა „ქართლის მოქცევის“ და მოყვანილ ამონაწერს შორის (როგორც მოსალოდნელი იყო) განსხვავება არსებობს. თეიმურაზი კი კიდევ უფრო ასწორებს მას, გრძნობს რა წინააღმდეგობას შემომოყვანილ მოსაზრებასთან, რომ აზონი ბერძენი იყო და ცხადია ქართლად ვერ წავიდოდა, სწერს: „არამედ კვალად წარვიდა აზონ მამისა თვისისა მიმართ არიანნესა და მოიყვანა მუნით ათი სახლი ჩინებულთა და ათასი სახლი მდაბიონი და ყოველნი დედაწულითურთ მათით მოვიდეს და დაეშენნენ ქართლს“<sup>5</sup>,

<sup>1</sup> „წმ. ნინოს ცხოვრება“, კარბელაშვილის გამოც. 1903 წ., გვ. 46.

<sup>2</sup> Э. Такайшвили, Опис... II—გვ. 709.

<sup>3</sup> ა. კათალიკოსი, „წმ. ნინოს ცხოვრება“, 1903 წ., გვ. 46.

<sup>4</sup> „ივერიის ისტორია“... გვ. 111. თ. ჟორდანიას სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს ცნობები არსენს „ქართლის მოქცევიდან“ ამოღულია და იქიდან კი თეიმურაზს შემოუტანია თავის „ისტორიაში“. მაგრამ, როცა მიუთითებს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც ამ ცნობასა და „ქ. ცხ.“ ცნობას შორის არსებობს, კითხულობს: „თუ აზონი ბერძენი იყო, მაშ ქართლში რად წავიდოდაო, მამასთან“. თეიმურაზი გრძნობდა ამ წინააღმდეგობას. მას ეს ცნობა არსენ კათალიკოზისა, როგორც ვსთქვით, უცვლელად კი არ მოუყვანია, არამედ შესცვალა და აღნიშნა „წარვიდა აზონ მამისა თვისისა მიმართ არიანნესა“ (ე. ი. მაკედონიაში). ამრიგად, ეს ორი, სხვადასხვანაირი ცნობა, თეიმურაზმა შეარჩია და აქ არავითარ წინააღმდეგობას არა აქვს ადგილი, როგორც თ. ჟორდანიას ეგონა.



და იქვე შენიშნულია „კათალიკოსის არსენის დიდისა მოქცევისაგან“. აქედან უდავოდ მტკიცდება, რომ თეიმურაზისათვის უცნობია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დედანი, მაგრამ სარგებლობს მით არსენ კათალიკოზის ამონაწერების მიხედვით. არსენს ის უდავოდ ჰქონია და, გარდა ამისა, მის ცნობებში სხვა, უძველესი წყაროები ყოფილა გამოყენებული, როგორც ეს ზემოთაც გვქონდა ნათქვამი. ასე მაგალითად, თ. ბატონიშვილი, როცა ეკამათება ჰეროდოტეს, მეგრელების ეგვიპტელებისაგან წარმოშობილობის შესახებ, იხსენიებს სხვა წყაროებთან ერთად არსენ კათალიკოზის მოთხრობას, რომელსაც თურმე სეზოსტრისის ისტორია ქართულ ძველს დიდს მატინეში უპოვნია და რომლის მიხედვით მეგრელები სეზოსტრისის მხედრობის შთამომავლები კი არ არიან, არამედ პირიქით, „სეზოსტრის მხედრობისაგანნი იყვნეს ვიდრე ოთხი ათას მამაკაცამდე, რომელთაცა შვილთა დაივიწყნეს ყოველნი ჩვეულებანი გვარეულობითნი თჳსნი და მიიღეს ჩვეულება ქართლოსიანთა“<sup>1</sup>. გარდა „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ გამოწერილ ცნობებისა, თეიმურაზს სხვა ცნობებიც ჰქონია, ანტონ პირველის მასალებიდან გამოწერილი, რომელსაც არსენ კათალიკოზის ცნობებისაგან განსხვავებით მის გვერდით იხსენიებს და ამ წყაროებზე დაყრდობით, „ქართლის ცხოვრების“ მითითებას იმის შესახებ, რომ „ფარნავაზმა წარიყვანა ცოლი ფარსმანის სომხითად და მუნ დახიზნა“ თეიმურაზი არ ეთანხმება ამგვარ წვრილმანში ლ. მროველს და დასძენს: ანტონ პირველის მასალებიდან ბიძა ჩემმა გამომაწერინა, რომ „ფარნაოზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი მეფისა ფარსმან მეორისა და შვილი მისი ადამ მირდატისაგან მლტოლვარე კოლხიდად და ყოველნი ქვემონი ივერიელნი შემოკრბენ მისთანა და შემდგომად მოიყვანეს ვითარცა აღმიწერიეს, განდევნეს მირდატ და მოკლეს, დაიპყრეს ივერია ზემოცა სრულიად და ამა მხედრობათა შორის არაყოფილარს მეფეჲ სომეხთა“<sup>2</sup>.

ჩვენის აზრით, ამავე წყაროებიდან უნდა იყოს ამოღებული თეიმურაზის მიერ მოთხრობილი ფარსმან ქველის მიერ „ორ-მეფობის“ მოსპობა და რამდენიმე წელს მისი, როგორც ერთად-ერთი მეფის, მოღვაწეობა. ვახუშტის „ისტორიაში“ გამოკვეთილად ამაზე არაფერია ნათქვამი და არც „ქართლის ცხოვრებაში“. ხოლო თუ თეიმურაზის მიხედვით „კვალად ერთ-მეფობა იქმნა ქრისტესით 131 წელსა“, რაც მისი ქრონოლოგიით 144 წლამდე ვაგრძელდა, აქედან

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 38.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 177—178.

ორნახევარი წელი მირდატმა იმეფა. შეიძლება ის ამ შემთხვევაში ვახუშტის მიხედვით მსჯელობდა, მაგრამ ზემოთმოყვანილი ამონაწერიდან ცხადი უნდა იყოს, რომ ფარსმან ქველის მეფობის შესახებ ცნობებიც ანტონ კათალიკოსის დასახელებულ წყაროდანაა ამოღებული, რადგან ეს მოთხრობა წინ უძღვის ფარსმანის ცოლის წაყვანის ამბავს და მასზე კი თეიმურაზს ნათქვამი აქვს: „ვითარცა აღმიწერიეს“ ისე მოხდაო.

როგორც აღნიშნული გვქონდა, თეიმურაზს ჰქონია ამონაწერები არსენის „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“. თეიმურაზი, მოჰყავს რა ამონაწერი ამ თხზულებიდან, სწერს: „ესე წერილ არს წმინდისა მოციქულთა სწორისა ნინას მიერ მოქცევისა და ქადაგებისა მოთხრობასა შინა, რომელიც აღწერილ არს ვრცელისაგან მოთხრობისა წმინდისა ნინას ცხოვრებისა და ქადაგებისა, უფრორე შემოკლებით, ღირსისა დიდი არსენის კათალიკოსისა მიერ ქმნილსა წიგნსა შინა“<sup>1</sup>, ამასვე იმეორებს იგი ქვემოთაც: „დიდისა არსენის მიერ კათალიკოსის აღწერილსა შინა წმინდისა ნინოს ცხოვრებასა“<sup>2</sup> და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თხზულება თეიმურაზისათვის საკმაოდ ცნობილია, თავის წიგნში, წმინდა ნინოს ცხოვრების აღწერისას, მით არ უსარგებლა, რადგან მას მხოლოდ ამონაწერებით იცნობდა. თეიმურაზს რომ მთელი ეს თხზულება ხელთ ჰქონოდა, მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ არ მიაქცია თეიმურაზმა ყურადღება თვით არსენ კათალიკოსის შენიშვნას, რომ სხვადასხვა მომთხრობელთა მიერ წმინდა ნინოს მოღვაწეობის შესახებ ცნობები იმდენად აირია, რომ „მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უხმარ და ვერ საცნაურ“<sup>3</sup> და რატომ არ შეეცადა ესარგებლა ამით და არა ისეთი არეული და „ფრიად საწყინო“ ამბავით, როგორც ეს „ჰამბავსა მეფეთა“-საში (ე. ი. „ქართლის ცხოვრებაში“) იყო... ალბათ იმიტომ, რომ თეიმურაზი მას ამონაწერებით იცნობდა და ამიტომ შემოკლებით მოთხრობად მიუჩნევია და თვითონ კი, ვრცელის მოთხრობით გატაცებულს, მისი სხვა ღირსება ველარ შეუმჩნევია<sup>4</sup>.

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“, გვ., 49, შენ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 105.

<sup>3</sup> „წმ. ნინოს ცხოვრება“, 1903 წ. გვ. 51—52.

<sup>4</sup> თეიმურაზი რომ არსენის „წმ. ნინოს ცხოვრებას“ მხოლოდ ამონაწერებით იცნობდა, ამ მოსაზრებას, გარდა ზემოთქმულისა, ისიც ადასტურებს, რომ იგი ასხვავებს არსენის მოთხრობას საქ. ძველი ისტორიის საკითხებზე მისივე „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ ამოღებული ცნობებისაგან (შდ. გვ. 83, გვ. 49, 105), მაშინ როდესაც ნამდვილად ყველაფერი ეს არსენის ერთ თხზულებაში, კერძოდ „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ მოთხრობილი და რომ მას იგი ხელთ ჰქონოდა, რატომ უნდა მიეჩნია არსენი ორი სხვადასხვა თხზულების ავტორად?

თ. ბატონიშვილს, გარდა „წმ. ნინოს ცხოვრებისა“, ანტონიშვილიველი კათალიკოსის ამონაწერ წყაროებიდან, როგორც ვთქვამთ, სხვა ცნობებიც უნდა ჰქონოდა. ეს ჩანს იქიდან, რომ იგი ამ ამონაწერებში ასხვავებს „კათალიკოსის არსენის დიდის მოთხრობისაგან“ „კათალიკოსისა ანტონის პირველისა გამოწერილთა ფურცელს“ ასე, რომ ეს „გამოწერილი ფურცელი“ თეიმურაზისათვის, როგორც სჩანს მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა და ზოგიერთი ცნობები, რომლებითაც იგი „ქართლის ცხოვრების“ შესწორებას ცდილობს, აქედან უნდა იყოს ამოღებული.

თეიმურაზი მართალია ხშირად იხსენიებს წყაროს, მაგრამ უფრო მეტად მაშინ, როდესაც იგი რომელიმე საკითხზე ვინმესთან კამათობს და ზოგჯერ ისეთ წყაროსაც მოიხსენიებს, რომელიც ამჟამად არ მოიპოვება, ან კიდევ, თუ მოიპოვება, იქ საწინააღმდეგო სწერია ვინემ თეიმურაზს აქვს მოყვანილი. ასე მაგალითად, იგი სხვადასხვა წყაროებს, კერძოდ: მაეჟან სპასპეტს<sup>1</sup>, ჯუანშერს<sup>2</sup>, გიორგი მთაწმინდელს<sup>3</sup> და სხვ. თვით ვახუშტ ბატონიშვილსაც კი იმოწმებს იმის დასამტკიცებლად, რომ „ქართლოს, რომელიც წინაპართა ჩვენთა იქმნა ნათესავთ მთავარ, იგი ფუთ და ყოველნი ძენი, ძმანი, შთამომავალნი და ერნი მისნი, მომზრახ იყვნეს ივერიულად, ესე იგი ქართულად“ და არა სომხურად, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ თურმე. ნამდვილად კი ვახუშტი „თვით ქართული ენის წარმოშობის შესახებ იმეორებს ლეონტი მროველის, ბავშურ აზრს“ და თავის „ისტორიაში“ წერს, რომ ვითომცდა ფარნაოზამდე „იყო ენა სომხური საქართველოსა შინა“<sup>4</sup>. უფრო საკვირველია, რომ თ. ბატონიშვილი თვით ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებასაც“ იმოწმებს ამის დასამტკიცებლად, მაშინ, როდესაც ამ „ქართლის ცხოვრებაში“ თვითონ შეჰქონდა შესწორებანი აღნიშნულ საკითხზე და იქ, სადაც ნათქვამი იყო თავდაპირველად სომხური ენის ბატონობის შესახებ—შლიდა, თავისებურად ასწორებდა<sup>5</sup>. და ეს შესწორებანი ნაბეჭდ „ქართლის ცხოვრებაში“ ბროსეს მიერ, თეიმურაზის არა ერთი მითითებისა და თავისებურ მტკიცების შემდეგ, იქნა შეტანილი. (თვით ბროსე კი მროველის შეხედულებას იმეორებდა).

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“... გვ. 33.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 34.

<sup>4</sup> ვახუშტი, გვ. 35; შდ. აკად. ი. ჯავახიშვილი, „ქართ. საისტ. მწერ.“, გვ. 296.

<sup>5</sup> Такайшвили, Опис. рукописей, II, გვ. 6.



გარდა ისტორიკოსთა მოწმობისა, ქართული ენის სომხურ-საქართველო-  
დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად თეიმურაზს სხვა საბუთებიც  
მოყავს და სამართლიანად ამტკიცებს მას. ამით იგი სცილდება  
მროველისა და თვით ვახუშტის მიერ განმეორებულ ამ ბავშურ  
თეორიას<sup>1</sup>.

გარდა ამისა, თეიმურაზ ბატონიშვილი ბევრ სხვა საკითხებშიაც  
შორდება „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობას და ზოგიერთ შემ-  
თხვევაში ჯანსაღ მოსაზრებებს აყენებს კიდეც. თუ კი ვახუშტი ბა-  
ტონიშვილი ვერ. წოდ. „მამასახლისობის პერიოდის“ შესახებ  
მთლიანად იმეორებდა მროველის მოთხრობას, თეიმურაზი არ კმა-  
ყოფილდება ამით და ცდილობს დახატოს ძველი საქართველოს  
სოციალური წყობის სურათი. თავისებურად მან ეს კიდეც შესძლო<sup>2</sup>  
და ლ. მროველის შემდეგ, ქართველ ტომებში საგვარეულო წყობის  
დახასიათებისათვის, ქართულ საისტორიო მწერლობაში გარკვეულ  
ნაბიჯს სდგამს წინ.

თ. ბატონიშვილი გარკვეულად ხედავს, რომ ქართველ ტომებმა თა-  
ვის განვითარებაში გაიარეს ორი ძირითადი საფეხური—„ორნი ვიდ-  
რემე არიან პირველიდგანვე ცვლილებანი საქართველომასამართვე-  
ლობათანი. 1. მამასახლისობითი, რომელ არს საზოგადო ერის მმართვე-  
ლობა, 2. მეფობითი ე. ი. თვითმპყრობელობითი“<sup>3</sup>. თ. ბატონიშვილი,  
ჩვენის აზრით, სრულიად სამართლიანად მიუთითებს ზოგიერთ ის-  
ტორიკოსებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობაში ფარნაო-  
ზამდე არავითარ მეფობაზე არაა ლაპარაკი: „მრავალნი ისტორი-  
კოსნი ძველნი—სწერს იგი—შეცდეს და ივერიის მამასახლისთა რო-  
მელთამე სწერდეს მეფობის სახელით და სხვათა მთავრებად და ესე  
ჯერ არს უწყებად მკითხველთათვის რომელ ივერიელთა ერის  
საზოგადოობა იყო ალექსანდრე მაკედონელის მო-  
სვლამდისინა, მანამდის არც ერთი მეფე და არც  
მთავარი მამასახლისთ გარდა სრულიად ზემოსა და ქვე-  
მოსა ივერიასა შინა არავინ ყოფილა“<sup>4</sup>. და თუ ალ. მაკე-  
დონელის მოსვლამდის „არც ერთი მეფე და არც მთავარი... ივე-  
რიასა შინა არავინ ყოფილა“, ცხადია, მცხეთოსის გარდაცვალების  
შემდეგ „მეფობის მოსპობაც“ არ მოხდებოდა, რადგან იგი, ბატო-  
ნიშვილის მტკიცებით, არ არსებობდა. პირიქით, თეიმურაზის აზრით,

<sup>1</sup> შდ. „ივერიის ისტორია“, გვ. 32—40.

<sup>2</sup> შდ. И. Джавахов, Гос. строй... გვ. 3—4.

<sup>3</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 48.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 87 შენ.

უფლოსმა თუმცა მიიღო „მეუფლეობაცა და საკუთარიცა ნაწილი საპყრობელოდ მამისა თვისისა, მაგრამ ვერღარა ძალ იღვა დამორჩილებად ერისა მის განდიდებულისა“<sup>1</sup> და საჭირო გახდა გარდა ერთი უფლოსის მამისახლისობისა, სხვაც. ამრიგად, თეიმურაზის აზრით, ერის გამრავლებაა მიზეზი მრავალ მამისახლისობის შემოღებისა. იგი შენიშნავს, რომ „ოდეს გამრავლდეს შთამამავლობანი უმეტეს ქართლოსიანთანი, მაშინ საზოგადოებათა ერისათა გამოირჩივნეს და დაიდგინეს თავისა მათისა ყოველთა თუთოეულთა კერძოთა და ადგილთა საქართველოდსა მცხოვრებთამან რაოდენთამე სახლთა თქს თქსად მამისახლისნი“<sup>2</sup>. ხოლო უფლოსიც „ფლობდა... მამისა თქსისა ნაქონებსა“, ე. ი. მცხეთას და ამდენად იყო პირველი მამისახლისთა შორის. ამრიგად თ. ბატონიშვილის აზრით მაკედონელამდე არავითარი მეფობა არ არსებობდა და ცხადია მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ მეფობა კი არ მოისპო, არამედ საზოგადო კრებამ ქართლოსიანთა განდიდების გამო აირჩია „თქს თქსად მამისახლისნი“... მთელი ამ მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზი გამოდის მროველის მოთხოვნიდან, განმარტავს მას და სრულიად სწორად აქვს მისი აზრი ვადმოცემული და ვაგებულები. თუ მროველის შრომასაც დაწვრილებით განვიხილავდით, მსგავსი დასკვნა უნდა ვაკეთებდინა<sup>3</sup>. „ერის საზოგადო მართველობის“ შემოღების აუცილებლობის დამტკიცების შემდეგ, თეიმურაზი დაწვრილებით ავგი-

<sup>1</sup> იქვე, გვ. 48.

<sup>2</sup> „ივერიის ისტორია“... გვ. 48—49.

<sup>3</sup> აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით მეფობა, ისე, როგორც „განძთა ქუაბში“, ასევე მროველის თხზულებაში თავიდანვე ღმერთის მიერაა დაწესებული, ისე, როგორც ადამი „განძთა ქუაბში“, თარგამოსი მროველის თხზულებაში, მეფედაა წარმოდგენილი (იხ. „საისტორიო მწერლობა“, გვ. 121, 122. „Гос. царь“... გვ. 20). ასევე, „მეფობის მოსაზრება“ და „მამისახლისობის დამყარების“ შესახებაც მროველს თითქოს „განძთა ქუაბიდან“ აქვს ნახსენები. (იქვე). ადგილის უქონლობის გამო მოკლედ შევნიშნავთ: „განძთა ქუაბისა“ და მროველის თხზულების შედარებამ დაგვანახა, რომ ა) თუ „განძთა ქუაბში“ ენუქის ანდერძია მოყვანილი (ჩემს შემდეგ „რომელი დაშთეს არცა და იყოს გამგე ერსა თვისსა ზედა“. „ქ. ცხ.“ მარიამის ვარიანტი, დამატება პირველი, გვ. 804) და გატარდა იგი თუ არა, არ ჩანს, მროველის თხზულებაში კი გარკვევითაა ნაჩვენები მცხეთოსის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა: „ალარავინ იყო გამგე“. ბ) არც შინაარსითაა მათ შორის მსგავსება. „განძთა ქუაბში“ მითითებულია შემდეგ გამგებლობის მოსაზრებაზე, ხოლო მცხეთოსის შემდეგ არჩეული მამისახლისი რა უნდა ყოფილიყო მროველის მიხედვით თუ არა „გამგე ერსა თვისსა ზედა“, ეს მროველის სიტყვიდანაც მტკიცდება, რომ მცხეთის მამისახლისნი „იყვნენ ყოველთა მათსხუათა ზედა“ და მათი „მანავებელი და ბჭე“. გ) რაც



წერს იმ ორგანოებს, რომელიც ამ დროს არსებობდა ქართველ ტომებში; როგორც იგი მიუთითებს „საზოგადოება ერისა განაგებდა ყოველთა საჭიროებათა ქვეყნისა მათისა მმართველობისასა“ და ეს „საზოგადოება ერისა“, საერთო კრება, იყო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო: „ვერა ძალ ედვათ მამასახლისთა თავით თუსით გარდახდევინებად დამნაშავეთა ღირსთა დასჯისათა, ვიდრემდის არ წარედგინებოდენ იგინი საზოგადოსა ერისა შეკრებულე ბასა შინა“<sup>1</sup>. გარდა საერთო კრებისა, არსებობდა არჩეულთა საბჭოც—„ჰყოფდეს მამასახლისნი სამართალსა აღრჩევითა ბქეებისათა, ე. ი. აღირჩევდეს საზოგადოებისაგან მოხუცებულთა, ქვეიანთა, გამოცდილთა, უქრთამითა და პირუთნებელთა კაცთა“<sup>2</sup>. არჩეულთა საბჭო განაგებდა ტომის შიგნით სადავო საქმეებს, ხოლო ტომებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში— „ხოლო, უკეთუ საქვეყნო რაჲმე ანუ სასოფლო საჩივარი ანუ ორთა თემთა ურთერთისა შიმართ ცილობა, მაშინ მამასახლისნი მუნებურნი წარავლინებდეს და მოუწოდებდენ თუსთანა სხვათაცა მამასახლისთა და მამასახლისსა მცხეთისასა და ესრეთ განსწმენდდენ საქმეთა მათ ცილობისათა“<sup>3</sup>. მცხეთის მამასახლისი იყო „უპირველესი სხვათა მამასახლისთა ზედა“ და იგი, როგორც ჩანს, ყოფილა აგრეთვე მხედართმთავარი მათი, რადგან მტრის გამოჩენის შემთხვევაში წარვიდოდა სამზღვრისა მის კერძოსა მცხეთელ მამასახლისი, წარიყვანდა თანა საკუთარისა სამამასახლისოსაგან თუსისა კაცთა რჩეულთა... შემოკრებოდენ მუნ ყოველნი მამასახლისნი და სამამასახლისოთა მათთა კაცნი ძლიერნი და მეცნიერნი ბრძოლისანი და ესრეთ განემზადებოდეს ბრძოლად მტერთა“<sup>4</sup>. თ. ბატონიშვილის მიერ დახატული სურათი, ქართველთ იმდროინდელი სოციალური წყობის შესახებ, ზედმიწევნით უდგება საგვარეულო წყობილების სურათს. ყველა ეს ორგანოები, რომელსაც თეიმურაზი ჩამოთვლის, როგორც

მთავარია, „ქართლის ცხოვრებით“, მცხეთოსის გარდაცვალება მამასახლისობის განმტკიცებით დამთავრდა, ხოლო განძთა ქუაბში ამაზე სიტყვა არაა ნათქვამი, და, ბოლოს, დ) ამ თხზულებებს შორის არაფერი არაა საერთო ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც. ცხადია, მრაველი იმდენად უვიცი არ უნდა ყოფილიყო, რომ არც კი სცოდნოდა, თუ სად რა წყარო გამოეყენებინა და წარღვნის წინაღობინდელი ამბავი სრულიად შეუფერებელ, უადგილო-ადგილას ჩაერთო.

<sup>1</sup> „ივერიის ისტ.“, გვ. 49.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 50.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 50.  
<sup>4</sup> იქვე.



ფრ. ენგელსი სწერს: „მხედართმთავარი, საბჭო, სახალხო-კრები წარმოადგენენ გვაროვნული საზოგადოების ორგანოებს“<sup>1</sup>.



თეიმურაზი გარდა საგვარეულო წყობის ორგანოების ჩამოშლის სა და დახასიათებისა, მიუთითებს შექმნილ საოჯახო, ქონებრივ ურთიერთობაზე და იმდროინდელ ღმერთებზე, რომელიც „ჰყვამათ მათ“. აღნიშნული უნდა იქნეს, რომ ლ. მროველის მიხედვით, „მამასახლისობის“ დროინდელი ქართველები 7 მნათობთა თაყვანისმცემლად არიან გამოყვანილი (გვ. 21) ხოლო ფარნაოზმა კი, მისივე ცნობით, „შექმნა კერპი დიდი... არმაზი“. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიუთითებს, რომ ფარნაოზამდე „თანა ჰყუანდეს კერპნი ღთად გაცი და გაიმი“, ხოლო ფარნაოზზე აქაც ნათქვამია: „აღმართა კერპი დიდი... არმაზი (Э. Такайшвили, Опис.... II, გვ. 709). თეიმურაზი კი ამ წყაროებისაგან განსხვავებით მიუთითებს: მამასახლისობის პერიოდში „აქვნდათ მათ (ქართლოსიანებს, შ. მ.) სასულიეროდცა მსახურება მრავალ-ღმერთობისა... სახითა, ჰყვამათ მათ საკუთარნიცა ღმერთნი თჳსნი, რომელთა შორის იყო უპირველესი ღმერთი მათი ბოჩი, რომელსაცა პირველ არმაზის... თაყვანისსაცემლად მიღებისა უყოფდეს დიდსა პატივსა ბოჩის“... (იხ. გვ. 50—51). ამ ცნობით თეიმურაზმა სრულიად სხვანაირი მასალა გადმოგვცა ქართველთა უძველესი წარმართული პანთეონის შესახებ. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის ერთ-ერთ ლექციაში მიუთითა, ეს თეიმურაზის მიერ შეთხზული არ უნდა იყოს, იგი ექვთიმე მთაწმინდელის ცნობაზეა დამყარებული. მაგრამ თეიმურაზის მითითება, რომ ბოჩი „იყო უპირველესი ღმერთი მათი“... დაუსაბუთებელი ჩანს. თუ რომელმა წყარომ მისცა ამგვარი მტკიცების შესაძლებლობა. ჩვენთვის უცნობია, რადგან ექვთ. მთაწმინდელის ცნობაში ბოჩის „უპირველეს ღმერთობაზე“ არაფერია ნათქვამი.

წარმართული კერპების მოკლე ანალიზის შემდეგ თეიმურაზი ეკამათება ვახუშტი ბატონიშვილს, რომლის მიხედვით „მამასახლისობის პერიოდში“ ქართველებს „აქვნდათ სჯულიცა უბოროტეს ყოველთა, რამეთუ არ იცოდენ ნათესაობა, არცა ცოლ-ქმრობა, ყოველსა სულიერსა სჭამდენ შეგინებულისადმდე, მკვდარსა კაცსა სჭამდენ“<sup>2</sup>. ვახუშტის თავის „ისტორიაში“ ამის დასამტკიცებლად მოჰყავს ანდაზა კარსნელთა შესახებ: „რომელ კარსნელთა ჰმართებთო კოდმელთა ხუთი მკვდარი“ და ეს უკვე იმის მაჩვენებელია, რომ „მეორესა სოფელსა ვაასხებდესო მომკვდართა კაცთა სხეულსა

<sup>1</sup> ენგელსი—„ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“ გვ. 196

<sup>2</sup> ვახუშტი „საქ. ისტორია“, გვ. 35.

შესაკმელად“. თეიმურაზი, აკრიტიკებს რა ვახუშტის, ანდაზის სწორად განმარტების გამო, მიუთითებს, რომ ამგვარი ჩვეულებების არსებობის წინააღმდეგ ლაპარაკობს შემდეგი ფაქტები: ა) კაცნი მობა არ იცოდა არცერთმა ერმა აზიისა და ამდენად არც ქართველებმა, ბ) მოსავლისა და ცხოველების სიუხვე არ მოითხოვდა ქართველებს კაცი ეჭამათ და, რაც მთავარია გ) ქართველთა წესი გლოვისა, თეიმურაზის აზრით, ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს<sup>1</sup>. იგი სრულიად მართალი იყო, როცა მიუთითებდა, რომ ვახუშტიმ ვერ გაიგო თვით ამ ანდაზის შინაარსი, ეს კაცქამობაზე კი არ მიგვითითებს, არამედ ძველი მოლაშქრეობის წესის დანაშთიანო. „აქენდათ ჩვეულება ქართლოსიანთა—წერს იგი—ჟამსა მამასახლისთასა, ოდეს წარვიდოდეს ლაშქარსა, მრავალ გზის შეხვედებოდათ ესე, რომელ მიზეზითა... ვერა ძალ-ედვა ერთსა... სოფელსა წარსვლა ლაშქარსა, სთხოვდა მეზობლისა თვისისა მეორისა სოფლისა კაცთა ნაცვლად თვისისა... რაოდენიცა კაცი ბრძოლასა შინა დააკლდებოდათ მათ... ეგოდენი რიცხვი მომკვდარისა დაედებოდათ მათ ვალად“...<sup>2</sup> ესე იყო დავალება ანუ მართება მკვდარისა, რომელ... ვიდრე ამ ჟამამდე ჰმართებს კარსნელთ კოდმანელთა ხუთი მკვდარი“<sup>3</sup>. შესაძლებელია, თვით თეიმურაზის ამგვარი განმარტებაც არ იყოს სწორი და აქ სისხლის აღების ჩვეულების დანაშთი იმალებოდეს<sup>3</sup>, მაგრამ ვახუშტის კრიტიკა და გამოყენებული მეთოდი, ზნე-ჩვეულებათა და თქმულებათათვის მნიშვნელობის მინიჭება, ისტო-

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“... გვ. 52—53. აღსანიშნავია, რომ თეიმურაზი ვახუშტთან კამათის დროს, თავისი მოსაზრების დასადასტურებლად—ქართველებში გაბატონებულ გლოვის წესის შესახებ, იშველიებს არქეოლოგიურ საბუთსაც, განათხზრას სასაფლაოებს, სადაც აღმოჩენილ მკვდრების დასაფლავების წესი, მისი აზრით, მის მიერვე გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს. იგი წერს: „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა იპოვნეს მკვდარნი ეს სახედ დაფლულნი სხვათა და სხვათა ადგილთა შინა ივერიისათა, რომლითაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლოსიანთანი უწყებულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა, ახალთაცა ამათ საუკუნეთა იპოვნეს რამოდენიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა, კერპთ მსახურებისა ჟამსა შინა დაფლულნი მკვდარნი და ფულნი პირთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგანნი დაშთომილნი გაუხრწნელად იცვებოდეს სალაროსა შინა მეფის ირაკლისასა ტფილისის და მოსკლასა შინა აღმაჰმადან ყაჯარისსა, წარწყმედილ იქმნეს“ („ივერიის ისტ.“, გვ. 52). ამრიგად, თეიმურაზმა მიაქცია მნიშვნელოვანი ყურადღება გლოვის წესს, როგორც ზნე-ჩვეულებას, საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა ერეკლე მეორის დროს აღმოჩენილ არქეოლოგიურ საბუთებზე და, რაც მთავარია, შეეცადა კვლევა-ძიების დროს ესარგებლნა ამ არქეოლოგიური მასალებითაც (შდ. დ. ბაქრაძე, „საქ. ისტ.“ გვ. 63, შენიშვ.).

<sup>2</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 55.

<sup>3</sup> შდ. აკად. ივ. ჯავახიშვილი, ქართ. საისტ. მწერ., გვ. 306, შენიშვ.



რიული სურათის აღსადგენად, უდავოდ სწორია და თეიმურაზის როგორც ისტორიკოსს, ღირსებას ჰმატებს.

ჩვენის აზრით, თეიმურაზი გასაოცრად სწორად ხსნის მიზეზს თუ რატომ წარმოიშვა ამგვარი შეხედულება ქართველებზე, როგორც კაციკამიებზე. იგი აღნიშნავს, რომ ამგვარი შეხედულება წარმართობის დროის შესახებ წარმოიშვა ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ, რათა ქრისტიანობის პროპაგანდას უფრო მეტი სარბიელი ჰქონოდა: „ეკლესიისა ჩუენისა მოძღუარნი უძაგებდეს მათ გარდღავილთა წინაპართა მათთა და მათსა ეტყოდეს მრავალთა უწესოთა ქცევათა და არა წმინდათა და მკვდართა ქამასა ხორცთა კაცისათა, რათა ამით დაავიწყონ წინაპართა თვსთა კერპთ-მსახურებისა საქმენი“<sup>1</sup>.

მთელი ეს „მამასახლისობის“, ე. ი. საგვარეულო წყობის პერიოდი, იმდენად დაწვრილებით აქვს თეიმურაზს აღწერილი, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამისათვის მას რაიმე წყარო არ ჰქონოდა და ყველაფერი ეს მხოლოდ საკუთარი მოსაზრების ნაყოფი იყოს. რომ მას რაღაც მნიშვნელოვანი წყარო უნდა ჰქონოდა, ამ მოსაზრებას ერთის მხრით ადასტურებს, გარდა „ივერიის ისტორიის“ ვრცელი და დამაჯერებელი მოთხრობისა, თეიმურაზის სპეციალური ნარკვევიც ამავე საკითხზე: „ძველი საქართველოს შინაგანი წყობის“ შესახებ, რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. სამწუხაროდ იგი, როცა „მამასახლისობის“ პერიოდს ეხება, არც ერთ წყაროს არ იხსენიებს და სწორედ ეს დაუსაბუთებლობა, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი უსვამდა ხაზს, ამ აღწერილობის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ<sup>2</sup>. შეუძლებელია დადგენილ იქნას, ჰქონდა თუ არა მას რაიმე ცნობა მაგალითად არჩეულთა საბჭოს ან კიდევ სახალხო კრების არსებობაზე და სამართლის წარმოების წესზე. ყოველშემთხვევაში ცხადია, რომ დღემდე აღმოჩენილი ქართული საისტორიო მასალები ამაზე არაფერს გვეუბნებიან. მიუხედავად ამ მნიშვნელოვან ნაკლოვანებისა—სამართლიანად წერდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, თეიმურაზის ნარკვევი, მის მიერ დახატული სურათი საქართველოს უძველესი ეპოქისა, ძლიერ საინტერესოა და შეიძლება უმრავლეს შემთხვევაში გამართლებულიც იქნეს ისტორიული საბუთებით<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „ივერიის ისტ.“, გვ. 54; შდ. იქვე, გვ. 194.  
<sup>2</sup> И. Джавахов, „Гос. строй...“, გვ. 4.  
<sup>3</sup> იქვე.

თეიმურაზ ბატონიშვილი თავის წიგნის წინასიტყვაობაში სხვა-თაშორის წერს: „თუმცა მე სურვიელ ვიყავ უფრორე ბაძვად ახალთა მსოფლიოთა და საზოგადოთა ისტორიკოსთა, მაგრამ ვერლარა ურჩ ვექმენ მათ (ნათესავებს, შ. მ.) და ვიწყევ შემდგომითა აღწერად ამა ხატითა უფრცვლესად. თუმცალა ზემოთქმულისამებრ განმზრახ ვიყავ თქმად არა განვრცომით ესრეთ; არამედ ლიტონად და შემოკლებით მოთხრობისა დასაწყისითგან მახლობელთა საუკუნეთაგან.“<sup>1</sup> მონათესავეთა ამ სურვილს, ჩვენის აზრით, თეიმურაზ ბატონიშვილის შრომისათვის თავისი კვალი დაუმჩნევია. შეიძლება ითქვას, იგი დამძიმებულია სხვადასხვა ქვეყნის ისტორიებით და ვრცელი შესავლებით, რომელთაც მაინცდამაინც დიდი კავშირი არა აქვთ საქართველოს ისტორიის საკითხებთან. ასე მაგალითად: „უძველესთა მოთხრობათაგან ბუნებითი ისტორია ასურასტანისა“, გვ. 4—9, 58—68 და შრავალი სხვა. ამან და სხვა ამგვარ მოთხრობებმა, როგორც თვით თეიმურაზი გრძნობდა, იგი დასტოვა ძველ ისტორიკოსთა გვერდით, თუმცა თვით მსურველი იყო „უფრორე ბაძვად ახალთა ისტორიკოსთა“.

როცა მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე საუბრობს, თ. ბატონიშვილი წყაროებს თან ასახელებს. მაგალითად: „ბეროზ ... მისტორიე ასურასტანისა“<sup>2</sup>, „უკეთუ შევკრებთ ყოველთა მათ რაჟსაცა სწერენ ბეროზი, ავიცენ და აპოლორ“,<sup>3</sup> ან კიდევ: „ესე მოღებულ არს წარწერილისაგან ბეროზისა და სხვათაგან მომთხრობელთა მათ ასურასტანელთა, პოლიადისტროსისა მიერ“<sup>4</sup>, „იოასაფ ფლავიოსს, მწერალი იუდიანთა ისტორიისა, წიგნი 1, ნაწ. და თავ. 6“<sup>5</sup>, „მელენტი დიდი წმინდა პატრიარხი ანტიოხიისა“<sup>6</sup>, „აზრისამებრ პლინიოსისა და სტრაბონისა“<sup>7</sup>, „მოთხრობაჲ ესე არსეჟსა და პერსიდისა გამოწერილ არს წიგნისაგან, რომელსა ეწოდების ბიბლიოტიკა მსოფლიოისა ისტორიისა, ქმნილი დიოდორ სიცილიელისაგან, ტომი 2, წიგ. 2,

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 2.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 4.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 5.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 9—10.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>7</sup> იქვე.

ფურც. 213, შეუცვალელებლად აღწერილ არს<sup>1</sup>. „მეგიბტელთა“ ისტორიისა მოთხრობასა შინა ჰსწერენ:—ღერადოტ ანუ ჰერადოტ, ანკიტილ და დიადორ სიკილიელი“<sup>2</sup> და მრავ. სხვა. ყველა ამ წყაროთა მიმოხილვა ჩვენთვის ინტერესს მოკლებულია. ჩვენ მხოლოდ შევეჩებით ბერძენ და რომაელ ისტორიკოსთა ცნობებს, რომელიც თეიმურაზს გამოყენებული აქვს, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი რაიმე ცვლილებების მომასწავებელია საქართველოს ისტორიის საკითხებში.

თეიმურაზს ენების საკმაოდ ცოდნა ხელს უწყობდა ესარგებლნა ბერძნულ-რომაული წყაროებით, საქართველოს ისტორიის ზოგიერთ საკითხების ვრცლად და დაწვრილებით მოთხრობისათვის, რითაც იგი როგორც ჩანს დაინტერესებული იყო. ამ წყაროების გამოყენების თვალსაზრისით თ. ბატონიშვილის „ივერიის ისტორია“ არის, ჩვენის აზრით, პირველი ცდა ქართულ საისტორიო მწერლობაში. ამდენად მისი შრომა წარმოადგენს ნაბიჯს წინ შედარებით ვახუშტი ბატონიშვილის შრომასთან, თუმცა შესაძლებელია სხვა რამეში ვერ შეედრებოდეს მას. როგორც პირველი ცდა ბერძნულ-რომაულ წყაროების გამოყენებისა, შეუძლებელია იგი ხასიათდებოდეს უნაკლოებით, რომ თეიმურაზი სავსებით ფლობდეს ბერძენ და რომაელ მწერლების ცნობებს და სათანადო კრიტიკულ-მეცნიერული განხილვის შემდეგ სარგებლობდეს მით. ეს წყაროები, სომხურ წყაროებთან ერთად, აძლევდა საშუალებას თეიმურაზს მართლაც ვრცლად მოეთხრო საქართველოს ისტორიიდან ზოგიერთი საკითხები და აგრეთვე გაეკრიტიკებინა და შეეცო ვახუშტი, თუნდაც „ივერიის“ სახელწოდების წარმოშობის საკითხში. ვახუშტი სახელწოდება „ივერია“-ს წარმოშობას უკავშირებს ადერკისა და არშაკ მეორის ბრძოლას, როცა მოკლა მან არშაკი, თითქოს დაიძახა: „ო ვერიე“!.. (მოვერიეო) და ეს ამბავი მისივე მიხედვით ქრისტეს დაბადების წელს მოხდა. თეიმურაზი სამართლიანად მიუთითებს, რომ „უწინარესცა ქრისტესს მოსვლისა მოთხრობათაგან პოებულთა და ხატთაგან გეოგრაფიულთა ცნობილ არს მრავლით წლით უწინარეს ივერიად და გიორგიად წოდებაჲ სრულიად ზემოსა და ქვემოსა საქართველოჲსა ერთა და ქვეყნისა“<sup>3</sup> და ამდენად არ შეიძლებოდა ქრისტეს შემდეგ წარმოშობილიყო ეს სახელწოდებაო. ამტკიცებს

<sup>1</sup> იქვე, გვ. 100, 112.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 83.  
<sup>3</sup> იქვე, გვ. 15.



რა ამას, დასძენს: „ძველთა უკვე ლეოლრაფიათა შინა და მებრ პლინიოსისა და სტრაბონისა სახელ-ედების გეორგიასა ივერია ორთა მათ მდინარეთა გამო“<sup>1</sup>. მართლაც, როგორც პროფ. ს. ჯანაშია შენიშნავს, „ყოველ შემთხვევაში უკვე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვით ეს სატომო სახელწოდება (იბერი, შ. მ.) ბერძნულ მწერლობაში შესულია და იქ იგი კავკასიელ ხალხს აღნიშნავს“<sup>2</sup>, ხოლო, მისივე მტკიცებით, ქართველთა ევროპიული სახელწოდებანი ამავე ფუძიდანაა წარმომდგარი<sup>3</sup>. ეს დაამგვარი შენიშვნები ბერძნულ წყაროებს გაცნობილ თეიმურაზს მრავლად შეეძლო შეეტანა ვახუშტის შრომაში. ჩვენ მოვიყვანთ აქ რამდენიმე მათგანს, რომელნიც ჩვენის აზრით დამახასიათებელია.

თეიმურაზი შეეცადა მოეცა რომაელების შემოსვლის ამბავის მოთხრობა და იგი არშაკ მეორესთან დაეკავშირებინა. მან საკმაოდ ვრცლად და დამაჯერებლად აღწერა პომპეუსის ბრძოლა მითრიდატ ევპატორთან, მის მიერ ტიგრანის და იბერთა მეფის, თეიმურაზის აზრით, არშაკ მეორის მორჩილებაში მოყვანა, პომპეუსის კოლხიდაში გადასვლაც ლიხის მითით და ოლთაკის მოკვლა. (ხოლო მის მაგიერ არისტარხის დანიშვნაზე არაფერი აქვს ნათქვამი).

თეიმურაზის მიხედვით პომპეუსის შემოსვლა საქართველოში 58 წ. მომხდარა, ქრისტეს უწინ, არშაკის გამეფებისთანავე<sup>4</sup>. დასაყრდენს ამ შემთხვევაში თეიმურაზისათვის პლუტარხის, აპიანეს და დიონ-კასიოსის ცნობები შეადგენდა. ამ უკანასკნელის მიხედვით საქართველოში არტოკი ყოფილა მეფედ<sup>5</sup>. სწორედ ამ სახელწოდებამ შეიყვანა თეიმურაზი შეცდომაში. არტოკი არშაკად მოეჩვენა და ამ წყაროებზე დაყრდნობით იძულებული გახდა ქართულ წყაროებში მოუხსენიებელი, ხოლო ბერძნულში მოხსენებული და ცნობილი, ქართველ მეფეთა რიცხვისათვის დაემატებინა. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ თეიმურაზი იძულებული გახდა მისთვის ერთად-ერთი გამოსავალი, ვახუშტის ქრონოლოგია დაერღვია, და ვახუშტის არშაკ მეორე (23—2 წ.) არშაკ

<sup>1</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>2</sup> პროფ. ს. ჯანაშია—თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი—აკად. ნ. მარის სახ. ენის, ისტ. და მატ. კულტ. ინსტიტუტის მოამბე, I, 1937, 221.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 223 და შემდეგ. შდრ. თეიმურაზის მსჯელობა, „ივერიის ისტორია“, გვ. 13—20.

<sup>4</sup> „ივერიის ისტორია, გვ. 125—130.

<sup>5</sup> Латышев. Свед. греч. писат. I, 612, შდ. ი. ჯავახიშვილი, ქართვ. ერის ისტ. I.



მესამედ (თეიმურაზით 33—1 წელი) მიეჩნია, ხოლო არშაკ მეორის-  
 თვის ცალკე გამოყოფა მეფობის წლები. სხვა წყარო, არც ვახუშტის  
 ისტორია, არც „ქართლის ცხოვრება“ და არც „მოქცევაჲ ქართლი-  
 საჲ“, რომელსაც იგი მხოლოდ ფრაგმენტების სახით იცნობდა,  
 გარდა ბერძნულისა, არ აღწევდა საშუალებას თეიმურაზს მეფეთა  
 რიცხვში ერთიც დაემატებინა და დიონ კასიოსის არტოკი არშაკ  
 მეორედ ჩაეთვალა. ამას ის ვარემოებაც ადასტურებს, რომ ქართუ-  
 ლი წყაროების ცნობები რაიმე არშაკ მეორის შესახებ თეიმურაზს  
 არ მოეპოვება და არც აქვს მოთხრობილი. მისი მეფობის პერიოდის  
 აღწერა იწყება და მთავრდება მხოლოდ რომაელების შემოსვლის  
 ამბავის მოთხრობით. აგრეთვე, როგორც ვთქვით, თეიმურაზი არ  
 ცდილა დამოუკიდებელი ქრონოლოგიური სისტემა შეემუშაებინა,  
 მის გამოსავალს ვახუშტის ქრონოლოგია შეადგენდა, ხოლო იმის  
 დარღვევა იმაზე მიგვითითებს, რომ იგი აიძულა რაღაც წყარომ და  
 ეს რაღაც სწორედ ბერძენ მწერალთა ცნობებია<sup>1</sup>.

დიონ კასიოსის ცნობებს<sup>2</sup> ემყარება იგი აგრეთვე, როდესაც არ-  
 შაკ მესამის (ვახუშტის არშაკ მეორე) მეფობის წლებს ეხება. თეი-  
 მურაზი, სანამ „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის მიერ „შემო-  
 ნახულ ცნობების მოთხრობაზე გადავიდოდეს, აღნიშნავს: „დასაბამსა  
 შინა მეფობისა არშაკ მესამისასა იქმნეს ტრიუმფირად რომთა აგვის-  
 ტოს, ოქტავიოს და ანტონიოს მარკ“<sup>3</sup>, მოუთხრობს მათ მიერ აღ-  
 გილების განაწილებას, ბრძოლას ანტონიუსისა და შემდეგ სარდლის  
 პუბლიოს კანიდოს კრასოსის გამოლაშქრებას იბერთა წი-  
 ნაალმდეგ, რადგან „არშაკ არ ინება მოსვლა მისთანა“—ანტონიუს-  
 თან დასახმარებლად, ე. ი. რაკი რომაელთა ბატონობა, ჩანს, უარ-  
 უყვიათ. მორჩილება ისევ მიუღიათ, მაგრამ, როგორც თეიმურაზი  
 მიუთითებს, არც ეს გაგრძელებულა დიდი ხანი. „ჟამსა ამას წარ-  
 მოიშვა ბრძოლა შორის ანტონინისა და აგვისტო-ოქტავისა, ხოლო  
 იძლია რაჲ ანტონინ მისგან, განიგმირა თავი თჳსი ანტონინ მახვი-  
 ლითა და ესრეთ დაშთა საქართველოჲ თავისუფალ ესოდენტთა ამ-

<sup>1</sup> თეიმურაზი ვახუშტის ქრონოლოგიას არღვევს მეორე შემთხვევაშიც, კერძოდ  
 ფარსმან ქველის მეფობის დახასიათებისას. აქ კი მას ანტონ პირველი კათალიკო-  
 ზის მიერ გამოწერილი ცნობები უნდა აიძულებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში  
 გაუგებარი იქნებოდა ვახუშტის ქრონოლოგიის დარღვევის მიზეზი და ფარსმან  
 ქველისათვის დამოუკიდებელ მართვის წლების ცალკე გამოყოფაც.

<sup>2</sup> Латышев, I. 620.  
<sup>3</sup> „ივერიის ისტორია“... გვ. 130.



პოხთაგან რომაელთასა<sup>1</sup>. თვით კანიდოს კრასოსის შემოსვლის დროს აღნიშნული, იგი ამ შემოსვლას ქრისტეს წინ 31 წლით ანგარიშობს. ჩანს, რომ თეიმურაზი საკმაოდ კარგად ფლობდა რომაელ მწერალთა ცნობებს.

ადერკის მეფობის პერიოდის (ვახუშტით 2→55 წ., თეიმურაზით 1—44 წ.) დახასიათებისას, ქრისტეს შობისა და ანდრია მოციქულისაგან ქრისტიანიზმის, შავი ზღვის პირად, ქადაგების ვრცლად მოთხრობის შემდეგ, ისევ უბრუნდება ბერძნულ წყაროებს და მოუთხრობს: „აქვნდა უკვე მეფესა ადერკის რომაელთა თანა ფრიადი შეკრულება და ამით ჟამთა შორის იყო უკვე შფოთი მრავალთა ძალით აღრეულებათა პართიანელთა და სომეხთა შორის; ხოლო ივერიელნი სარგებლობდენ ამით უმეტეს წარმატებასა შინა“. თეიმურაზის მიხედვით ადერკიმ მისცა შეილისშვილი აღსაზრდელად კეისარ ტიბერიოსს და „აღზარდა მან, სათნო უჩნდა თვალთა მისთა იგი ფრიად“, ხოლო შემდგომ დაყრდნობით „საზოგადოსა მსოფლიოთა და რომის ისტორიაზე“ აღნიშნავს: „წარმოავლინა რა მიტრიდატ ძალითა დიდითა ტიბერიოსმან... და იქმნა მიტრიტად მეფე სომეხთა ზედა... და ამას უხმობდეს რომაელნი მიტრიდატ ივერსა“<sup>2</sup>. და მართლაც, ტაციტის და კასიოსის ცნობით, რომაელებმა სომეხეთში მიჰრიდატი დანიშნეს მეფედ<sup>3</sup>. თეიმურაზი არც ამით კმაყოფილდება და იმოწმებს სომეხთა ისტორიკოსის მ. ჩამჩიანის ცნობასაც.

ასევე, რომაული ცნობები აქვს გამოყენებული თეიმურაზს, როცა ვაჩეს<sup>4</sup> (ვახუშტით 213—231 წ., თეიმურაზით 219—233 წ.), ასპაჯურის<sup>5</sup> (ვახუშტით 262—265 წ., თეიმურაზით 259—266) და სხვ. მოღვაწეობის პერიოდს ეხება.

გარდა ქართულ-ბერძნულ წყაროებისა თეიმურაზი იყენებს აგრეთვე სომხურ წყაროებსაც. იგი არა ერთხელ მიმართავს მოსე

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“... გვ. 132.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 146—147.

<sup>3</sup> Латышев, Свел. гр. пис. III, 233—236. I, 621—622; შდ. ჯავახიშვილი, ქართველთა ისტ. I.

<sup>4</sup> „ისტორია ივერიისა“, გვ. 195—199.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 108.





ხორენელის<sup>1</sup> და მიქაელ ჩამჩიანის<sup>2</sup> დამოწმებას. ხშირად ისინი კრიტიკის საგნადაა გამხდარი (ასე მაგალითად, მ. ხორენელის აზრი ბალისა და ნებროთის იგივეობის შესახებ, იხ. თეიმურაზის კრიტიკა გვ. 44—47), მაგრამ უფრო ხშირად მათგან გრძელი ამონაწერებიცაა მოყვანილი, მაგალითად: „მოსვლისათჳს რომაელთა მხედართ-მთავრისა კორბოლუნისა რომაელთა მხედრობითა აზიად პირის პირ წინააღმდეგთა მიმართ—ისტორიისაგან სომეხთა ისტორიკოსისა მიხილ ჩამჩიანისაგან“, იმავე საკითხზე „ისტორიისაგან მოსე ხორენელისა სომეხთა ისტორიკოსისა“<sup>3</sup> და მათზე დაყრდნო-

<sup>1</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 44—47, 160, 165, 166, 169—170, 196 და სხვ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 158, 147 და სხ. საინტერესოა, სარგებლობდა თუ არა თ. ბატონიშვილი მ. ხორენელისა და მიქ. ჩამჩიანის სომხური გამოცემებით, თუ მათი თარგმანებით რუსულ ან ფრანგულ ენებზე. როგორც ცნობილია, მ. ხორენელის „სომეხეთის ისტორია“ ჯერ კიდევ 1809 წ. იოსებ თანესოვის მიერ ითარგმნა სომხურიდან რუსულ ენაზე (იხ. М. Хоренский, Арменская история с кратким географическим описанием Древней Армении, пер. Иосиф Иоанесов, ч. I—II СПб—1809 г.). ამდენად თ. ბატონიშვილს შესაძლებლობა ჰქონდა მისი რუსული თარგმანით ესარგებლნა. მაგრამ მიქაელ ჩამჩიანის „სომეხეთის ისტორიის“ I—III ტ. რომელიც ვენეციაში 1784—1786 წწ. გამოიცა და არც მისი შემოკლებული რედაქცია, რომელიც იქვე 1811 წ. გამოიცა, არ ყოფილა თარგმნილი თეიმურაზის დროს არც რუსულ და არც ფრანგულ ენებზე, ევროპულ ენებიდან იგი ითარგმნა მხოლოდ ინგლისურად (შემოკლებული რედაქცია, 1790 წ. History of Armenia by Father Michael Chamich, from B. C. 2247, to the year of Christ 1790; ხოლო ორ ტომად 1827 წ. კალკუტაში (Translated from the original armenian by I. Avdall esq in two volumes. Calcutta 1827). დანამდილეობით შეიძლება ითქვას, თეიმურაზმა ინგლისური არ იცოდა და ამ გამოცემებით არც შეეძლო ესარგებლნა. მაგრამ, მიქ. ჩამჩიანის ხსენებული შრომის მეორე წიგნი თარგმნილი ყოფილა ქართულად (იხ. საისტ. საეთნოგრაფიო მუზეუმის ხელნაწ. N 3107). პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის მტკიცებით, თარგმანი სწორედ XIX ს. პირველ ნახევარში (ე. ი. თეიმურაზის მოღვაწეობის პერიოდში) პლატ. იოსელიანის მიერაა შესრულებული (პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი—მიქაელ ჩამჩიანის „სომეხეთის ისტორიის“ ქართული თარგმანი. „საქ. მუზეუმის მოამბე“, VIII, 1935, გვ. 55—58, შდრ. მისივე ეპიზოდი პლ. იოსელიანის ცხოვრებიდან—„ლიტ. საქართველო“ 20—XII—1938 წ.). თ. ბატონიშვილს კი თავის „ივერიის ისტორიაში“ ამონაწერები მიქ. ჩამჩიანის პირველ წიგნიდან მოჰყავს (იხ. გვ. 158). მაშასადამე, ქართული თარგმანიც მას ამ შემთხვევაში არ შეეძლო გამოეყენებინა. ამდენად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თეიმურაზმა სომხურიც იცოდა და მ. ხორენელისა და მიქ. ჩამჩიანის „სომეხეთის ისტორიის“ სომხური გამოცემებით სარგებლობდა.

მიქ. ჩამჩიანის თხზულების ევროპულ და ქართულ თარგმანებზე ცნობები გადმომცა და მიმითითა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, რისთვისაც მას დიდად ვმადლობ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 158, 160.

ბით აკრიტიკებს ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებას“ და „ტყუარა“  
ტის. „თუმცა ვახტანგ მეფე და ვახუშტი სწორენ თვსთა შინა მო-  
თხრობათა ვითარმედ წუნი და არტანი აღილო იერეენად მეფემან  
სომეხთამანო; მაგრამ არა არს მოთხრობილი მათი ქეშმარიტ; ამისა-  
თვს რომელ მოსეს ხორანელი სომეხთა ისტორიკოსი თავის ისტო-  
რიაში სწერს“<sup>1</sup> და სხვა.

როგორც ნათქვამი გვქონდა, გარდა წერილობითი წყაროებისა,  
თეიმურაზი, როგორც ისტორიკოსი, მნიშვნელოვან ყურადღებას აქ-  
ცევდა ისტორიულ სურათის აღსადგენად, დარჩენილ ზნეჩვეულების  
ანალიზსა და თვით ზღაპარსიტყვაობასაც. „არიან ზღაპარ სი-  
ტყვაობანიცა — სწერს იგი, მეთოლოღიური ივერიისათვს თქმულნი  
სხვანი და სხვანი, რომელთავანნი რომელნიმე მოვიხსენიე აქა“ და  
მათ შორის იგი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თქმულებას ბ რ უ ტ -  
ს ა ბ ე ლ ზ ე ტარტაროზის მიჯაჭვისა და იუპიტერის მიერ დასჯილ  
პრომეთეოსის მიჯაჭვის შესახებ საყორნეზე<sup>2</sup>. შესაძლებელია ეს  
თქმულებები უადგილო ადგილას და არა სწორად იყოს მოყვანილი  
და განმარტებული, მაგრამ თეიმურაზის მეთოდი სრულიად გამართ-  
ლებულია და სწორი.

თეიმურაზ ბატონიშვილი სრულიად სამართლიანად, და ქართულ  
საისტორიო მწერლობაში პირველად, იძლევა ანალიზს არგონავტთა  
კოლხიდად მოსვლის შესახებ თქმულებისა. „არიან სხვანიცა მეთო-  
ლოღიურნი მოთხრობანი და ზღაპარ სიტყვაობანი ვითარცა იგი  
ბედისათვსცა კოლხიდელისა და ოქროს მატყლოვანისა მისთვს ვერ-  
ძისა, რომელნიცა კინლა და ყოვლისა სოფლისა ისტორიკოსთა  
გვაუწყეს და მოთხრობაჲ მისი შთაიწერების შემდგომთა შინა უწყე-  
ბათა ამის ისტორიისათვს თვს ადგილსა“<sup>3</sup>.

თუ კი ძველს ქართულს საისტორიო მწერლობაში, პირველ რიგში  
„ქართლის ცხოვრებაში“ და ვახუშტის „საქართველოს ისტორიაში“,  
ეგროსის მიერ ლიხთ-იქითის მიღების შემდეგ, კოლხიდის უძველეს  
ისტორიის შესახებ არაფერია ნათქვამი, თეიმურაზი პირველად შე-  
ეცადა ეგროსის ძველი ისტორია სამართლიანად დაეკავშირებინა

<sup>1</sup> იქვე, გვ. 162, შენიშვნა.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 8—9. აღსანიშნავია თეიმურაზისეული განმარტება ბ რ უ ტ - ს ა ბ -  
ზ ე ლ ი ს ა რომ „ბრუტ-საბზელი თქმულ არს საბზელად ციკლოპის ბრონტოსისად“  
(გვ. 8). ამ საკითხზე იხ. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის „მეგალითური კულტურა  
საქართველოში“, 1938 წ. გვ. 12 და შემდეგ.

<sup>3</sup> „ივერიის ისტ.“, გვ. 9.



იბერიის ისტორიისათვის და დაეცვა იბერიელთა და კოლხთა მობრძოლი ნათესაობის არსებითად გამართლებული თეორია.

ჰეროდოტე, როგორც ცნობილია, იმ აზრისა იყო, რომ კოლხები ევგობტელების შთამომავალნი იყვნენ და ამის დასამტკიცებლად იგი მიუთითებდა ზოგიერთ ჩვეულებებზე, რომელიც კოლხებში ბატონობდა, კერძოდ წინადაცვეთაზე და სხვა. თეიმურაზი გრძნობდა რა რომ ამ თეორიის მიხედვით შესაძლებელი იყო იბერთა და კოლხთა ტომობრივი ნათესაობის გამორიცხვა, სამართლიანად ილაშქრებდა მის წინააღმდეგ. შესაძლებელია თეიმურაზი ცდებოდა მაშინ, როდესაც იგი აღნიშნავდა, რომ კოლხებმა არ იცოდნენ წინადაცვეთაო, მაგრამ უდავოდ სწორია, როცა ამტკიცებს, რომ „რამე თუ ოდეს იყო ქართლოს და მისგან ქართლოსიანნი უეჭველად კოლხი დელიცა იყვნეს მაშინ იგინივე ქართლოსიანნი“<sup>1</sup>, ე. ი. როცა ხაზს უსვამს კოლხთა და იბერთა ნათესაობას და არ აცალკევებს მათ. ამის დასამტკიცებლად თეიმურაზს არაერთი საბუთი მოჰყავს საქართველოს ისტორიიდან.

თეიმურაზი მშვენივრად გრძნობდა იმ ნაკულულოვანებას, რომელიც „ქართლის ცხოვრებას“ კერძოდ და საერთოდ ქართულ საისტორიო მწერლობას მის დრომდე ახასიათებდა—ევრისის ისტორიის მოუხსენებლობა. ამიტომ იგი შეეცადა ეს ნაკლი შეეცსო და ამ მიზნით თქმულება არგონავტების შესახებ გამოეყენებინა. სხვა წყაროები, როგორც ჩანს, მისთვის უცნობი ყოფილა, ხოლო არგონავტთა შესახებ თქმულებით, კოლხეთის ძველი ისტორიის სურათის აღდგენა, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ თეიმურაზის ეს პირველი ცდა უსათუოდ გამართლებულია და მისი მეთოდიც მიზანშეწონილია.

თქმულებას არგონავტების შესახებ თეიმურაზმა თავის „ივერიის ისტორიაში“ საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო (იხ. გვ. 85—100). არგონავტთა მოსვლა და ოქროს ვერძის მოტაცება მას დეტალურად აქვს მოთხრობილი<sup>2</sup>. როგორც თავის ადგილას ნათქვამი გვქონდა, ამ საკითხზე ბერძნულიდან მას სპეციალური შრომაც ჰქონია ნათარგმნი.

თქმულებას არგონავტების შესახებ თავისთავად ისტორიული ღირებულება გააჩნია, როგორც პროფ. ს. ჯანაშია აღნიშნავს, „უკვე

<sup>1</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>2</sup> კოლხიდის უძველესი ისტორია, კერძოდ, არგონავტთა შემოსვლა, შედარებით მოკლედ, თეიმურაზის ცალკე სტატიის სახით დაიბეჭდა ჟურნ. „ცისკარში“ 1857 წ. (იხ. № 3, გვ. 33—47).



ძველი საბერძნეთის მწერლებმა შეამჩნიეს, რომ ეს მითი მეტწილად ნამდვილ, ისტორიულ, ცნობების გადამუშავებაა, რომ ვერძი მიუთითებს ოქროს მოპოვების ჩვეულებაზე ადგილობრივ მდინარეებში ცხვრის ტყავების საშუალებით<sup>1</sup>. ამდენად ცხადია, რომ თეიმურაზის მიერ მოყვანა ამ თქმულებისა, კოლხიდის ძველი ისტორიული სურათის აღსადგენად, გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, თეიმურაზი ცნობდა მას თქმულებად, ან როგორც იგი ამბობს „ზღაპარ სიტყვაობად“, მაგრამ, იგი ცდილობს მას ნამდვილი ისტორიული მოთხრობის სახე მისცეს, თვით შემოსვლის თარიღიც კი განსაზღვროს და ამით, შეიძლება ითქვას, აჭარბებს კიდევ. მაგრამ თეიმურაზი უსათუოდ სწორად იქცევა, როცა ცდილობს კოლხეთისა და იბერიის ისტორია ერთმანეთისაგან არ იქნეს მოწყვეტილი. ასე მაგალითად: მისი აზრით „უეტეს (ე. ი. აეტი, შ. შ.) იყო ერთი მამასახლისთაგანი ივერიისა კოლხიდისა ქვეყნისა განმგებელი და უფლებასა ქვეშე მცხეთის მამასახლისისა“<sup>2</sup> და ამგვარი დასკვნა უნდა გაეკეთებინა მას, რადგან მისი აზრით, ქართველები ერთ მთლიან ტომობრივ ერთეულს შეადგენდა და, როგორც ის იტყობდა, ყველა თემთა მამასახლისები მცხეთის მამასახლისს ემორჩილებოდნენ.

თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თეიმურაზმა ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით მოუთხრო პომპეუსის შესვლა კოლხიდაში და იქ შექმნილი მდგომარეობა, ნათელი გახდება მისი მიზანი, რომ ეგრისის ისტორია, რომელზედაც ძველს ქართულ საისტორიო მწერლობაში თითქმის არაფერია ნათქვამი, სრულუფლებიანი გახადოს და იბერიის ისტორიის გვერდით დააყენოს. ეს მიზანი სრულიად გამართლებულია და მნიშვნელოვანი.

\* \* \*

თეიმურაზ ბატონიშვილის „ივერიის ისტორია“ მიყვანილია მირიან მეფემდე. ამდენად მთელს მის კვლევის საგანს საქართველოს ისტორიის ის პერიოდი შეადგენდა, რომელიც სიბნელით იყო მოცული, ეს, ცხადია, გავლენას ახდენდა თ. ბატონიშვილის შრომის მეცნიერულ ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქართული საისტორიო მწერლობა, კერძოდ „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს უძველეს ისტორიის

<sup>1</sup> ს. ჯანაშია—„საქ. ისტ. კონსპექტი“; თბ. სახ. უნ-ტის შრომები, V, გვ. 62.

<sup>2</sup> „ივერიის ისტორია“, გვ. 86.

საკითხებში მაინცდამაინც სანდოს არ წარმოადგენდა, ხოლო ბეონულ-რომაული და საერთოდ უცხოური წყაროები იმდენად შევებელი და უცნობი იყო, რომ მისი გამოყენება „ქართლის ცხოვრების“ ცნობების კრიტიკისათვის შეუძლებელი ხდებოდა. ის ნაკლულოვანებანი, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილის შრომას ახასიათებს, კერძოდ, არა კრიტიკული დამოკიდებულება წყაროებისადმი, რომელიც მის შრომაში ნათლად ჩანს, იმითაც აიხსნება, რომ სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან იწყებოდა ქართული ისტორიული ძეგლების მეცნიერული, კრიტიკული შესწავლა, რომელშიაც თვით თეიმურაზიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. არა თუ თეიმურაზისათვის, არამედ მის დროინდელ და შემდეგ დროინდელ მკვლევართათვისაც (ბროსე, ბაქრაძე, ჟორდანიას, ჯანაშვილი და სხ.) „ქართლის ცხოვრების“ მოთხრობა, საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ, უცილობელ წყაროდ იყო აღიარებული.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებისა, თეიმურაზ ბატონიშვილის შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. მან, როგორც თავის ადგილას ნათქვამი გვქონდა, ბევრი ახალი საკითხი წამოაყენა, თუ ვერ გადაჭრა, ყოველ შემთხვევაში დაბადა ინტერესი მისი შემდგომი შესწავლისა და გადაჭრისადმი. იგი აგრეთვე, როგორც ისტორიკოსი, საკმაო გავლენით სარგებლობდა სხვა მკვლევრებზედაც, თვით ბროსეზედაც, ს. ბარათაშვილზე<sup>1</sup> და სხვებზე.

ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ჩუბინოვის აზრს, რომლის მიხედვით „თეიმურაზ ბატონიშვილის საქართველოს ძველ ისტორიას, რომელიც განსხვავდება მოთხრობის უბრალოებით და მომხიბლავი მჭევრმეტყველობით, აქვს უფრო ლიტერატურული ღირსება, ვინემ ისტორიული“<sup>2</sup>. თ. ბატონიშვილის „ივერიის ისტორიის“ ამგვარი, ზოგადი მიმოხილვაც კი, ამის წინააღმდეგ ლაპარაკობს, ხოლო მისი მთელი შემკვიდრობის და შრომების დეტალური ანალიზი და შესწავლა ბევრს ახალს იტყვის თეიმურაზ ბატონიშვილის, როგორც საქართველოს ისტორიკოსის, ღირსების შესახებ.

<sup>1</sup> შდ. Г. Наталзе, Сұлхан Баратов как историк... 83. 92.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, ნაწ. II, 1854, წინასიტყვ. გვ. XVI.

ტექნოდაქტორი შ. ჭუმბურიძე

---

ანაწყოების ზომა 6×10  
ტირაჟი 1000  
სტამბის შეკვ. № 742  
მთავლიტის რწმუნებული № 2177

ქაღალდის ზომა 60×94  
გადაეცა წარმ. 16.8.39  
ხელმწ. დასაბ. 26.11.39  
ფორმათა რაოდენობა 5

